

ISSN 0206-569X

675-25/2
1982



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

4.1982

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,
ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1982, № 4



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

СЕРИЯ
ЭКОНОМИКИ И
ПРАВА

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს
Журнал основан в 1980 году
გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца



4. 1982

გამომცემლობა „მეცნიერება“
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

● თბილისი
ТБИЛИСИ



ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

ქურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ა. გუნია (რედაქტორი), პ. გუგუშვილი, ი. დოლიძე, გ. თოდუა, თ. ლილუაშვილი, ი. მიქელაძე, ი. ფუტყარაძე, ი. შავგულიძე (რედაქტორის მოადგილე). **თ. ხოშტარია** (რედაქტორის მოადგილე),

პასუხისმგებელი მდივანი ა. შენგელია

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Гуния А. Л. (редактор), Гугушвили П. В., Долидзе И. С., Лилуашвили Т. С., Микеладзе И. С., Путкарадзе Я. В., Тодуа Г. С.,

Хоштария Т. С. (зам. редактора), Шавгулидзе Т. Г. (зам. редактора).

*Ответственный секретарь А. Л. Шенгелия

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,
ეკონომიკისა და საზღვარგარეთის სერია, 1982, № 4

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380007, მახარაძის ქ. № 14
Адрес редакции: Тбилиси, 380007, ул. Махарадзе, 14
ტელეფონი 37-95-46 телефон

გადეცა წარმოებას 20.9.82; ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.1.83; შეკვ. № 3208; ანაწილების
ზომა 7×111/2; ქალაქის ზომა 70×1081/16; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 10,2;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,7; უე 13291; ტირაჟი 730;
ფასი 70 კაბ.

*
გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*
საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან	5
სკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ	7
ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა	8
ამხანაგ ბ. შ. ჩირჩინაძის სიტყვა	9
იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი	11
სამგლოვიარო მიტინგი წითელ მოედანზე	
ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა	12
დ. თ. უსტინოვის სიტყვა	18
ბ. პ. ალექსანდროვის სიტყვა	14
ვ. ვ. პუშკაროვის სიტყვა	15
ბ. თ. გორდინაძის სიტყვა	16

სსრ კავშირის შუამდგომლობის 60 წლისთავი

ეკონომიკა

ბ. სტეფანიშვილი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის განვითარება 1921—1980 წწ.	17
ბ. ბრეჯაძე, საქართველოს სსრ ეკონომიკური კავშირები მომხმე საბჭოთა რესპუბლიკებთან	25
რ. ჯაფარიშვილი, ვაჭრობის განვითარება საბჭოთა საქართველოში.	33
შ. სამადაშვილი, საბჭოთა ხალხი — თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი მებატრონი და მმართველი	46
შ. გურდული, სოციალისტური სახალხო-სამეურნეო აღრიცხვა და კონტროლი და მისი განვითარებისა და შემდგომი სრულყოფის საფუძვლები საქართველოს სსრ-ში	56
მ. როკატლიშვილი, დარგობრივი სტრუქტურის სწორად განსაზღვრის და კაპიტალ-დაბანდებათა ეფექტურობის მნიშვნელობა საქართველოს სსრ კვების მრეწველობაში	69
ლ. პრიგალაშვილი, საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ფინანსური შედეგების აღრიცხვის სრულყოფისათვის ცენტრალიზებული ბუხხალტერის პირობებში.	83

სამართალი

მ. ტარაშვილი, საბჭოთა საქართველოს პირველი კონსტიტუცია	91
ბ. როგავა, კანონიერების განმტკიცების საკითხები	97

ინიფორმაცია სამსონის ძე დოლიძე

ქურნალ „მაცენს“ ეკონომიკისა და საშროლის სერიის 1982 წლის ნომრების შინაარსი.	114
---	-----

8561

ბ. შარაშინის სსრ სსრ
სახელმწიფო ბ. საშობლ.
ი ა ლ ე კ ო თ ე ბ ა



СОДЕРЖАНИЕ

От Центрального Комитета Коммунистической партии Советского Союза, Президиума Верховного Совета СССР, Совета Министров СССР	5
Обращение Центрального Комитета КПСС, Президиума Верховного Совета СССР, Совета Министров СССР к Коммунистической партии, к советскому народу	5
Информационное сообщение о Пленуме Центрального Комитета Коммунистической партии Советского Союза	7
Речь товарища Ю. В. АНДРОПОВА	8
Речь товарища К. У. ЧЕРНЕНКО	9
ЮРИЙ ВЛАДИМИРОВИЧ АНДРОПОВ	11
Траурный митинг на Красной площади	
Речь Ю. В. АНДРОПОВА	12
Речь Д. Ф. УСТИНОВА	13
Речь А. П. АЛЕКСАНДРОВА	14
Речь В. В. ПУШКАРЕВА	15
Речь А. Ф. ГОРДИЕНКО	16

60-летие образования СССР

ЭКОНОМИКА

А. Д. СТЕПАНИШВИЛИ, Развитие сельского хозяйства Грузинской ССР	17
А. И. БРЕГВАДЗЕ, Экономические связи Грузинской ССР с братскими советскими республиками	25
Р. Г. ДЖАВАХИШВИЛИ, Развитие торговли в Советской Грузии	33
У. И. САМАДАШВИЛИ, Советский народ — подлинный хозяин и управляющий своей страны	46
Ш. И. БУРДУЛИ, Социалистический народнохозяйственный учет и контроль, основы его развития и дальнейшего совершенствования в Грузинской ССР	56
М. И. РОКЕТЛИШВИЛИ, Значение эффективности и правильного определения отраслевой структуры капитальных вложений в пищевой промышленности Грузинской ССР	69
Л. П. ГРИГАЛАШВИЛИ, К совершенствованию учета финансового положения на предприятиях общественного питания	83

ПРАВО

Г. А. ТУРАШВИЛИ, Первая Конституция Грузинской ССР	91
Х. П. РОГАВА, Вопросы укрепления законности	97

ДОЛИДЗЕ ИСИДОР САМСОНОВИЧ	112
--	-----

Содержание номеров журнала «Мацне» («Известия») серии экономики и права	114
---	-----



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებენ პარტიასა და მთელ საბჭოთა ხალხს, რომ 1982 წლის 10 ნოემბერს დილის 8 საათსა და 30 წუთზე უეცრად გარდაიცვალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის — დიდი ლენინური საქმის ერთგული განმგრძობის, მშვიდობისა და კომუნისტების მგზნებარე მებრძოლის სახელი მუდამ იცოცხლებს საბჭოთა ადამიანებისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის გულში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

მ ი მ ბ რ თ ვ ა

კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა ლენინის დიდი საქმის ერთგული განმგრძობი, მგზნებარე პატრიოტი, გამორჩენილი რევოლუციონერი და მშვიდობისათვის, კომუნისტებისათვის მებრძოლი, თანამედროვეობის უთვალსაჩინოესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ლ. ი. ბრეჟნევის მთელი მრავალმხრივი მოღვაწეობა, პირადი ბედი განუყოფელია საბჭოეთის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპებისაგან. კოლექტივიზაცია და ინდუსტრიალიზაცია, დიდი სამამულო ომი და ომისშემდგომი აღორძინება, ყამირის ათვისება და კოსმოსის კვლევის ორგანიზაცია — ყოველივე ეს მუშათა კლასის სახელგანთქანი შვილის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბიოგრაფიის ნიშანსვეტებიცაა. ყველგან, სადაც უნდა გაეგზავნა იგი პარტიას, ლეონიდ ილიას ძე თავდადებით, მისთვის ჩვეული ენერჯითა და სიმტკიცით, გაბედულებითა და პრინციპულობით იბრძოდა მისი დიდი იდეალისტისათვის.

ამხანაგ ბრეჟნევის სახელს, მის დაუცხრომელ მუშაობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის

გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტებზე საბჭოთა ადამიანები, ჩვენი მეგობრები მთელ მსოფლიოში სამართლიანად უკავშირებენ პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმების თანამიმდგრადულ დამკვიდრებას, სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფას. იგი ბრძნულად წარმართავდა პარტიის ლენინური შტაბის — მისი ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საქმიანობას, გვიჩვენებდა ერთსულგანვი კოლექტიური მუშაობის უნარიანი ორგანიზაციის მაგალითს. მას ეყუთვნის უთვალსაჩინოესი როლი განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე პარტიის ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების კურსის განხორციელებასა და რეალიზაციაში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში.

წარუვალია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დამსახურება საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი პარტიის პოლიტიკის — მშვიდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის, დამახულობის შენელებისა და განიარაღების, იმპერიალიზ-



მის აგრესიული ხრიკების მტკიცედ უკუგდევნის, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილების პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. დიდია მისი წვლილი მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის შექმნაში, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარებაში.

სანამ ლეონიდ ილიას ძის გული ძვრდა, მისი ფიქრები და საქმეები მთლიანად ეპყმდებარებოდა მშრომელი ადამიანების ინტერესებს. მშრომელთა მასებთან იგი მუდამ იყო განუყოვრელი დაკავშირებული. კომუნისტთა, ყველა კონტინენტის ასობით მილიონი ადამიანის შეგნებაში იგი იყო და დარჩება ლენინური იდეურობის, თანმიმდევრული ინტერნაციონალიზმის, რევოლუციური ოპტიმიზმისა და ბუმანიზმის განსახიერებად.

მძიმეა ჩვენი დანაკლისი, დიდია ჩვენი მწუხარება. ამ გლოვის ფასს საბჭოთა კავშირის კომუნისტები, ყველა მშრომელი სულ უფრო მჭიდროდ ირანშემიან სსკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის, მისი ხელმძღვანელი ბირთვის გარშემო, რომელიც ჩამოყალიბდა ლეონიდ ილიას ძე ბრენევის კეთილნაყოფიერი გავლენით. ზალხს სჭრია პარტიის, მისი მძლავრი კოლექტიური გონებისა და ნების, მთელი გულით უტერს მხარს მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან: ლენინის დროშა, ოქტომბრის დროშა, რომლითაც მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი მოვიპოვეთ, სამიერო ხელშია.

პარტია და ზალხი შეიარაღებული არიან სსკპ XXIII—XXVI ყრილობების მიერ შემუშავებული კომუნისტური აღმშენებლობის დიდებული პროგრამით. ეს პროგრამა განუხრელად ხორციელდება. პარტია კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს წარმოების ინტენსიფიკაციის, მისი ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების, სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის შესრულების საფუძველზე ზალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. პარტია კვლავაც ყოველნაირად იზრუნებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის კავშირის განმტკიცებისათვის, საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობის, სსრ კავშირის ზალხთა მშური შეგობრობის განმტკიცებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა იდეოლოგიური ერთობისათვის.

უცვლელია საბჭოთა ზალხის ნება მშვიდობისადმი. არა ომისათვის მზადება, რომელიც ზალხებს თავის მატერიალურ და სულიერ სიმ-

დიდრეთა უმიზნო ხარჯვას უქადის, არამედ მშვიდობის განმტკიცება — აი ხვლინდელი დღის შექურვარსკვლავი. ამ კეთილშობილური იდეით არის გამსჭვალული ოთხმოციანი წლების სამშვიდობო პროგრამა, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მთელი საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა.

ჩვენი ვხედვთ საერთაშორისო ვითარების მთელ სირთულეს, იმპერიალიზმის აგრესიული წრეების ცდებს ძირი გამოუთხარონ მშვიდობიან თანარსებობას, უბიძგონ ზალხებს მტრობისა და სამხედრო კონფონტაციის გზისაკენ. მაგრამ ეს ვერ შეარყევს ჩვენს მტკიცე გადაწყვეტილებას დავიცავთ მშვიდობა. ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა სამხედრო ავანტიურების მოყვარულებმა საბჭოთა ქვეყნის მოუშაადებულს არ მოუსწრონ, რომ პოტენციურმა აგრესორმა რცოდეს: მას გარდაუვალად ეღიის გამანადგურებელი საპასუხო დარტყმა.

საბჭოთა კავშირი, რომელიც ეყრდნობა თავის ძლიერებას, იჩენს უდიდეს სიფხიზლესა და თავდაპირილობას, უცვლელ ერთგულებას თავისი საგარეო პოლიტიკის მშვიდობისმოყვარული პრინციპებისა და მიზნებისადმი, შეუპოვრად იბრძოლებს იმისათვის, რომ კაცობრიობას თავიდან ააცილოს ბირთვული ომის საფრთხე, იბრძოლებს დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის.

ამ ბრძოლაში ჩვენთან ერთად არიან მოძმე სოციალისტური ქვეყნები, ერთნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლები, ყველა კონტინენტის მშვიდობისმოყვარე ქვეყნები, მსოფლიოს ყველა პარტიისანი ადამიანი. მშვიდობის პოლიტიკა გამოხატავს კაცობრიობის ძირეულ საარსებო ინტერესებს, და ამიტომაც მომავალი ასეთ პოლიტიკას ეკუთვნის.

საბჭოთა ზალხს პარტია მიიჩნია თავის ნაცად კოლექტიურ ბელადად, ბრძენ ხელმძღვანელად და ორგანიზატორად. მუშათა კლასის, მშრომელი ზალხის სამსახური პარტიის მთელი საქმიანობის უმაღლესი მიზანი და აზრია. პარტიისა და ზალხის ურუკვი ერთიანობა იყო და არის საბჭოთა საზოგადოების უდრეკი ძალის წყარო. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თვალისჩინივით უფრო თხილდება მშრომელთა ნდობას, დღენიადგ განამტკიცებს თავის კავშირს მასებთან. ზალხი პრაქტიკულად დარწმუნდა, რომ ჩვენი პარტია მოვლენების ყოველი შემობრუნების დროს, ყოველი განსაცდელის დროს თავისი ისტორიული მისიის სიმადლზე რჩება. ლეო-



ნიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხელმძღვანელობით შემუშავებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა კვლავაც თანამიმდევრულად და მიზანდასახულად განხორციელდება.

ლ. ი. ბრეჟნევის ცხოვრება და მოღვაწეობა მუდამ იქნება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი ერთგული სამსახურის შთანთქმავლელი მავალითი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის

ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი გამოიჩინენ მაღალ შეგნებასა და ორგანიზებულობას, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებული შემოქმედებითი შრომით უზრუნველყოფენ კომუნისტური მშენებლობის გეგმების შესრულებას, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას.

საინფორმაციო ცნობა

საბავოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1982 წლის 12 ნოემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს დავალებით პლენუმი გახსნა და სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წევრებმა ღეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სსოვნას პატივი სცეს წუთიერი მწუხარე ღუმლით.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ მძინე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლი.

ღეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, რომელიც ლენინური კომუნისტური პარტიის წევრი იყო 50 წელზე მეტ ხანს, აქედან 18 წელს — მისი ხელმძღვანელის პოსტზე, უდიდესი წვლილი შეიტანა პარტიის რიგების მონოლიტურობის, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში. უაღრესად დიდია მისი როლი მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებაში. ღეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელი, რომელთანაც უშუალოდ არის და-

კავშირებული ჩვენი ქვეყნის ცხოვრების დიდი მიღწევები, — ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვება დიდ სამამულო ომში, ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენა, კოსმოსის კვლევა, ყველა წარმატება საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, სამუდამოდ შევიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ჩვენი დიდი სამშობლოს ისტორიაში.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა ღრმა თანაგრძობა გამოუცხადეს განსვენებულის ნათესავებსა და ახლობლებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევის საკითხი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს დავალებით სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ. მან წამოაყენა წინადადება, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნად აირჩიონ ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნად პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხანაგი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

შემდეგ პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი. მან გულთბადი მადლობა მოახსენა ცენტრალური კომიტეტის პლენუმს დიდი ნდობისათვის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე არჩევისათვის.

ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, კომუნისტურ პარტიას, რომ მთელ თავის ძალ-ღონეს, ცოდნასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას მოახმარს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახული კომუნისტური მშენებლობის პროგრამის წარმატებით შესრულებას, მეშვიდერეობითობის უზრუნველყოფას სსრ კავშირის ეკონომი-

კური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მშვიდობის დამკვიდრების ამოცანების გადაწყვეტაში, მთელი ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარებაში, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევის დროს ხორციელდებოდა.

ამით პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა

ამხანაგებო!

ჩვენმა პარტიამ და ქვეყანამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. შეწყდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამორჩეული მოღვაწის, მგზნებარე კომუნისტის, საბჭოთა ხალხის ერთგული შვილის — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გულის ძეგრა.

გარდაიცვალა თანამედროვეობის უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე. ჩვენს რიგებს გამოაყლდა ამხანაგი და მეგობარი, დიდსულოვანი და დიდბუნებოვანი, გამგები და კეთილმოსურნე, გულისხმიერი და დრამად ჰუმანური ადამიანი. საქმისადმი უსახლტრო ერთგულება, უკომპრომისო მომთხროველობა საკუთარი თავისა და სხვებისადმი, ბრძნული წინდახედულება პასუხსაგებ გადაწყვეტილებათა მიღებაში, პრინციპულობა და გამბედაობა ისტორიის მკვეთრი ცვლილებათა ეჟამ, ადამიანობისადმი უცვლელი პატივისცემა, გულისხმიერება და ყურადღება — აი ის შესანიშნავი თვისებები, რომლებსთვისაც აფასებდნენ და უყვარდათ ლეონიდ ილიას ძე პარტიასა და ხალხს.

გთხოვთ წუთიერი ღემილით პატივი სცეთ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ნათელ ხსოვნას.

ლეონიდ ილიას ძე ამბობდა, რომ მისი ცხოვრების თითოეული დღე განუყოფელია იმ საქმეებისაგან, რომლებითაც ცხოვრობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მთელი საბჭოთა ქვეყანა. და ეს მართლაც ასე იყო.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, დიდი სამამულო ომი და ომისშემდგომი აღდგენა, ყამირის ათვისება და კოსმოსის კვლევა — ყველა ეს დიადი ნიშანდვები საბჭოთა ხალხის შრომისა და ბრძოლის გზაზე, ამავე დროს

კომუნისტ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბიოგრაფიის ნიშანდვებია.

ლეონიდ ილიას ძის სახელთან და საქმეებთან განუხტრედა არის დაეკვირვებული დიადი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ძლიერების ზრდა და ყოველმხრივი თანამშრომლობის ვალრბეება, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის აქტიური მონაწილეობა ჩვენს ეპოქაში კაცობრობის წინაშე მდგომი ისტორიული ამოცანების გადაწყვეტაში, მსოფლიოში ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესის მთელი ძალების სოლიდარობის განმტკიცება. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი მარად ემახსოვრება მადლიერ კაცობრობას როგორც თანამიმდევრული მგზნებარე და დაცუბრომელი მებრძოლი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, იმ მსოფლიო ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, რომელიც კაცობრობას შეექმნა.

კარგად ვიცით, რომ მშვიდობას იმპერიალისტებს ვერ გამოთხოვ. იგი უნდა დავიცვათ მხოლოდ საბჭოთა შეიარაღებული ძალების ურყვე ძლიერებაზე დაყრდნობით. როგორც პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელი, როგორც სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლეონიდ ილიას ძე ნიადგ უთმობდა ყურადღებას იმას, რომ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა თანამედროვე მომთხროვნათა დონეზე ყოფილიყო.

აქ, ამ დარბაზში, შეიკრიბნენ ისინი, ვინც შედის ჩვენი პარტიის შტაბში, რომელსაც თვრამეტ წელს უცვლელად ეღვა სათავეში ლეონიდ ილიას ძე. თითოეულმა ჩვენგანმა იცის, რამდენი ძალ-ღონე შეაღია და სულის მგზნებარება ჩააქსოვა მან ერთსულოვანი, კოლექტიური მუშაობის ორგანიზაციას, იმას, რომ ეს შტაბი კვალადღეს უტყუარ ლენინურ კურსს. თითოეულმა ჩვენგანმა იცის, რა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ლეონიდ ილიას ძემ იმ ჟანალი მორალურ-პოლიტიკუ-



რი ატმოსფეროს შექმნაში, რომელიც დღეს ახსიათებენ ჩვენი პარტიის ცხოვრებასა და საქმიანობას.

ლეონიდ ილიას ძის სახელთან დაკავშირებულია მარქსიზმ-ლენინიზმის დასაცავად ჩვენი პარტიის პრინციპული ბრძოლა, განვითარებული სოციალიზმის თეორიის შემუშავება, კომუნისტური მშენებლობის ყველაზე აქტუალური ამოცანების გადაწყვეტის გზების განსაზღვრა. მის მოღვაწეობას მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში სამართლიანად მისცეს უმაღლესი შეფასება მოძმე პარტიებმა, ჩვენმა საზღვარგარეთელმა კლასობრებმა ძმებმა, სოციალიზმისათვის, კაპიტალის უღლის წინააღმდეგ, დიადი კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის ჩვენმა თანამებრძოლმა ამხანაგებმა.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიცოცხლე შეწყდა მაშინ, როცა მისი აზრები, მეცადინეობა მიმართული იყო ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების იმ უდიდესი ამოცანების გადაწყვეტისადმი, რომლებიც განსაზღვრეს სკვ XXVI ყრილობამ და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებმა. ამ ამოცანების შესრულება, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხელმძღვანელობით შემუშავებული ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო-პოლიტიკური კურსის თანამიმდევრული განხორციელება, ჩვენი უპირველესი მოვალეობაა. და ეს იქნება ჩვენს რიგებს გამოვლენული ხელმძღვანელის ნათელი ხსოვნის საუკეთესო პატივისცემა.

დიდა ჩვენი მწუხრება. მძიმეა ჩვენი დანაკლისი.

ამ ვითარებაში თითოეული ჩვენგანის, თი-

თოეული კომუნისტის ვალია კიდევ უფრო მჭიდროდ შეაჯავშინოს ჩვენი რიგები, კიდევ უფრო მტკიცედ დაიარაღოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, თავის პოსტზე, თავის ცხოვრებაში რაც შეიძლება მეტი გააკეთოს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის, კომუნისმის გამარჯვებისათვის.

საბჭოთა ხალხი უსაზღვროდ ენდობა თავის კომუნისტურ პარტიას. ენდობა იმიტომ, რომ მისთვის არ ყოფილა და არც არის სხვა ინტერესები, გარდა საბჭოთა ადამიანების საარსებო ინტერესებისა. გაამართლო ეს ნდობა—ნიშნავს იარაღს წინ კომუნისტური მშენებლობის გზით, იღვწოდენ ჩვენი სოციალისტური საშობლოს შემდგომი აყვავებისათვის.

ჩვენ, ამხანაგებო, გვაქვს ისეთი ძალა, რომელიც გვეზმარებოდა და გვეზმარება უმძიმეს მომენტებში, რომელიც საშუალებას გვაძლევს გადავწყვიტოთ ურთულესი ამოცანები. ეს ძალაა ჩვენი პარტიული რიგების ერთიანობა, ეს ძალაა პარტიის კოლექტიური სიბრძნე, მისი კოლექტიური ხელმძღვანელობა, ეს ძალაა პარტიისა და ხალხის ერთიანობა.

ჩვენი პლენუმი დღეს იმისთვის შეიკრიბა, რომ პატივი სცეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხსოვნას და უზრუნველყოს იმ საქმის განგრძობა, რომელსაც მან თავისი სიცოცხლე შეაღია.

პლენუმმა უნდა გადაწყვიტოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევის საკითხი.

ვთხოვ ამხანაგებს, გამოთქვან აზრი ამ საკითხზე.

ამხანაგ კ. უ. ჩერენცოს სიტყვა

ძმირფასო ამხანაგებო!

პოლიტიკურად დამავალა გამოვსულიყავი ცენტრალური კომიტეტის ამ რიგგარეშე პლენუმის მონაწილეთა წინაშე.

ჩვენს ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმს ნამდვილად საგანგებო ხასიათი აქვს. ქვეყანა და პარტია დიდად დამწუხრებული არიან. გარდაიცვალა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

საბჭოთა ხალხმა დაკარგა გამოჩენილი ხელმძღვანელი, რომელიც თითქმის ორი ათწლეულის მანძილზე მეთაურობდა პარტიასა და

სახელმწიფოს, მთელ ძალ-ღონესა და უდიდეს ნიჭს ახმარდა საბჭოთა ადამიანების ბედნიერებას, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის საქმეს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კოცობრიობამ დაკარგა მშვიდობის, თავისუფლებისა და სოციალური პროგრესის იდეალური საფუძვლისათვის დიდი, უმშაბრად დაუცხრომელი მებრძოლი. ჩვენ, საბჭოთა კომუნისტებმა, ჩვენმა ძმებმა სოციალისტურ ქვეყნებში, ჩვენმა თანამებრძოლებმა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობაში დაკარგეს ლენინის საქმის ნიჭიერი განმგრძობი, ადამიანი, რომლისაგანაც



ესწავლობდით მშრომელთა ინტერესებისადმი უსაზღვრო ერთგულებას.

ენით უთქმელია ჩვენი მწუხარება ამ დანაკლისის გამო, მაგრამ ამ გლოვის ქაშის ღირსეულ გვეცემს ყველასათვის ძვირფასი ლეონი ილიას ძის ცხოვრების ვაკეეთლები.

ლეონი ილიას ძეს სრულად ჰქონდა მომადლებული ნიჭი მთლიანად ეცხოვრა საზოგადოების ინტერესებით, ხალხის ინტერესებით. ასე იყო ყოველთვის, ჰუმბოლდტის წლებიდან სიციოხლის უქანასკნელ დღემდე.

ლეონი ილიას ძემ კარგად იცოდა, რომ მარტო კეთილი სურვილები ლიტონი სიტყვებია. არ კმარა გამოთქვა სწორი აზრები, საჭიროა განამტკიცო ისინი ზუსტი ორგანიზატორული მუშაობით, გასაგები და მისაწვდომი გახადო მშრომელთა ფართო მასებისათვის. მას უყვარდა ადამიანები. იგი ენდობოდა ადამიანებს.

ლეონი ილიას ძე ვაჭაკური სულის ადამიანი იყო. მან დამტკიცა ეს არა მარტო დიდ სამამულო ომში, რომელიც განვლო პარტიული უქანასკნელ დღემდე. ვაჭაკობას ერთხელაც არ უღალატა მისთვის მთელი ცხოვრების გზაზე. იგი დიდად, მეტად დიდად აფასებდა თითოეულ ამხანაგში გამბედაობას, პრინციპულობას, სიმტკიცეს ყოველგვარი განსაცდელის ქაშის.

ლეონი ილიას ძის გვერდით ყოფნა, მისი მოსმენა, მისი მახვილი გონების, გამპირიასობის, სიციოხლის ტრფიალის თვალნათლივ შეგრძნება იყო სკოლა ყველა ჩვენგანისათვის, ვისაც წილად ზედა ბედნიერება მის მხარდამხარე ემუშავა.

ლეონი ილიას ძე ბრეჟნევი ფასდაუდებელ მემკვიდრეობას ვეიტოვებს. ჩვენი 18-მილიონიანი პარტია ერთიანი და შეკავშირებულია. საბჭოთა ხალხს უსაზღვროდ სწამს პარტიის სიბრძნისა. ჩვენი ცხოვრების ნორმები ვახდა მომთხოვნეობა და პატივისცემა კადრებისადმი, ურღვევი დისციპლინა და გამბედეული სასარგებლო ინიციატივების მხარდაჭერა, შეურიგებლობა ბიუროკრატოზმის ყოველგვარი გამოვლინებისადმი და მუდმივი ზრუნვა მისებთან კავშირის განვითარებისათვის, საბჭოთა საზოგადოების ნამდვილი დემოკრატოზმიისათვის.

ფურთხილდებოდეთ და ვავითარებდეთ ზელმძღვანელობის ამ სტილს, თვალისჩინივით ვიცავდეთ ყველაფერს, რაც თავისი სიტყვითა და საქმით ლეონი ილიას ძემ გვიანდერძა, — ჩვენი ვალა მისი ხსოვნის წინაშე, ჩვენი ვალა, პარტიისა და ქვეყნის წინაშე. მტკიცე საწინდარი იმისა, რომ ასე იქნება,

არის პარტიის ზელმძღვანელი ბირთვი, მისი ცენტრალური კომიტეტი, პოლიტიბიურო, რომელიც ჩამოყალიბდა ლეონი ილიას ძის გადაწყვეტი მიონაწილეობით.

პოლიტიბიუროს სახელით მინდა გამოვთქვა უღრმესი რწმენა, რომ ჩვენი პლენუმი მთელი ქვეყნის, მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყოფს, რომ პარტია კვლავაც მტკიცედ ივლის ლენინური კურსით, რომელიც თანამედროვე ეტაპზე მკაფიოდ და სრულად არის გამოხატული სკკპ XXIII—XXVI ყრილობების გადაწყვეტილებებში. ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომლის შემუშავებასა და შესრულებაში უდიდესი წვლილი შეიტანა ლეონი ილიას ძე ბრეჟნევი, განხორციელდება მტკიცედ, თანამიმდევრულად და მიზანდასახულად.

ჩვენი ორიენტირები იყო, არის და იქნება ხალხის კეთილდღეობა და ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნება.

ჩვენ გვაქვს ვრცელი, კარგად აწონილ-დაწონილი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა. ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს, ასეთია პარტიის მიათობა. ეს კი ნიშნავს ინდუსტრიული და აგარული სექტორების ტექნიკურ განახლებას, მართვის სრულყოფას და, რა თქმა უნდა, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, მისი ნაყოფიერების ზრდას. ამ ბაზაზე ვინუზრეგლ განვითარდება ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკა, გაუმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა. ამავე ბაზაზე განმტკიცდება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა.

ჩვენ გვაქვს ოთხმოციანი წლების ვრცელი კონკრეტული სამშვიდობო პროგრამა. იგი შესაბამება ხალხის მისწრაფებებს. დამატულობის შენელება, განიარაღება, კონფლიქტური სიტუაციების დაძლევა, ბირთვული ომის საფრთხის აღკვეთა — აი ამოცანები, რომლებსაც ვისახავთ. ჩვენ გვინდა საიმედო უშიშროება ჩვენთვის და ჩვენი მეგობრებისათვის, მსოფლიოს ყველა ხალხისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო!

ყველა ჩვენგანს, ალბათ, შეგვხებულა აქვს, რომ მეტად ჰირს იმ დანაკლისის შევსება, რომელსაც ლეონი ილიას ძის გარდაცვალების გამო განვიცდით. ახლა ორკეცად, სამკეცად უფრო საჭიროა კოლექტიურად გაუძღვეთ პარტიის საქმეს. ყველა პარტიულ ორგანოში ერთსულოვანი, ერთობლივი მუშაობა უზრუნველყოფს შემდგომ წარმატებებს როგორც კომუნისტურ მშენებლობაში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი საქმიანობაშიც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა შექმნილი ვითარება და დამა-



იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი

ვალა პლენუმს შევთავაზო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანდ აირჩიოს ამხანაგი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი. საჭიროდ არ მიმაჩნია ვიამბოთ მისი ზოგრაფია. იური ვლადიმერის ძეს კარგად იცნობენ პარტიასა და ქვეყანაში როგორც ლენინური პარტიის საქმისათვის თავდადებულ, ერთგულ კომუნისტს, როგორც ლეონიდ ილიას ძის უახლოეს თანამებრძოლს.

იური ვლადიმერის ძეს აქვს საშინაო და საგარეო პოლიტიკის, იდეოლოგიის დარგში მრავალმხრივი საქმიანობის გამოცდილება. იგი იყო კომკავშირული ხელმძღვანელიც და დიდი პარტიული მუშაკიც, დიპლომატიც. იგი საკმაოდ გაისარჩა სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცებისთვის, ჩვენი სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

ლეონიდ ილიას ძე დიდად აფასებდა მის მარქსისტულ-ლენინურ მრწამსს, პარტიულობას, ფართო გონებრივ პორიზონტს, მის შესანიშნავ საქმიან და ადამიანურ თვისებებს. პოლიტიბუროს ყველა წევრს მიაჩნია, რომ იური

ვლადიმერის ძემ კარგად შეითვისა ხელმძღვანელობის ბრეჟნევისეული სტილი, ხალხის ინტერესებისათვის ბრეჟნევისეული ზრუნვა, კადრებისადმი ბრეჟნევისეული დამოკიდებულება, მტკიცე გადაწყვეტილება მთელი ძალეებით წინააღმდეგს აგრესორთა ზრციებს, დაიცვას და განამტკიცოს მშვიდობა.

იური ვლადიმერის ძისათვის დამახასიათებელია პარტიული თავმდაბლობა, სხვა ამხანაგების აზრის პატივისცემა და კოლექტიური მუშაობისადმი მისწრაფება. პოლიტიბუროს ერთსულოვანი აზრით, ამხანაგი ანდროპოვი ღირსია ცენტრალური კომიტეტის წილობის, პარტიის წილობის.

ძვირფასო ამხანაგებო! თავს ვხრით რა ლეონიდ ილიას ძის ნათელი ხსოვნის წინაშე, ჩვენ საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ დაუცხრომლად განვაგრძობთ ჩვენს აღმშენებლობით მუშაობას. ყველაფერი, რის დამთავრებაც ვერ მოასწრო ლეონიდ ილიას ძემ, ყველაფერი, რაც მისი ხელმძღვანელობით დასახა პარტიამ აღსრულდება.

იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი

იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი დიდად 1914 წლის 15 ივნისს რკინიგზელის ოჯახში სტავროპოლის მხარის სადგურ ნაგუტსკაიაში. აქვს უმაღლესი განათლება. სკკპ წევრია 1939 წლიდან.

თექვსმეტი წლის კომკავშირული იყო, როცა ი. ვ. ანდროპოვმა მუშად დაიწყო მუშაობა ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკის ქალაქ მოზდოკში. შემდეგ მისი შრომითი ბიოგრაფია ვაგრძელდა ვოლგის სანაოსნოს გემებზე, სადაც მებრუნებდა მუშაობდა.

1936 წლიდან ი. ვ. ანდროპოვი კომკავშირულ სამუშაოზე.

იგი არჩეული იყო იაროსლავლის ოლქის ქალაქ რიბინსკის სანაოსნო ტრანსპორტის ტექნიკუმის კომკავშირული ორგანიზაციის განათავისუფლებულ მდივანდ. მორე დააწინაურეს სრულიად საკავშირო ალკე ცენტრალური კომიტეტის კომორგის თანამდებობაზე ქალაქ რიბინსკის ვოლოდარსკის ქახელობის ვემოსაშენში. 1938 წელს იაროსლავლის ოლქის კომკავშირულეებმა ი. ვ. ანდროპოვი აირჩიეს სრულიად საკავშირო ალკე იაროსლავლის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანდ. 1940 წელს ი. ვ. ანდროპოვს ირჩევენ კარელიის ალკე ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანდ.

დიდი სამამულო ომის პირველი დღეები-

დანე ი. ვ. ანდროპოვი კარელიაში პარტიზანული მოძრაობის აქტიური მონაწილეა. 1944 წელს, ფაშისტ დამპყრობთაგან პეტროზავოდსკის განთავისუფლების შემდეგ, ი. ვ. ანდროპოვი პარტიულ სამუშაოზეა. მას ირჩევენ პარტიის პეტროზავოდსკის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანდ, 1947 წელს კი კარელიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანდ.

1951 წელს ი. ვ. ანდროპოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით გადაწყაეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში და ნიშნავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსპექტორად, შემდეგ კი ქვეგანყოფილების გამგედ.

1953 წელს პარტიამ ი. ვ. ანდროპოვი დიპლომატიურ სამუშაოზე გადაზავა. რამდენიმე წელს იყო იგი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში.

1957 წელს ი. ვ. ანდროპოვი დააწინაურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგედ.

პარტიის XXII და მომდევნო ყრილობებზე ი. ვ. ანდროპოვს ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად.



1962 წელს ი. ვ. ანდროპოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივად აირჩიეს.

1967 წლის მაისში ი. ვ. ანდროპოვი ინიშნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ. იმავე წლის ივნისში იგი არჩეულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბუროს წევრობის კანდიდატად.

1982 წლის მაისში ი. ვ. ანდროპოვი აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივად.

1973 წლის აპრილიდან ი. ვ. ანდროპოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბუროს წევრია.

უფრო ვლადიმერის ძე ანდროპოვი სსრ კავშირის მთელი რიგი მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

ყველა პოსტზე, სადაც კი პარტიის ნებით იღვწოდა ი. ვ. ანდროპოვი, ვლინდებოდა მისი ერთგულება ლენინის, პარტიის დიადი საქმიანობისადმი. იგი მთელ თავის ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას ახმარს პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, კომუნისტური იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლას.

სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის ი. ვ. ანდროპოვს — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს — 1974 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. იგი დაჯილდოებულია ოთხი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციისა და წითელი დროშის ორდენებით, სამი შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

სამშრომლო მიტინგი წითელ მოედანზე

ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა

ამხანაგებო!

მძიმე დანაკლისი განიცადეს ჩვენმა პარტიამ, ჩვენმა ხალხმა, მთელმა მოწინავე კაცობრობამ. დღეს ვეთხოვებით ჩვენი სამშობლოს სახელგანთავსებელს, მგზნებარე მარქსისტ-ლენინელს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამორჩენილ ხელმძღვანელს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის უთვალსაჩინოეს მოღვაწეს, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის დაუცხრომელ მებრძოლს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს. ნება მიბოძეთ, უწინარეს ყოვლისა, ღრმა თანაგრძნობა გამოუცხადო ლეონიდ ილიას ძის ოჯახსა და ახლობლებს.

ლეონიდ ილიას ძე ეყუთვნოდა იმ პოლიტიკურ ხელმძღვანელთა პლეადას, რომლებიც აღიზარდნენ და გამოიწერთნენ დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დამკვიდრებისათვის, ლენინის ანდერძის განხორციელებისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბჭოთა ხალხის თავდადებული ბრძოლის წლებში.

მუშა და მეომარი, გამორჩენილი ორგანიზატორი და ბრძენი პოლიტიკური მოღვაწე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ხალხთან სისხლხორცეულად, განუკრელად იყო დაკავშირებული. მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ეწვემდებარებოდა მშრომელი ადამიანების ინტერესების სამსახურს. მთელი თავისი ხალხის ნიჭი, მთელი თავისი უდიდესი ენერჯია მან მოახმარა სოციალიზმის — თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის,

მშრომელი ადამიანების ძმობის საზოგადოების საქმეს.

პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის უმაღლეს პოსტებზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოღვაწეობასთან დაკავშირებული ჩვენი პარტიისა და ქვეყნის ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდი. მისი ხელმძღვანელობით მუშავდებოდა და თანამიმდევრულად ხორციელდებოდა პარტიის პოლიტიკა, რომელიც გამსჭვალულია მუდმივი ზრუნვით მშრომელი ადამიანისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მტკიცედ დამკვიდრდა პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმები, ერთსულოვანი, ერთობლივი მუშაობის სასიკეთო ატმოსფერო.

ხალხის მეხსიერებაში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი საშუღამოდ დარჩება როგორც მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის გამორჩენილი მებრძოლი. იგი თანამიმდევრულად, სულის მთელი მგზნებარებით იბრძოდა საერთაშორისო დამაბულლობის შენელებისათვის, იმისათვის, რომ კაცობრიობა ეხსნა ბირთვული ომის საფრთხისაგან, განემტკიცებინა სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირება და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა.

ამხანაგებო! ამ მწუხარების ქაშს, როცა ვეთხოვებით ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, მთელი ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი აცხადებენ, რომ ურყევად აქვთ გადაწყვეტილი მტკიცედ და თანამიმდევრულად განხორციელონ ის სტრატეგიული გეზი სა-

შინაო და საგარეო პოლიტიკაში, რომელიც შემუშავდა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის კეთილნაყოფიერი გავლენით.

საბჭოთა აღმავლობის, რომელიც კიდევ უფრო შვიდროდ ირავებოდა პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და მისი კოლექტიური ხელმძღვანელობის ვარშემო, აცხადებენ, რომ მხარს უჭერენ პარტიის პოლიტიკას, უსაზღვროდ ენდობიან მას. პარტია კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს იმისათვის, რომ კიდევ უფრო აამაღლოს ხალხის ცხოვრების დონე, განავითაროს საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიული საფუძვლები, განამტკიცოს ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება, დაამყაროს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მომყვ ხალხთა მეგობრობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტი განუხრებლად განაზოტრციელებს პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა ხალხის ნებას.

ჩვენ ძალ-ღონეს არ დავიშვრებთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ სოციალისტური სახელმწიფოების დიადი თანამეგობრობის შეკავშირება, მთელი მსოფლიოს კომუნისტთა რბგების ერთიანობა საერთო მიზნებისა და იდეალებისათვის ბრძოლაში. ჩვენ შევინარჩუნებთ და განვავითარებთ სოლოდარობასა და თანამშრომლობას კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებთან, ერთვნილი დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ხალხთა ბრძოლასთან. ყოველთვის ვიქნებით მშვიდობისათვის, საერთაშორისო დამაბულობის შენელებისათვის ბრძოლის საქმის ერთგული.

რთულ საერთაშორისო ვითარებაში, როცა იმპერიალიზმის ძალები ცდილობენ ხალხებს

უბიძგონ მტრობისა და სამხედრო კონფრონტაციის გზისაკენ, პარტია და სახელმწიფო ურყევად დაცივენ ჩვენი სამშობლოს საარსებო ინტერესებს, უზრუნველყოფენ დიდ სიფხიზლეს, მზადყოფნას გამანადგურებელი ლახვარი ჩასკენ აგრესიის ყოველგვარ ცდას. ისინი ამრავლებენ თავიანთ მეცადინეობას ხალხთა უშიშროებისათვის ბრძოლაში, განამტკიცებენ თანამშრომლობას პლანეტის მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებთან. ყოველთვის მზად ვართ ყველა სახელმწიფოსთან, ვინც ამას მოისურვებს, პატიოსანნი, თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის.

ამ მწუხარების დღეებში განსაყუთრებული ძალი ვგრძნობთ ჩვენი პარტიის, საბჭოთა ხალხისადმი სოციალიზმის ქვეყნების მშრომელების, მომყვ პარტიების, სოციალური პროგრესისათვის ყველა მებრძოლის მხარდაჭერასა და სოლიდარობას. მადლობელი ვართ მათი ამისათვის. ვემადლიერებთ აგრეთვე ყველა კონტინენტის ბევრი ქვეყნის მთავრობებსა და ხალხებს, რომლებმაც ამ დღეებში პატივი სცეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხსოვნას.

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ აცხადებს, რომ მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის საქმისადმი, კომუნისტებისა და მშვიდობის საქმისადმი სამსახური, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე შეაღია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის, არის და კვლავაც იქნება მთელი მისი საქმიანობის უმაღლესი მიზანი და აზრი.

მშვიდობით, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე! შენი ხსოვნა არასდროს არ ჩაჭრება ჩვენს გულში, შენი საქმე გაგრძელდება ჩვენი პარტიისა და ხალხის მიღწევებში!

დ. თ. უსტინოვის სიტყვა

ძმირფასო! ამხანაგებო!

ამ ძნელ ეამს ჩვენ ყველანი დიდ მწუხარებას განვიცდიოთ. ჩვენგან წავიდა ჩვენი ამხანაგი და თანამებრძოლი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის მარშალი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მთელი დიდი და ნათელი ცხოვრება უკლებლივ მოხმარდა ხალხს, კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა სახელმწიფოს. იგი სამარადეამოდ დარჩება ყვე-

ლა საბჭოთა აღმავანისათვის იმის მავალითად, თუ როგორ უნდა იცხოვროს და იმუშაოს ერთგულმა ლენინელმა, ნამდვილმა კომუნისტმა, ქემშარბტმა პატრიოტმა და ინტერნაციონალისტმა.

კაცობრიობის მადლიერ ხსოვნაში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი დარჩება როგორც დამაბულობის შენელების გამოჩენილი ხუროთმოძღვარი, როგორც მშვიდობის დაუცხრომელი და უდრეკი მებრძოლი.

დიდი სამამულო ომის პირველიდან ბოლო დღეებამდე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ფრონტზე იყო. სამბრძოლო ვითარების ყვე-

ლაზე ძნელ პირობებში პირადი მაგალითითა და მგზნებარე პარტიული სიტყვით მიუძღვოდა მეომრებს გამარჯვებისაკენ. ლეონიდ ილიას ძე უშუალოდ მონაწილეობდა ბევრი ოპერაციის გეგმების შედგენასა და განხორციელებაში, დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა ჯარებში.

მან უდიდესი წვლილი შეიტანა სახალხო მეურნეობის ომისშემდგომ აღდგენაში. ლეონიდ ილიას ძის სახელთან დაკავშირებულია სსრკავშირში განვითარებული სოციალიზმის ამეცნება, ჩვენი საშობლოს უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები. დიდ ძალ-ღონესა და ენერჯიას ახმარდა ლეონიდ ილიას ძე რაკეტულ-კოსმოსური ტექნიკის შექმნის სამუშაოებს.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჯნევი შეუწელებელ ყურადღებას უთმობდა ჩვენი ქვეყნის საიმედო თავდაცვისუნარიანობის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის უშიშროების უზრუნველყოფას! იგი ყოველდღიურად ზრუნავდა საბჭოთა შეიარაღებული ძალებისათვის. უადრესად ნაყოფიერი იყო მისი საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავდა თანამედროვე სამხედრო ტექნიკით არმიისა და ფლოტის აღჭურვას, უმაღლეს დონეზე მათი საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებას.

საბჭოთა ხალხის დიდი შვილი — ლეონიდ ილიას ძე ბრეჯნევი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მასთან მთელი თავისი ცხოვრებით, მთელი თავისი მუშაობით, ჯარგად იცნობდა და ღრმად ესმოდა მშრომელი კაცის საზრუნავი

და საჭიროებანი. იგი იცნობდა ჯარისკაცის ცხოვრებასაც დღენიდაც, მამობრივად ზრუნავდა არმიისა და ფლოტის მეომრებისათვის. მეომრებიც ამ ზრუნვას დიდი სიყვარულით უპასუხებდნენ.

ამხანაგებო!
ამ დღეებში შეიარაღებული ძალების მეომრები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. მუდამ მტკიცედ ვერთგულებთ ოქტომბრის იდეებს, მუდამ ერთად ვიღვავებთ კომუნისტური მშენებლობის დიადი მიზნების მისაღწევად.

კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი საბჭოთა შეიარაღებული ძალები იყო და კვლავ იქნება ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების მძლავრი ფაქტორი. ისინი მუდამ მზად არიან დაცვან ჩვენი საზღვრების ხელშეუვალობა და საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომა, პირნათლად მოიხადონ თავიანთი პატრიოტული და ინტერნაციონალური ვალი.

ამ მწუხარების ეამს საბჭოთა კავშირის მარშლის ლეონიდ ილიას ძე ბრეჯნევის კუბოსთან საბჭოთა შეიარაღებული ძალები ძირს ხრიან საბრძოლო დროშებს.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო!

შენი სოვნა მარად იცოცხლებს ჩვენს გულში, კომუნისტური პარტიის საქმეებსა და საბჭოთა ხალხის მიღწევებში!

ა. პ. ალექსანდროვის სიტყვა

პატივცემულ ამხანაგებო!

მთელ ხალხთან ერთად საბჭოთა მეცნიერები ღრმად დაწამუნებარ თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკური მიღვაწის, ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის მებრძოლის ლეონიდ ილიას ძე ბრეჯნევის გარდაცვალებამ. ისევე, როგორც თავის დროზე დიდ ლენინს, ლეონიდ ილიას ძე ბრეჯნევის მიჩნდა, რომ ჩვენს ქვეყანაში ახალი საზოგადოების, განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების ორგანიზაცია შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ფართოდ გამოვიყენებთ თანამედროვე მეცნიერებას წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და ინტენსიური განვითარების გზაზე ეკონომიკის გადაყვანისათვის.

იგი ღრმად და სწორად აფასებდა ფუნდამენტური და გამოყენებითი გამოკვლევების საჭირო თანაფარდობას, დიდ დახმარებას უწევდა მეცნიერების ახალ მიმართულებათა შექმნა-განვითარებას.

ლეონიდ ილიას ძემ უდიდესი შრომა მოახმარა საბჭოთა კავშირის ენერგეტიკული ბაზის განვითარებასა და შექმნას, სასურსათო პრობლემისა და სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის პრობლემების გადაჭრას ჩვენი საშობლოს განვითარების ხანგრძლივი პერიოდისათვის. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მისი ხელმძღვანელობით მიიღწია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების მრავალგზის გადიდება და ეს უდიდესი ძლიერება მოახმარა მთელი კაცობრიობის მთავარი ამოცანის — საერთაშორისო

დაძაბულობის შენელების, მშვიდობის შენარჩუნების ამოცანის გადაწყვეტას.

ლეონიდ ილიას ძეს, როგორც მშვიდობისა და განიარაღებისათვის მებრძოლს, ჩვენი პლანეტის ყველა ადამიანი იცნობს. დიდი სამამულო ომის დაწყებიდან განაჩვენების დღემდე ლეონიდ ილიას ძე ფრონტზე იყო. იგი ზედავდა, თუ რა უბედურება მოაქვს ომს ხალხებისათვის, და საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა, რომ ყველა ხალხის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დაცემა ქვეყნად მშვიდობა. თავისი უდიდესი ენერჯია, თავისი კომუნისტური პრინციპულობა ლეონიდ ილიას ძემ მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას მოახმარა.

დაუცბრომლად ზრუნავდა ლეონიდ ილიას ძე ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შემუშავებისას მისმა პრინციპულმა მითითებებმა უდიდესი პოზიტიური ზეგავლენა მოახდინა სოციალისტური დემოკრატიის განვითარებაზე.

როგორც ლენინის დიდი საქმის ერთგულმა განმგრძობმა, მან დიდი შემოქმედებითი წვლილი შეიტანა მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებაში. ამ დამახაურებისათვის სსრ

კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ ლეონიდ ილიას ძეს მიანიჭა თავისი უმაღლესი ჯილდო — კარლ მარქსის სახელობის ოქროს მედალი.

ლეონიდ ილიას ძის მთელმა შეგნებულმა ცხოვრებამ ოქტომბრის შემდეგ ჩაიარა. მისი ცხოვრების სკოლა ძნელი იყო, და მხოლოდ მისმა არაჩვეულებრივმა ნიჭმა და ხალხზე დაყრდნობამ დააყენა იგი ასეთ გამოჩრეულ ცხოვრების გზაზე, რომელიც ხალხის კეთილდღეობას მიემდგინა.

ამხანაგებო!

საბჭოთა მეცნიერებს, რომლებიც გულისტკივილით ეთხოვებოდნენ ლეონიდ ილიას ძეს, თავიანთ მოვალეობად მიიჩნიათ კიდევ უფრო მჭიდროდ დაიარაზონ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. უფრო აქტიურად და ორგანიზებულად იმოქმედონ მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა ფრონტზე, რათა უზრუნველყონ ჩვენი საშობლოს ისეთი პროგრესი, რომლისთვისაც მოგვიწოდებდა ლეონიდ ილიას ძე!

3. 3. კუშპარიოვის სიტყვა

ამხანაგებო!

ღრმა მწუხარებით არის აღვსილი ჩვენი გული. მოსკოვის მშრომელები ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად ეთხოვებიან ლენინის დიდი საქმის განგრძობას, მშვიდობისა და კომუნისტებისათვის მგზნებარე მებრძოლს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

მწარეა იმის შეგნება, რომ გარდაიცვალა კაცო, რომელმაც მთელი სიცოცხლე და ქვემარტად ტიტანური შრომა მთლიანდ თავიანთ მარა პარტიის დიდ საქმეს, ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას.

ლეონიდ ილიას ძე, რომელმაც თავისი შრომითი ბიოგრაფია მუშად, ქარხნის საყვირით დაიწყო, ყოველთვის და ყველაფერში ახლობელი იყო მუშათა კლასისათვის, ყველა მშრომელისათვის, განუყრელად იყო დაკავშირებული მათთან.

საბჭოთა ადამიანები ლეონიდ ილიას ძეს უპასუხებდნენ წრფელი, გულთაღი სიყვარულით, უდიდეს პატივს სცემდნენ მას და უსაზღვროდ ენდობოდნენ. ყველა თავიანთ წარმატებას კომუნისტურ მშენებლობაში, საშობლოს ძლიერების განმტკიცებაში ისინი სამართლიანდ უკავშირებდნენ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელს, მის პარტიულ და სა-

ხელმწიფო მოღვაწეობას, მის პირად წარმართველ მონაწილეობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის შემუშავებასა და განხორციელებაში.

პარტიისა და სახელმწიფოს უმაღლეს პოსტებზე ყოფნისას ლეონიდ ილიას ძე ოცდახუთწელზე მეტ ხანს ცხოვრობდა და მუშაობდა ჩვენი დიდი საშობლოს დედაქალაქში. იგი ნიადაგ დიდ ყურადღებას უთმობდა მოსკოვს, სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად მის გადაქცევას, მიდიოდა შრომითს კოლექტივებში, გულთადად ესაუბრებოდა მოსკოველებს, მამობრივად ზრუნავდა მათი შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ლეონიდ ილიას ძე არაერთხელ აურჩევიათ სკკპ ყრილობების დელეგატად დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციისაგან, ხანგრძლივი დროის მანძილზე იყო მოსკოველთა დემუტატი სსრ კავშირისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოებში.

მე წილად მხვდა პატივი ვყოფილიყავი ნდობით აღტურვლი პირი, როცა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი კენჭს იყრიდა რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ბაუმანის საარჩევნო ოლქში. და მე კარგად ვიცი,



თუ რა ახლოს მიჰქონდა გულთან მას ადამიანთა საკითრებანი, ამომრჩეველთა განაწესებები, თუ რა დიდი გულთბილობით ეკიდებოდა თითოეულ ადამიანს, რომელთანაც უხვდებოდა შეხვედრა.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიყვდილი განუზომლად მძიმე დანაკლისია პარტიისათვის, საბჭოთა სახელმწიფოსათვის, მაგრამ მწუხარება დანებულობას ვერ შეიტანს ჩვენი რიგებში. მოსკოვის მუშათა კლასი, მშრომელები, ისევე როგორც მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხი, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირახმებიან

მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გარშემო. ჩვენ ვამარაველეთ შრომითს მეცადინეობას, რათა მარად ცოცხლობდეს და იმარჯვებდეს ლენინის საქმე, ოქტომბრის საქმე, რათა ხორცს ისხამდეს ქვეყნად კომუნნიზმისა და მშვიდობის იდეალები, რომლებსაც მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე შეაღია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე!

ა. თ. გორდინეაძის სიტყვა

დმირწასანო ამხანაგებო!
ყოველმა დნებროძეჩინსკელმა, დნებროპეტროვსკელმა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, დიდი გულისტკივილით შეიტყო საბჭოთა ხალხის ერთგული შვილის, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლის, ჩვენი ძვირფასი, დავიწყარი თანამემამულის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარდაცვალების ამბავი.

უდიდესი ნიჭის, იშვიათი მომხიბლაობის ადამიანის ლეონიდ ილიას ძის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი ქალაქის ბელი. აქ დაიბადა და გიზარდა იგი. აქ შევიდა კომკავშირში. აქ 1931 წლის ოქტომბერში გახდა ლენინური პარტიის წევრი. ძეჩინსკის სახელობის ქარხანაში გააარა პირველი მუშური უნივერსიტეტები, შეითვისა მუშათა კლასის საუკეთესო თვისებები.

მას შემდეგ ლეონიდ ილიას ძე ყველგან და ყოველთვის კომუნნიზმისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზზე იყო. იგი შთააგონებდა ადამიანებს, მიუძღოდა მათ ახალი მიღწევებისაკენ დიდი ლენინური იდეალების გამარჯვებისათვის.

ლეონიდ ილიას ძე მუდამ მჭიდროდ იყო დაკავშირებული მშობლიურ ქალაქთან, ჩვენს საქალაქო პარტიულ ორგანიზაციასთან. მთელი თავისი მოუცლელობის მიუხედავად იგი პოულობდა დროსა და შესაძლებლობას ჩასწვდომოდა ჩვენს საქმეებს, გვახსენებდა გულთბილი სიტყვითა და მამობრივი რჩევა-დარიგებით. დნებროძეჩინსკის, მთელი დნებროპეტროვსკის ოლქის კომუნისტები, მშრომელები ნიადაგ გრძნობდნენ ყველა ჩვეყანისათვის საყვარელი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ყურადღებასა და ზრუნვას. ჩვენს ხსოვნაში წა-

რუშლელი კვალი დატოვა მისმა შეხვედრებმა, გულთბილმა, გულითადმა საუბრებმა თანამემამულეებთან, დიდმა ინტერესმა მათი ცხოვრებისა და მუშაობისადმი.

ლეონიდ ილიას ძის უდიდესი საბრძოლო და შრომითი დამსახურების აღსანიშნავად მის სამშობლოში — ქალაქ დნებროპეტროვსკში ბრინჯაოს ბიუსტი დაიდგა. იგი მუდამ მოგვაგონებს, თუ რა დიდი პატივი და რა დიდი პასუხისმგებლობა გვაქვსრია, როგორც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის თანამემამულეებს.

ძნელი დასაჯრებელია, რომ ლეონიდ ილიას ძე აღარ შეგვხვდებოდა, აღარ ჩამოვა ჩვენთან, აღარ გამოიქოთხავს, როგორც მუშაობენ ქარხნები, როგორ მიმდინარეობს მშენებლობა, აღარ მოიქოთხავს ადამიანებს, აღარ დაინტერესდება პარტიის საქალაქო კომიტეტის საქმეებით. გვიძიმის ამბზე ფიქრი. დანაკლისი აუნახლურებელია.

მედგარმა მარქსისტ-ლენინელმა, გამოცდილმა პარტიულმა ხელმძღვანელმა, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა დიდი და სახელოვანი ცხოვრება განვლო. მან ბევრი რამ გააკეთა ჩვენი მრავალტროვანი საბჭოთა სამშობლოსათვის. მისი ნათელი სახე მარად იცოცხლებს დნებროპეტროვსკის მშრომელების, ყველა საბჭოთა ადამიანის გულში, როგორც კომუნისტური პარტიის საქმისადმი, საბჭოთა ხალხის საქმისადმი ერთგულების შთამაგონებელი მაგალითი.

განუზრების ამ მძიმე ეპის კარგად გვესმის, რომ მისთვის საუკეთესო ძეგლი იქნება ჩვენი თავდადებული შრომა სკკპ XXVI ყრილობის წინასწარდასახულობათა შესრულებისათვის ჩვენი საყვარელი სამშობლოს მშვიდობისა და კომუნნიზმის საყეთილდღეოდ.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე!



სახელმწიფო სტატისტიკის კომიტეტი

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის განვითარება 1921—1980 წწ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ მემკვიდრეობით მიიღო ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა. 1917 წლის აღწერით გლეხურ მეურნეობათა 51%-ს სრულებით არ გააჩნდა მიწა, 15%-ს არ ჰყავდა პირუტყვი, უძროხო მეურნეობათა რიცხვი 37%-ს უდრიდა. 39%-ს არ ჰყავდა მუშა პირუტყვი, ყოველ 100 დესეტინა ნათესზე საშუალოდ 34 უღელი ხარი და 3,7 უღელი კამეჩი მოდიოდა.

აღნიშნულ პირობებში ადგილი წარმოსადგენია თუ როგორი იქნებოდა მშრომელი გლეხების მდგომარეობა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ დღეებიდანვე საქართველოში დაიწყო გაჩანაგებული სოფლის მეურნეობისათვის უდიდეს ღონისძიებათა განხორციელება.

ამ მხრივ, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დეკრეტი მიწის ნაციონალიზაციის შესახებ, რომელიც 1921 წლის 6 აპრილს გამოვიდა, რითაც მშრომელ გლეხობას მიწით სარგებლობის ფართო ასპარეზი მიეცა. 1921 წლიდან მოყოლებული იმ მიწების გარდა, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მის სარგებლობაში ან საკუთრებაში იყო მათ მიიღეს 900 ათას ჰექტარამდე მიწა. უკვე 1927 წელს გლეხობის შრომით სარგებლობაში იყო 2015 ათასი ჰექტარი მიწა, ნაცვლად 1917 წლის 343 ათასი და 1921 წლის 1245 ათასი ჰექტარისა. მაგრამ, დაქუცმაცებულ, წვრილ-გლეხურ მეურნეობათა არსებობის პირობებში შეუძლებელი იყო სოფლის მეურნეობის მოკლე დროში აღდგენა და მისი შემდგომი განვითარება. არ არსებობდა პირობები მიწათმოქმედებაში თანამედროვე ტექნიკის გამოყენებისა და საერთოდ არ ხდებოდა მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება. ამიტომ, დღის წესრიგში დადგა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის განხორციელების აუცილებლობა.

სწორედ ამას ითვალისწინებდა ლენინური კოლპერაციული გეგმა, რომლის თანახმად ჩვენში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში წინათ დაქსაქსული წვრილი გლეხური მეურნეობის ნაცვლად შეიქმნა მსხვილი, კოლექტიური მეურნეობები, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობები. ფართოდ გაიშალა კოლპერაციული მოძრაობა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში. მაგრამ კოლმეურნეობათა მშენებლობა აღდგენით პერიოდში ერთობ დაბალი ტემპით მიმდინარეობდა. 1925 წლისათვის საქართველოში იყო სულ 19 კოლმეურნეობა. აქედან — 4 კომუნა, 13 სასოფლო-სამეურნეო არტელი და 2 მიწის ერთობლივად დამმუშავებელი ამხანაგობა. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულეს საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც იყვნენ მავალითისა და ნიმუშის მაჩვენებლები კოლექტიური მეურნეობის უპირატესობისა ინდივიდუალურ მეურნეობასთან შედარებით. კოლექტივიზაციის განხორციელებამ დიდად შეუწყო ხელი 1929 წ. წარმოშობილმა მტს-ბმა, რომლის მნიშვნელობა იმაში გამოიხატებოდა, რომ მათი სახით სოციალისტური სახელმწიფო ახორციელებდა ხელმძღვანელობასა

ქ. მარტინის სახ. ს.ა. სსრ
სახელმწიფო სტატისტიკის
კომიტეტი

და დახმარებას კოლმეურნეობებისა კოლმეურნეებისადმი. თუ 1929 წ. რესპუბლიკაში არსებობდა 3 მტს-ი, 1933 წ. მათი რიცხვი გაიზარდა 31-მდე.

როგორც კავშირში, ისე საქართველოში საკოლმეურნეო მოძრაობა სწრაფად განვითარდა 1929 წლიდან. კოლმეურნეობათა რიცხვი 1928 წ. თუ უდრიდა 239-ს, 1929 წ. 1 ოქტომბერს მან 839 შეადგინა, მაგრამ კოლექტივიზაციის დონე მხოლოდ 6,3 % უდრიდა. ასე, რომ თუ 1929 წელი კავშირის მასშტაბით მიჩნეული იქნა დიადი გარდატეხის წლად, ეს არ ითქმოდა საქართველოზე, რადგან აქ იმ პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი ეკონომიკური და პოლიტიკური წინამძღვრები მასობრივი კოლექტივიზაციისათვის. მიუხედავად ამისა, ცენტრისა და ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიერ გადადგმული იქნა არასწორი ნაბიჯი ხელოვნურად კოლექტივიზაციის სწრაფი ტემპით განვითარებისათვის, რის შედეგადაც, უკვე 1930 წ. კოლექტივიზაციის დონემ რესპუბლიკაში 63,7 % შეადგინა. დამახინჯების არსი მდგომარეობდა ერთის მხრივ, იმაში რომ კოლმეურნეობებში გაერთიანება ხდებოდა არა ნებაყოფლობით, არამედ — ადმინისტრაციული გზით. განსაკუთრებით ასეთ ზომებს იღებდნენ საშუალო გლეხობის მიმართ. ვარდა ამისა, კულაკობის — როგორც კლასის ლიკვიდაციის პოლიტიკის განხორციელება ხდებოდა არა მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, არამედ როგორც მოესურვებოდათ და ხშირად საშუალო გლეხობასაც კი ურევდნენ მასში. ყოველივე ეს იწვევდა გლეხური მასების დიდ უკმაყოფილებას, რის შედეგადაც 1930 წ. 1 ოქტომბრისათვის კოლექტივიზაციის დონე შემცირდა 16,2 %-მდე. დამახასიათებელია, რომ ამ პერიოდში უპირატესად იქმნებოდნენ ფიქტიური კოლმეურნეობები, ხოლო ჯანსაღი მეურნეობები ინარჩუნებდნენ არსებობას. გამოამყვანა რა პარტიამ საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომების არსი, მიიღო და განახორციელა შესაფერისი ღონისძიებები ამ მიმართულებით. უკვე 1931 წელს, როდესაც საშუალო გლეხობამ იბრუნა პირი კოლმეურნეობებისაკენ, მოხდა გარკვეული გარდატეხა და კოლექტივიზაციის დონემ ამ წელს მიადწია 37,4 %-ს, 1935 წელს კი — 44,5 %-ს, ხოლო 1937 წლის ბოლოს — 76,5 %-ს. კოლმეურნეობები ამ პერიოდში უკვე წარმოადგენდნენ მარცვლეულის, ჩაის, თამბაქოსა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ძირითად მწარმოებლებს.

წერილგლეხურ მეურნეობათა კოლმეურნეობებში გაერთიანებით შესაძლებელი გახდა მანქანებზე დამყარებული მიწათმოქმედების შექმნა. სოფლის მეურნეობრივი შრომა შეუჩერებლად მიემართებოდა მექანიზაციის გზით. ამავე პერიოდში, ჩამოყალიბდა სხვადასხვა წარმოებრივი მიმართულების რამდენიმე ათეული საბჭოთა მეურნეობა, სადაც უახლოესი ტექნიკისა და მოწინავე აგროწესების საფუძველზე იქმნება სოფლის მეურნეობის პროდუქცია.

ვ. ი. ლენინის კოაპერაციული გეგმების საფუძველზე სოფლის მეურნეობის სოციალისტურმა გარდაქმნამ როგორც მთელ კავშირში, ისე საქართველოს სოფლებში, უზრუნველყო ახალი სოციალისტური ყოფაცხოვრების განმტკიცება. 1937 წლისათვის საკოლმეურნეო წყობილებამ საბოლოოდ გაიმარჯვა საქართველოში. მისი დაპყვიდრებით, სოციალისტური მეურნეობის სისტემა სოფლის მეურნეობის წარმოების ერთადერთი გაბატონებული ფორმა გახდა.

1940 წლისათვის რესპუბლიკაში ითვლებოდა 4199 კოლმეურნეობა, რომელშიაც გაერთიანებული იყო ყველა გლეხური მეურნეობის 94,1%. მათ შორის 48 მილიონერი კოლმეურნეობა იყო. სოფლის მეურნეობას ამ დროს ჰყავდა: 3768 აგრონომი და ინჟინერ-მექანიზატორი, 901 ვეტეკი და ზოოტექნიკოსი.

სულ საქართველოში იყო 58 მტს-ი რომელთაც ჰქონდათ 2400 ტრაქტორი, 500-მდე კომბაინი, 155 სატვირთო მანქანა და ბევრი სხვა რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანა.

ამგვარად, ომამდელ ხუთწლებებში სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის შედეგად მშრომელი გლეხობა გადაყვანილ იქნა ერთპიროვნულ მეურნეობიდან, სოციალისტური მეურნეობის გზაზე, განადგურებულ იქნა კულაკობა როგორც კლასი, მოისპო სოფლის მეურნეობის მუშაკთა ექსპლოატაციის აღმოცენების შესაძლებლობა. სოციალიზმმა გაიმარჯვა სოფლად.

სოფლად მომხდარი რევოლუციური გადატრიალება იყო ნახტომი საზოგადოების ძველი თვისებრივი მდგომარეობიდან, ახალ თვისებრივ მდგომარეობისაკენ. კოლმეურნეობრივმა წყობილებამ ქართული გლეხობა კულტურისა და შეძლებული ცხოვრების გზაზე გამოიყვანა.

მაგრამ დიდმა სამამულო ომმა შეაჩერა სოფლის მძლავრი აღმავლობის მაჩისცემა. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მალაკვალიფიციური სპეციალისტები ფრონტზე იქნენ გაწვეულნი და შრომის უნარიანი კოლმეურნეთა რიცხვი 800 ათასიდან (1940 წ.) შემცირდა 408 ათასამდე (1944 წ.), კოლმეურნე გლეხები, განსაკუთრებით კი ქალები, უდიდეს შრომით აღმავლობას იჩენდნენ. მათი ენერგიული და თავდადებული შრომის შედეგად სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებში ნათესი ფართობი კი არ შემცირდა, არამედ გადიდდა კიდევ. გაიზარდა აგრეთვე მოსავლიანობა, წარმატებები იქნა მოპოვებული პირუტყვის სულადობის ზრდის საქმეში. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფოს აბარებდნენ გაცილებით მეტ პროდუქციას ვიდრე ომის წინ.

ძლიერამოსილად დაამთავრა რა დიდი სამამულო ომი, საბჭოთა ხალხი, სკკპ ხელმძღვანელობით შეუდგა ქვეყნის სახალხო მეურნეობის და, მათ შორის, სოფლის მეურნეობის აღდგენას, მაგრამ პირველ წლებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესაძლებლობანი ჯერ კიდევ არ იყო მთელი სისრულით გამოყენებული. სოფლის მეურნეობა ჩამორჩებოდა მრეწველობის განვითარების ტემპებს და მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წ. სექტემბრის პლენუმმა დასახა სათანადო ღონისძიებები სოფლის მეურნეობის დაჩქარებული ტემპით განვითარებისათვის, ნედლეულით მრეწველობისა და სურსათით მოსახლეობის უკეთ დაკმაყოფილებისათვის. დღის წესრიგში დადგა სოფლის მეურნეობის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების, შრომის ანაზღაურების უფრო პროგრესული ფორმების დანერგვის საკითხი.

ამ მხრივ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცკ-ის 1956 წ. 6 მარტის დადგენილებას „კოლმეურნეთათვის ყოველთვიურად ავანსების მიცემისა და კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების ამაღლების შესახებ“, რამაც სათანადო ნიადაგი მოამზადა კოლმეურნეთა შრომის ფულად — გარანტირებულ ანაზღაურებაზე გადასასვლელად, გაატარა ღონისძიებები კოლმეურნეობების გამსახვილებისა და მრავალი კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობებად გარდაქმნის მიმართულებით, რის შედეგადაც რესპუბლიკაში 1956—1965 წწ. კოლმეურნეობათა რიცხვი 2253-დან შემცირდა 1437-მდე ანუ 37%-ით. საბჭოთა მეურნეობების რიცხვი კი 50-დან (1950 წ.) გაიზარდა 147-მდე (1960 წ.).

სოფლის მეურნეობის განვითარებაში უდაოდ მობრუნების პუნქტი იყო სსკპ ცკ-ის 1965 წ. მარტის პლენუმის გადაწყვეტილებები სოფლის მეურნე-

ობის შესახებ, რომელმაც დასახა ახალი ამოცანები როგორც სოფლის მეურნეობის მატერიალური ტექნიკური ბაზის განვითარების, ისე სოფლად საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობათა და წარმოების ორგანიზაციის ფორმების სრულყოფის მიმართულებით. ამ მხრივ, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის ოდენობას და მის ეფექტურ გამოყენებას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სტაბილური გვეგების ზევით ჩაბარებული პროდუქციისათვის სათანადო ფასნამატის დაწესებას, კოლმეურნეთა შრომის გარანტირებული ანაზღაურების შემოღებას, კოლმეურნეთა საშემოსავლო გადასახადის სრულყოფას და ეკონომიკურად სუსტი კოლმეურნეობებისათვის სათანადო შეღავათების დაწესებას, კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის წესის შემოღებას, კოლმეურნეობათა შორის კოოპერირებას და აგროსამრეწველო ინტეგრაციას, სოფლის მეურნეობის მართვის შემდგომ სრულყოფას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1966 წ. 16 მაისის დადგენილებით „საზოგადოებრივი წარმოების განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების შესახებ“, დაიწყო კოლმეურნეობათა ფულად გამომუშავებული ანაზღაურებაზე გადასვლა, დაწესდა ეკონომიკურად სუსტ კოლმეურნეობებისათვის შეღავათების მიცემა, შემოღებული იქნა კოლმეურნეთა სოციალურ უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის წესი და ა. შ.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების მეცხრე ხუთწლიანი გეგმის მთავარი ამოცანა იყო სოფლის მეურნეობის მაპროფილებელი დარგების მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, მევენახეობა-მეხილეობის შემდგომი განვითარება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის გადიდება, რაც თითქმის ყველა მაჩვენებლებით წარმატებით იქნა შესრულებული.

როგორც ცნობილია, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის XVIII პლენუმმა — 1975 წ. წამოაყენა საკითხი იმის შესახებ, რომ ჩვენი რესპუბლიკა შეიძლება და უნდა გახდეს კიდევ მეცხოველეობის მოწინავე რესპუბლიკაც. ამ პლენუმის შემდეგ, შეიქმნა შემოქმედებითი ატმოსფერო მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ახალი გზების ძიებისათვის. ამ საქმეში, — ამბობს ანხ. ე. შევარდნაძე, — საიმედო მოკავშირე აღმოჩნდა ეკონომიკური ურთიერთობის ისეთი ფორმა, როგორც არის საზოგადოებრივ მეურნეობათა კოოპერაცია საკარმიდამო მეურნეობებთან.

მეთუ ხუთწლედში დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ. მეცხრე ხუთწლედთან შედარებით ყურძნის საშუალო წლიური მოსავლიანობა გაიზარდა 47%-ით, მწვანე ჩაის ფოთლისა — 44%, კარტოფილისა — 36%, ხილისა — 16%-ით. საშუალო წლიური წარმოება გაიზარდა: ხორცისა — 16%, რძისა — 16%, კვერცხისა — 31%, მატყლისა — 11%-ით. „გადაჭარბებით შესრულდა ხუთწლედის დავალებანი დამზადების დარგში და სახელმწიფოს მიეყიდა მარცვლეული 876 000 ტონა, ხარისხოვანი ჩაის ფოთლი 2155 ათასი ტონა, ყურძენი 2650 ათასი ტონა, ხილი და ციტრუსები 2,8 მლნ ტონა, კარტოფილი 740 ათასი ტონა, ბოსტნეული 1491 ათასი ტონა, აბრეშუმის პარკი 9160 ტონა“¹.

გარკვეული წარმატებები იქნა მოპოვებული სასოფლო-სამეურნეო წარმო-

¹ ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში XXVI ყრილობას, თბ., 1981, გვ. 38.

ების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაში, სოფლის მეურნეობის ზოგიერთი პროდუქტის თვითღირებულების შემცირებაში, ზარალიან მეურნეობათა მომგებიანად გადაქცევაში, რენტაბელობის ზრდაში, კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა შრომის ანაზღაურებაში და ა. შ. 1976—1980 წწ., საშუალოდ წელიწადში, მარცვლეულის წარმოების ზრდამ 687,6 ათასი ტონა შეადგინა, ნაცვლად 641,7 ათასი ტონისა, (1966—1970 წლებში), ხოლო თამბაქოს წარმოებამ — 15,2 და 16,9 ათასი ტონა, კარტოფილისა — 227,3 და 358,6 ათასი ტონა, ბოსტნეულისა — 257,8 და 524,4 ათასი ტონა, ხილისა — 294 და 464,9 ათასი ტონა, ყურძნისა — 436,3 და 717,5 ათასი ტონა, ციტრუსი — 58,5 და 203,4 ათასი ტონა, ჩაის ხარისხოვანი ფოთოლისა 231,9 და 431 ათასი ტონა, ხორცის, დაკლული წონით, — 100,2 და 629,2 ათასი ტონა, კვერცხის 346,3 და 610,2 მლნ ცალი და ა. შ. მოსავლიანობა კი ჰექტარზე მოცემულ პერიოდში გაიზარდა: მარცვალი 14,6 ცენტნერიდან 20,3 ცენტნერამდე, თამბაქოს 11,5-დან 14,7 ცენტნერამდე, კარტოფილი 93-დან 117 ცენტნერამდე, ბოსტნეული 82-დან 126-მდე, ყურძენი 52,1-დან 66,4-მდე, ციტრუსი 82,1-დან 187,5-მდე, ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი 44-დან 77 ცენტნერამდე და ა. შ.

დიდად გაიზარდა საზოგადოებრივი მეურნეობის ჰექტართი წონა მთლიანად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში უკანასკნელ ათ წელში. თუ ბოსტნეულის წარმოებაში 1970 წელს მისი ჰექტარიწონა უდრიდა 44 %, 1980 წელს იგი გაიზარდა 50 %-მდე. შესაბამისი ხილკენკრეულისა — 21 %-დან 24 %-მდე, ყურძნისა — 41 %-დან 46-მდე, ხორცის წარმოებისა (დაკლული წონით) — 31 %-დან 43 %-მდე, რძისა — 42 %-დან 46 %-მდე, კვერცხისა — 39 %-დან 65 %-მდე და ა. შ. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულება კი 1462,3 მლნ მანეთიდან (1970 წ.) გაიზარდა 2096,1 მლნ მანეთამდე (1980 წელს).

მეათე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ასიგნებული იყო 2600 მლნ მანეთი კაპიტალდაბანდებანი, რაც 6 %-ით აღემატებოდა მეცხრე ხუთწლედის დონეს.

ამავე პერიოდში, სოფლის მეურნეობამ მიიღო 16 ათასამდე ტრაქტორი, ათასი კომბაინი, 12 ათასი სატვირთო ავტომობილი. მაღალ ინტენსიურ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს შეემატა 83 ათასი ჰექტართი მეტი სარწყავი და დაშრობილი მიწები.

ხუთწლედის განმავლობაში მექანიზაციის დონე გაიზარდა: მემცენარეობაში 12 %-ით, მეცხოველეობაში 16 %-ით.

მნიშვნელოვანი ძვრები განხორციელდა სოფლის მეურნეობის მართვის საორგანიზაციო ფორმების სრულყოფის ხაზით. ამ მხრივ, მეტად საყურადღებო ექსპერიმენტს წარმოადგენს აბაშის რაიონში მეურნეობის საწარმოო გაერთიანების შექმნა, რომელიც წარმატებით დაინერგა რესპუბლიკის 14 რაიონში, ხოლო მეთერთმეტე ხუთწლედში დაინერგება მთელ რესპუბლიკაში.

სოფლის მეურნეობის მართვის ეს ახალი ფორმა, ამბობს ამხ. ე. შვევარდნაძე, საშუალებას გვაძლევს ერთმანეთს შევეხამოთ აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი სხვადასხვა დარგის ინტერესები, იგი ხელს შეუწყობს ახალი ინიციატივის წარმოშობას. ამ ექსპერიმენტმა ხელი შეუწყო დარგის მართვის ორგანიზაციული ფორმის გაუმჯობესებას, რაიონში ორგანიზაციულ-სამეურნეო მუშაობის მნიშვნელოვან გაძლიერებას, ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების, პირველ რიგში, სიმინდის მოვლა-მოყვანის კომპლექსურ მექანიზა-

ციას. მთავარი ისაა, რომ აბაშის რაიონში პირველად მოინახა საუწყებათაშორისო დაქსაქსულობის ლიკვიდაციის საკმაო ოპტიმალური მოდუსი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დაჩქარებული ზრდის უზრუნველყოფის ეკონომიკური ბერკეტები. ეს ექსპერიმენტი კი როგორც ცნობილია გადატანილი იქნა ეკონომიკურად გაცილებით უფრო მძლავრ მახარაძის რაიონში, სადაც სოფლის მეურნეობის საწარმოთა გაერთიანების შექმნისთანავე ცენტრალიზებულ ფონდებში დააბანდეს ორ მილიონ მახეთზე მეტი, თანაც გაერთიანების წევრთათვის განსაკუთრებული ზიანის მიუყენებლად. ახლა აქ, გაერთიანების ცენტრალიზებული ფონდები უკვე 7 მილიონ მანეთს აღემატება. ეს სახსრები ამიერიდან მოხმარდება ყველა „ვიწრო“ უბანს, რომლებიც აფერხებდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომ განვითარებას. მახარაძის რაიონის პირობებში ასეთი უბნები აღმოჩნდა, უწინარეს ყოვლისა, გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოები, საშენი მასალების წარმოება, მეცხოველეობის საკვები ბაზა.

მეათე ხუთწლეულის შესრულების შედეგებმა და საერთოდ 70-იან წლებში ჩამოყალიბებულმა ტენდენციებმა გვიჩვენა, რომ ჩვენი რესპუბლიკა მთავარი მაჩვენებლების მიხედვით წინ უსწრებდა საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს. ამის შედეგად შემცირდა რესპუბლიკის ჩამორჩენა საერთო საკავშირო მაჩვენებლებისაგან მოსახლეობის ერთ სულზე წარმოების მოცულობის მიხედვით. კერძოდ, მრეწველობის პროდუქციის მიხედვით 9 და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიხედვით 8 პროცენტული პუნქტით.

როგორც საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე აღინიშნა, მომავალი ათწლეული უნდა გახდეს ეკონომიკის განვითარების უმთავრესი მაჩვენებლების მიხედვით საშუალო-საკავშირო დონესთან ჩამორჩენის დაძლევის დამამთავრებელი ეტაპი.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ჩვენი უპირველესი საზრუნავი ის არის, რომ გამოვიძებნოთ და ავამოქმედოთ ისეთი რეზერვები, რომლებიც რეკორდულ 1980 წელთან შედარებით უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებასა და დამზადებას უთუოდ ზრდას. ამ გზით უნდა მივალწიოთ იმ დარგების უპირატეს და მაქსიმალურად განვითარებას, რომლებიც განსაზღვრავენ საერთო-საკავშირო სასურსათო პროგრამის განხორციელებას.

უნდა შევქმნათ სოფლის მეურნეობის სტაბილური, პროპორციული და შეწონასწორებული განვითარებისათვის საჭირო მატერიალური და ფინანსური რეზერვები.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების მაგისტრალური ხაზი 1981—1985 წ. და 1990 წლებში კვლავ უნდა იყოს სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის და კონცენტრაციის შემდგომი გაღრმავება, რაც ხელს შეუწყობს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესებას, უწყებრივი დაქსაქსულობის დაძლევისა და ტერიტორიული მართვის სწორად შეხამებას მართვის ცენტრალურ და დარგობრივ რგოლებთან. ამასთან, დასახული სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში ჩვენ არ უნდა გადმოვიდოთ სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების პროგრამები ბრმად და პირდაპირ, ხელაღებით. არამედ, ამასთან ერთად, გავითვალისწინოთ ჩვენი კონკრეტული ბუნებრივ-ეკო-

ნომიკური პირობებისა და მოხმარების ისტორიულად დამკვიდრებული სტრუქტურის თავისებურებები პერსპექტივაში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაძლიერების ახლანდელ ეტაპზე წინა პლანზე დგება წარმოების ინტენსიური ფაქტორები. მომავალში რესპუბლიკის თითოეულ რაიონს უნდა შეეძლოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვასის, საკვებწარმოების კომპლექსური მექანიზაციის მიზანდასახული კოხკრეტული პროგრამის გახზორციელება, იმ თვალსაზრისით, რომ სახნავი ფართობის გახუწყვეტლივ შემცირების პირობებში არ იქნეს დაშვებული მარცვლეულისა და სხვა ერთწლოვანი კულტურების წარმოების შემცირება. პირიქით, დასახულია ამოცანა, რათა 1990 წლისათვის ჰექტარზე მარცვლეულის მრსავლიანობა გავადიდოთ 40 ცენტნერამდე.

გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ საქართველოს სსრ მხაწილეობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში შრომის საკაეშირო დახაწილებაში და რომ იგი სუბტროპიკული და სამხრეთული კულტურების ძირითადი მიწოდებელია. ამ პროდუქციის წარმოების მოცულობისა და საკაეშირო ფონდში მიწოდების ამოცანები კი, 1990 წლამდე პერსპექტივისათვის, გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კაეშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 27 სექტემბრის დადგენილებაში „სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების ვადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაწქარებული განვითარების ღონისძიებთა შესახებ“.

ძილიანად საქართველოს სოცილისტური რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის ძირითადი მიმართულება ის უნდა იყოს, რომ უკვე, უახლოეს ხანში, საერთო-საკაეშირო ფონდში მიწოდების ზრდის პარალელურად მნიშვნელოვნად აამალოს რესპუბლიკის მოსახლეობის ძირითადი სასურსათო საქონლის მოთხოვნილების დონე. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სოფლად არ დარჩეს არც ერთი კომლი, რომელსაც პირად სარგებლობაში პირუტყვი არ ეყოლება. მართალია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კურსის თანმიმდევრული გახზორციელების მეოხებით ერთგვარად შეჩერდა სულადობისა და პროდუქციის წარმოების მოცულობის შემცირება, მაგრამ დადებით ტენდენციებს ჯერ კიდევ ვერ მიუღწევია საგრძნობი მასშტაბისათვის. აქ მხედველობაშია მისაღები, ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ არადაამაკაყოფილებლად მიმდინარეობს წინათ არსებული საძოვრების აღდგენა, ხოლო მოსახლეობის პირუტყვისათვის ახალი საძოვრებისა და ბაკების ვამოსაყოფად, როგორც საქართველოს სსრ მათე მოწვევის უმაღლეს საბჭოს მეხუთე სესიაზე აღინიშნა, „შეიძლება მოგვიხდეს რაშდენამდე შევამციროთ კიდევ ინტენსიური კულტურებით დაკავებული საზოგადოებრივი მეურნეობათა ფართობი, მაგრამ ამას უხდა შეეურიდეთ. ამას მოითხოვს სასურსათო პროგრამა, ამას მოითხოვს რესპუბლიკის საარსებო ინტერესები. ამასთან, ნაკვეთების გამოყოფა წინ უნდა უსწრებდეს მოსახლეობის პირად სარგებლობაში არსებული პირუტყვის სულადობის ზრდას“².

პარტიის სასურსათო პოლიტიკის განხორციელების საქმეში უდიდესი მხიძვხელობა ენიჭება სკკპ და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1981 წ. 21 იანვრის ერთობლივ გადაწყვეტილებას „მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში

² გაზ. „კომუნისტი“, 1982 წ. 3 ივლისი.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

იგი ქვეშარტად წარმოადგენს ცხოვრებისეულად გადაწყვეტის ისტორიული მხიშველობის იმ დოკუმენტებს, რომელიც ნათელყოფს არა მარტო ლენინის კოოპერაციული გეგმის განხორციელებას, არამედ, იმავე დროს, არის ახალი ეტაპი პარტიის აგრარული პოლიტიკის შემოქმედებითად გატარების საქმეში. მასში განვითარებული სოციალიზმის პირობებში დასახულია გრანდიოზული და ყოვლის მომცველი ღონისძიებები ჩვენს ქვეყანაში სასურსათო რესურსების უკეთ გამოყენების, მისი თანდათანობით შევსებისა და მით ჩვენი ხალხის სულ უფრო მეტად დაკმაყოფილების მიმართულებით. ამჟამად საქართველოში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებისა და კოლექტიური მებაღეობის განვითარების საქმეში. შექმნილია რესპუბლიკის საკორდინაციო საბჭო, რომელიც ერთობ ნაყოფიერ მუშაობას ატარებს. რესპუბლიკაში ამ მიზნით გამოყოფილია 8000 ჰექტარი მიწა, აქედან 5,50 ათასი ჰექტარი მარტო თბილისისათვის. უკვე შექმნილია 300 ამხანაგობა, ხოლო მათი რიცხვი უახლოეს ხანებში ათასამდე გაიზარდა.

А. Д. СТЕПАНИШВИЛИ

РАЗВИТИЕ СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР В 1921—1980 гг.

Резюме

На основе архивных документов и фактических материалов научно проанализированы пути развития сельского хозяйства Грузинской ССР в 1921—1980 гг. Показана плодотворная работа тружеников сельского хозяйства и повседневная забота Коммунистической партии Грузии и Советского правительства в деле развития всех отраслей сельского хозяйства в республике и пути преодоления существующих недостатков. Особое внимание уделяется развитию сельского хозяйства в Грузии за последние две пятилетки. Указывается, что магистральным путем развития сельского хозяйства в 1981—1990 гг. должно быть развитие межхозяйственной кооперации на базе агропромышленной интеграции, углубление и расширение сельскохозяйственной специализации и концентрации.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და საპარტოლის ინსტიტუტის სოციალისტური ეკონომიკის განვითარების გამოცდილების განხორციელებისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის განყოფილებამ

ალექსანდრა ბრეჟაძე

საქართველოს სსრ ეკონომიკური კავშირები მოქმე
საბჭოთა რესპუბლიკებთან

დიდი ოქტომბრის მიერ შობილი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი გახდა მრავალეროვანი სახელმწიფოს ახალი ეტაპი, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალ ხალხთა ინტერნაციონალურ მეგობრობას, ქმურ ურთიერთდახმარებასა და მხარდაჭერას სოციალიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

სსრ კავშირის შექმნა წარმოადგენს ნაციონალურ საკითხებზე ლენინური პროგრამის ცხოვრებაში თანმიმდევრულ განხორციელებას. ვ. ი. ლენინმა, ახალი ეპოქის მეცნიერული ანალიზის შესაბამისად, შემოქმედებითად, ყოველმხივ განავითარა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შეხედულებები ნაციონალურ საკითხებში, დაამუშავა კომუნისტური პარტიის ნაციონალური პოლიტიკის მეცნიერული პრინციპები. ვ. ი. ლენინს „მისი გადაწყვეტის მაგისტრალურ გზად მიაჩნდა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისათვის, ახალი, ექსპლოატაციისაგან თავისუფალი საზოგადოების აშენებისათვის“¹.

სსრ კავშირის შექმნით განხორციელდა ლენინური პრინციპი — საბჭოთა რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანება, მათი სრული თანასწორობა, რესპუბლიკების სოციალისტური სუვერენიტეტის მტკიცე გარანტიის უზრუნველყოფა. „ჩვენ გვსურს ერების ნ ე ბ ა ყ ო ფ ლ ო ბ ი თ ი კავშირი, ისეთი კავშირი, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — რომელიც არ დაუშვებდა ერთი ერის არავითარ ძალმომრეობას მეორე ერისადმი, — ისეთი კავშირი, რომელიც დამყარებული იქნებოდა სრულ ნდობაზე, ქმური ერთიანობის ნათელ შეგნებაზე, სავსებით ნებაყოფლობითს თანხმობაზე“².

ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის მატერიალური და შრომითი რესურსების გაერთიანების შედეგად, სსრ კავშირის შექმნის სამოცი წლის მანძილზე, მოპოვებულია უდიდესი წარმატებები, ლიკვიდირებულ იქნა მემკვიდრეობით მიღებული ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობა, განხორციელდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა და კულტურული რევოლუცია, აშენდა სოციალიზმი, სსრ კავშირი გარდაიქმნა მძლავრ მრეწველურ სახელმწიფოდ.

დიდმა სამამულო ომმა მთელი მსოფლიოს წინაშე დაამტკიცა სსრ კავშირში შემავალი ხალხების ურღვევი კავშირი, მათი დაუშრეტელი ცხოვრებისეული ძალა.

¹ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახებ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის 19 თებერვლის დადგენილება, თბ., 1982, გვ. 5.

² ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, გვ. 348.

სსრ კავშირის ყველა ხალხთა ერთობლივი ძალღონით შექმნილია განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, მიმდინარეობს კომუნიზმის გაშლილი მშენებლობა. წარმოიქმნა ხალხთა ახალი ერთიანობა — საბჭოთა ხალხი. „ამ ერთობას საფუძვლად უდევს საბჭოთა ადამიანების ისტორიული ბედის განუყოფელობა, როგორც მატერიალური, ისე სულიერი ხასიათის ღრმა ობიექტური ცვლილებები, მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის ურღვევი კავშირი“³.

უდიდეს პოლიტიკურ მოვლენას წარმოადგენს 1977 წელს მიღებული სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები, სადაც ასახულია საბჭოთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელებული ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურული ცხოვრებაში მომხდარი ძირითადი ცვლილებები, ჩვენი სახელმწიფოს ფართო დემოკრატიზმი.

ჩვენი ქვეყნის განვითარების უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს ის, რომ თითოეულმა რესპუბლიკამ გააძლიერა თავისი წვლილი საერთო-საკავშირო მატერიალური და სულიერი სიმდიდრისათვის, ამავე დროს, გაფართოვდეს შესაძლებლობა მისი აყვავების შემდგომი პროგრესისათვის.

სოციალისტური წარმოების წესის პირობებში ეკონომიკური კავშირები მოძვე მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ვითარდება მთელი საბჭოთა კავშირის ეკონომიკის გეგმაზომიერი აღმავლობისა და მათ შორის შეთანხმებული სახალხომეურნეობრივი დაგეგმვის საფუძველზე, რომელიც ემსახურება კომუნიზმის მშენებლობის საერთო საქმეს.

მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას ხელი შეუწყობს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებმა, სადაც გათვალისწინებულია, როგორც საერთო-საკავშირო, ისე თითოეული საბჭოთა რესპუბლიკების ინტერესები, რომლის საფუძველზე ჩამოყალიბებულია ერთიანი სახალხო მეურნეობრივი კომპლექსი. ყრილობის გადაწყვეტილებებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მართვის სისტემის მწყობრ და შეთანხმებულ მოქმედებას, მთელ ეკონომიკის გადაყვანას ინტენსიური განვითარების რელსებზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების მიზნობრივ სახალხო-სამეურნეო პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებას.

განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე საზოგადოებრივი წარმოების ხარისხობრივი ზრდის მაღალი ტემპები დაკავშირებულია სსრ კავშირის ყველა რაიონისა და მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკის ღრმა ხარისხობრივ ცვლილებებთან, რაც რეგულირდება გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების ეკონომიკური კანონით. მიმდინარე ხუთწლეულში საქართველოს სსრ-ში მრეწველობის პროდუქციის წარმოების მოცულობა გაიზარდა — 1,8-ჯერ, ხოლო სოფლის მეურნეობის — 1,6-ჯერ. ელექტროენერჯის გამომშვება გადიდდა — 1,2-ჯერ, მანქანათმშენებლობის — 1,6-ჯერ, კომიური მრეწველობის — 1,5-ჯერ, მსუბუქი და კვების მრეწველობა — 1,3-ჯერ, მათ შორის ხილბოსტნეული კონსერვებისა — 1,7-ჯერ.

კიდევ უფრო მეტად განმტკიცდება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაგრძელდება სპეციალიზაცია მაპროფილებე-

³ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახებ, 33. 5.

ლი დარგების (მევენახეობა, მეჩაიეობა, სუბტროპიკული მებაღეობა, მეთამბაქოეობა, თევზ-ზეთოვანი კულტურები), გაიზარდა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოება 466 ტონამდე, ყურძნისა—1,2 მლნ ტონამდე, ხორცისა —160 ტონამდე, რძისა — 710 ტონამდე.

საქართველოს სსრ მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა აქვს ყველა მოკავშირე რესპუბლიკასთან, მისი საფუძველია შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, რაც ეყრდნობა საბჭოთა ხალხის კომუნისმის მშენებლობის სოციალისტური ურთიერთობისა და ამხანაგური თანამშრომლობის პრინციპებს.

სსრ კავშირში საზოგადოებრივი შრომის დანაწილება ხორციელდება მოკავშირე რესპუბლიკების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ისეთი დარგების გეგმაზომიერი სპეციალიზაციით, რომლის განვითარება უზრუნველყოფს ადგილობრივი ბუნებრივი და შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების მაღალ ტემპებს.

რესპუბლიკათაშორისო სპეციალიზაცია გამოვლინდება ისეთი დარგების უპირატესი განვითარებით, რომლისათვის არსებობენ სათანადო და უკეთესი პირობები. ამასთან, ნედლეულის დეფიციტურ სახეთა ზრდა ხორციელდება საერთო-საკავშირო მოთხოვნილებათა გათვალისწინებით.

დღეისათვის, განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე უკვე გადაწყვეტილია მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკური დონის გამოთანაბრების პრობლემა. ყველა რესპუბლიკა ხასითდება მაღალგანვითარებული მრეწველობით და სოფლის მეურნეობით, მეურნეობის განსაზღვრული სპეციალიზაციით. თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკას გააჩნია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოო მიმართულება, რომლის მიხედვით განსაზღვრულია წამყვანი დარგები, მაგალითად, ერთ რესპუბლიკაშია რკინის მადნეული, ქვანახშირი, მეორეში — ნავთობი, მესამეში — მანგანუმი და ა. შ. ყოველივე ეს იწვევს ეკონომიკური რაიონებისა და რესპუბლიკების მეურნეობრივ თანამშრომლობას, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შესაბამისი პროდუქციის ურთიერთ გაცვლას. ამგვარად, ვლინდება და ყალიბდება შრომის საერთო-საკავშირო ტერიტორიული სპეციალიზაცია და განისაზღვრება მისი ადგილი და როლი სსრ კავშირის ერთიან სახალხო მეურნეობრივ კომპლექსში.

ამ მიმართულებით დიდი როლის შესრულება აკისრია ტრანსპორტს. იგი წარმოადგენს ბრუნვის მთელი პროცესის მატერიალურ საფუძველს, რომლის დახმარებით ხორციელდება მრავალმხრივი და მრავალი სახის ეკონომიკური კავშირები.

სკკ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის მაისის პლენუმის მიერ შემუშავებულ სასურსათო პროგრამის განხორციელებაში ტრანსპორტის დანიშნულება და პასუხისმგებლობა უფრო მეტად ამაღლდა, მან უნდა უზრუნველყოს მაღალეჭადი პროდუქტების რიტმულად და დროულად გადაზიდვა, დანახარჯების სათანადოდ შემცირება⁴.

ჩვენი ქვეყანა მოცულია ფართო სატრანსპორტო ქსელით, მოწოდებულია უზრუნველყოს რესპუბლიკათაშორისო კავშირების განმტკიცება და შექმნას სათანადო პირობები ცალკეული ეკონომიკური რაიონების სპეციალიზაციისა

და კოოპერირების კომპლექსური განვითარების, სოფლის მეურნეობის წარმოებით უდიდესი დაკავშირებული ტერიტორიის მომსახურების. ამასთან ერთად, ქვეყნის ეკონომიკური რაიონების კომპლექსურ განვითარებასთან დაკავშირებით აუცილებელია არარაციონალური გადაზიდვის ლიკვიდაცია. აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად სატრანსპორტო მშენებლობის მაღალი ტემპებისა, შეიმჩნევა მისი ჩამორჩენა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოების ტემპებდასაგან განსხვავებით. ამიტომ, სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზგასმით არის აღნიშნული სატრანსპორტო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესების აუცილებლობა⁶.

ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკურ აღმავლობასათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ საერთო-საკავშირო სახალხომეურნეობრივ პრობლემის გადაწყვეტას, როგორცაა ციმბირის რაიონების, შორეულ აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის, „ბამ“-ის ზონის სათბობ-ენერგეტიკული და მდიდარი რესურსების ათვისებას. მიმდინარე ზუთწლედში გათვალისწინებულია „ბამის“ მშენებლობის ძირითადი სამუშაოების დამთავრება. უზრუნველყოფილი იქნება წლის ყოველ დროს ნაოსნობა ჩრდილოეთ საზღვაო გზის დასავლეთ ნაწილში და დროულად გადაიზრდება საჭირო ტვირთი უკიდურეს ჩრდილოეთ რაიონებსა და შორეულ აღმოსავლეთში. ვითარდება სატრანსპორტო სამუშაოებათა ქსელი მოძვე საბჭოთა რესპუბლიკებშიც. კერძოდ, საქართველოში გათვალისწინებულია 160 კილომეტრი სიგრძის მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზის მშენებლობა. ეს ხაზი ნედლეულის რესურსებით მდიდარ, სოფლისმეურნეობრივ, წარმოების განვითარებისათვის პერსპექტიულ ადგილებში გაივლის. რკინიგზის ახალი მონაკვეთი რამდენიმე რაიონს დააკავშირებს თბილისთან და რესპუბლიკის სხვა რაიონებთან.

დამთავრდება თბილის-სამტრედიის რკინიგზის მეორე ხაზის აგება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ტვირთდაძაბული უბნის გამტარუნარიანობას. დასრულდება კავკასიონის საავტომობილო გზის მშენებლობა, რომელიც მთელი წლის მანძილზე უზრუნველყოფს ტრანსპორტის მოძრაობას უწყვეტ ნაკადით გადიდდება ტვირთზიდვა საავტომობილო, საზღვაო და საავიაციო ტრანსპორტზე.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების მიხედვით რესპუბლიკათაშორისო ეკონომიკური კავშირები არ არის ერთგვაროვანი, თუმცა საქართველოში სსრ კავშირის ყოველ კუთხიდან ფართო ნაკადად მოდის სხვადასხვა ნაკეთობანი და მასალები.

სსრ კავშირში ტვირთბრუნვის მხრივ ამიერკავკასიის რკინიგზას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის, უკრაინისა და ყაზახეთის შემდეგ, საქართველოში კი, რკინიგზით შემოზიდულ ტვირთის ტონაჟის მიხედვით, ყველაზე დიდი რაოდენობით შემოდის რსფსრ, შემდეგ უკრაინიდან და ა. შ.

რსფსრ-დან საქართველოში დიდი რაოდენობით შემოდის ხე-ტყის, ხის მასალა, ლითონსაჭრელი ჩარხები, ლითონი, ფოლადის მიღები, სატვირთო და მსუბუქი ავტომობილები, ელექტროძრავები, კომბაინები, ექსკავატორები, მრავალი დასახელებისა და დანიშნულების მანქანა-დანადგარები, ტელევი-

⁶ სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981, გვ. 279.



ზორები, მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია, მარცვლეული და სხვ.; უკრაინის სსრ-დან: ქვანახშირი, რკინის მადანი, მეტალურგიული ნაკეთობანი, ტრაქტორები, დაზვები, ექსკავატორები, მინერალური სასუქები, შაქარი, ფქვილი და სხვ.

მრავალი დასახელების სამრეწველო პროდუქცია შემოდის სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან. მუიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა დამყარებულია ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში საქართველოს სსრ გადაიქცა განვითარებულ ინდუსტრიულ და ინტენსიურ სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად, შეიქმნა ახალი სახალხომეურნეობრივი დარგობრივი სტრუქტურა, რომელიც შეესაბამება შრომის სოციალისტურ დანაწილებას, საწარმოო ძალების რაციონალურ გაადგილებას, ეროვნულ ეკონომიკის განვითარების შეთანაწყობას საერთო საკავშირო ინტერესებთან. ამიტომ, საქართველოს სსრ მნიშვნელოვანი როლი და ადგილი უჭირავს სსრ კავშირის ეკონომიკაში. რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის 26% გადის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ხოლო სოფლის მეურნეობისა — მხოლოდ 5,5%, მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაიტანება მისი სამრეწველო გადამუშავების შემდეგ, როგორც მრეწველობის პროდუქცია (ღვინო-მასალა, ჩაი, თამბაქო და სხვ.).

მომავალ წლებში რესპუბლიკათაშორისო ეკონომიკური კავშირების გაღრმავებაში გარკვეულ წვლილს შეიტანენ რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობა, განსაკუთრებით საფეიქრო მრეწველობა, ფერადი მეტალურგიის, ნავთობის და ნავთობქიმიის მრეწველობა, რომლებსაც გააჩნიათ განვითარების დიდი პერსპექტივა.

საქართველოში წარმოებული პროდუქციის 53% იგზავნება რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიკურ რაიონებში, აქედან, 24 — უკრაინის სსრ, 9,5 — ყაზახეთის სსრ, 4 — უზბეკეთის სსრ, 4,6 — აზერბაიჯანის სსრ, 2,8 — სომხეთის სსრ, 2 — ბელორუსიის სსრ, 1,3 — თურქმენეთის სსრ, 1 — მოლდავეთის სსრ, 0,7 — ლატვიის სსრ, 0,5 — ლიტვის სსრ, 0,4 — ყირგიზეთის სსრ, 0,3 — ესტონეთის სსრ. როგორც აქ მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს რესპუბლიკათაშორისო კავშირებში პირველი ადგილი უკავია რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას, მეორე — უკრაინის სსრ.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სპეციალიზაციის დარგებს წარმოადგენს: მანგანუმის მოპოვება და გამდიდრება, ფეროშენადნობის წარმოება, მანქანათმშენებლობა (ელმავლები, სატვირთო ავტომანქანები, ჩარხები, წყალქვეშა ფრთიანი კატარღები, ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოები, საფეიქრო და კვების მრეწველობის განწყობილობა და სხვ.); შავი ლითონის, ნაგლინისა და ფოლადის წარმოება, აზოტის სასუქების, სინთეზური ბოჭკოს, ლითონფონის და ფარმაცევტული მრეწველობის ზოგიერთი პრეპარატი, მთელი რიგი პოლიმეტალური და არალითონური წიაღისეულის მადნების მოპოვება და გადამუშავება, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობიდან: მევენახეობა, მეჩაიეობა, მეთამბაქოეობა, სუბტროპიკული კულტურები, კვების მრეწველო-

* თ. ჩიკვაძე, „საქართველოს ეკონომიკური კავშირები“, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1981, გვ. 243—247.

ბიდან: კონიაკი, შამპანური, ჩაი და ღვინო, ეთეროვანი ზეთები, აგრეთვე მინერალური წყლების წარმოება, საკურორტო და ტურისტული მეურნეობა. სპეციალიზაციისა და კომპლექსური განვითარების დარგთა ამ ჯგუფის პროდუქციის დიდი ნაწილის რეალიზაცია ხდება სსრ კავშირის მრავალ ეკონომიკურ რაიონში. რაც შეეხება მეორე ჯგუფს: სათბობენერგეტიკული მრეწველობა, სამშენებლო მასალების, სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოება, მეცხოველეობა, მარცვლეულთა და ბოსტნეულის წარმოება და სხვ. ემსახურება საკავშირო სპეციალიზაციის საწარმოებს, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებსა და მოსახლეობის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველო ერთ-ერთი ძირითადი მიმწოდებელია მთელი რიგი პროდუქციისა როგორცაა მაგალითად, კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობა (თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი და ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნები), სადაც მზადდება ღვინისა და ჩაის პირველადი დამუშავების, კონსერვებისა და შამპანური წარმოების სპეციალური მოწყობილობები; რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ფეროშენადნობის (ქ. ზესტაფონი) და ფერადი მეტალურგიის (მადნეული) პროდუქცია, აგრეთვე, არამადნეული წიაღისეულის (ბარიტის კონცენტრატი, ბეტონიტური თიხები, დიატომიტი, მარმარილო, ტალიკი, ლითოგრაფიული ქვა და სხვ.) წარმოება. კოფეინის ქარხანა (ბათუმი) ერთადერთია ჩვენს ქვეყანაში, რომლის პროდუქცია აკმაყოფილებს საკავშირო მოთხოვნილებებს. საერთო-საკავშირო შრომის დანაწილებაში ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქიმიურ-ფარმაცევტული და სამკურნალო პრეპარატების წარმოება. ხოლო რაც შეეხება ბაზის ჩაის, მისი წილი სსრ კავშირში წარმოებული ამავე სახის ჩაის თითქმის 97% შეადგენს, აგურა-ჩაის — 100%. ღვინომასალის — 10—12%, შამპანურის — 10%, ეთეროვანი ზეთების — 100%, ხოლო მინერალური წყლების ერთ მეოთხედს და ა. შ.

საქართველოში წარმოებულ პროდუქციას იცნობენ ყველა სოციალისტურ ქვეყანაში, იგი ცნობილია დიდად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. დღეისათვის საქართველოს მსოფლიოს 80 ქვეყანაში საექსპორტოდ გააქვს სახის დასახელების სამრეწველო პროდუქცია⁷.

ჩვენი ქვეყნის მწარმოებლური ძალების რაციონალური გაადგილება და რესპუბლიკათა შორის რაციონალური ეკონომიკური კავშირები წარმოადგენენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას.

მეთერთმეტე ხუთწლედში სკკპ მიერ დასახული პროგრამების — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაჩქარებით შექმნისა და სასურსათო პროგრამის განუხრებლად განხორციელებისათვის ბრძოლაში ყალიბდება კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობა. მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მასები ავლენენ უდიდეს მზრუნველობას შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად, საზოგადოებრივი სიმდიდრის გასამრავლებლად, რასაც თვალსაჩინოდ იწმინდებს მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ ორ წელს მიღწეული შედეგები.

საქართველოში ისე, როგორც სხვა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში, სის-

⁷ თ. ჩ ი კ ვ ა ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 248.

ტემატურად ტარდება სარესპუბლიკათაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციები, სესიები და გამოფენები, სადაც ფართო პროპაგანდა ეწევა მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს.

რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელები ხშირად ეცნობიან მოკავშირე რესპუბლიკების მიღწევებს, წარმოებდს ნოვატორებს, შრომის მოწინავე მეთოდებს. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ აბაშის აგროსამრეწველო კომპლექსის რაიონული რგოლის ექსპერიმენტი, სადაც სათანადო ასახვა ჰპოვა უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის, მოლდავეთის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, სტავროპოლის მხარის მეურნეობათა მიღწევებმა. ეს ექსპერიმენტი ახლა გავრცელდა საქართველოში და მის გამოცდილებას ეცნობიან ყველა მოკავშირე რესპუბლიკებში.

რესპუბლიკის მეცნიერებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში. ქართველი მეცნიერების მიღწევები ფართოდაა ცნობილი ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ. საყოველთაო აღიარება ჰპოვა მათემატიკის, ფიზიოლოგიის, ფიზიკის, ენათმეცნიერების, გეოლოგიის და სხვ. სკოლებმა. ფართო მეცნიერულ კვლევა-ძიებას ეწევიან მეცნიერების მთელი რიგი ახალი დარგები.

მშრომელთა შორის სახალხო მეურნეობის მოწინავე გამოცდილებათა გაზიარება წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს საბჭოთა ხალხის თანამეგობრობის განმტკიცების, მათი დაახლოებისა და სსრ კავშირის ყველა ეროვნების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებისათვის. ისტორიას ჯერ არ ახსოვს ხალხთა ასეთი თავისუფალი და თანასწორი თანამეგობრობა, რომელიც შეიქმნა ჩვენი ქვეყნის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკა შემჭიდროებული საერთო ინტერესებით, ერთიან ძმურ ოჯახში ჰქმნიან ახალი საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და შეაქვთ თავიანთი წვლილი კომუნიზმის მშენებლობის საერთო საქმეში.

ჩვენს ქვეყანაში განუხრელად ხორციელდება ლენინური კურსი საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკური და კულტურული აყვავების, მჭიდრო და ყოველმხრივი თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების მთელი ჩვენი ქვეყნის პარმონიულ განვითარებისათვის.

საბჭოთა ხალხმა კარგად იცის, რომ კომუნიზმის მშენებლობა უფრო მეტად წავა წინ, რამდენადაც მეტი წვლილი იქნება შეტანილი ამ საერთო სახალხო საქმეში თითოეული რესპუბლიკისა და ყველა ეროვნების მიერ. ამ საპატიო ამოცანის განხორციელებისათვის თავდადებით იბრძვის საბჭოთა საქართველოს მშრომელები საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. მომავალში კიდევ უფრო მეტად დაჩქარდება რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების ტემპები და უფრო მეტად გადიდება მისი წვლილი საერთო-საკავშირო დოვლათში.

А. И. БРЕГВАДЗЕ

ЭКОНОМИЧЕСКИЕ СВЯЗИ ГРУЗИНСКОЙ ССР С БРАТСКИМИ СОВЕТСКИМИ РЕСПУБЛИКАМИ

Резюме

С образованием СССР осуществилась ленинская программа добровольного объединения советских республик, их полного равенства, обеспечения твердых принципов их суверенитета. Совместными усилиями всех народов СССР в результате объединения материальных и трудовых ресурсов достигнуты большие успехи, создано общество развитого социализма.

Дальнейшему укреплению межреспубликанских экономических отношений способствовали решения XXVI съезда КПСС, на основе которых созданы единые народнохозяйственные комплексы, предусматривающие интересы как общесоюзные, так и республиканские. Грузинская ССР имеет тесные экономические и культурные связи со всеми союзными республиками, играет значительную роль в общесоюзном разделении труда. 26% промышленной и 5% сельскохозяйственной продукции Грузинской ССР выходит за ее пределы. В свою очередь ввозится большое количество промышленной и сельскохозяйственной продукции почти из всех союзных республик.

Рациональное размещение производительных сил и экономические связи нашей страны представляют собой важнейшее условие создания материально-технической базы коммунизма.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სოციალური ინსტიტუტის სოციალისტური ეკონომიკის განვითარების გამოცდილების განზოგადებისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის განყოფილებამ



რეზიუმე

ვაჭრობის განვითარება საბჭოთა საქართველოში

ქართველმა ხალხმა, საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში, არ-
ნახულ წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობის ყველა დარგისა და, მათ
შორის, ვაჭრობის განვითარებაში. ყოველივე ეს შედეგია იმ დიდი ზრუნვისა,
რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო სისტემატურად
იჩენდნენ და იჩენენ ეკონომიკის ამ ფრიად მნიშვნელოვანი დარგის განვითარე-
ბისა და მშრომელთა კეთილდღეობის დონის ამაღლებისადმი.

ცნობილია, რომ რევოლუციამდელ საქართველოში ვაჭრობა სუსტად იყო
განვითარებული. პირველი მსოფლიო ომისა და განსაკუთრებით მეწევიკების
ბატონობის დროს საქონლური მიმოქცევა მთლიანად მოიშალა. მწვავე სასურ-
სათო კრიზისის გამო ქვეყანაში ბატონობდა თავაშვებული სპეკულაცია და
სრული ქაოსი.

საქართველოში ვაჭრობის ნამდვილი განვითარება მხოლოდ საბჭოთა ხელი-
სუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. საბჭოთა მთავრობა პირველ დღეები-
დანვე შეუდგა ეკონომიკურ გარდაქმნებს, რაც, პირველ ყოვლისა, მიზნად წარ-
მოების ძირითად საშუალებათა განსაზოგადობას ისახავდა. საქართველოს რე-
ვოლუციური კომიტეტის მიერ გამოცემული დეკრეტების საფუძველზე გატარდა
მიწის, ბანკების, რკინიგზებისა და სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაცია. საშინაო
ვაჭრობის სფეროში განხორციელდა რიგი ღონისძიება: დალუქულ იქნა ბევრი
სავაჭრო საწყობი, მალაზია, რესტორანი, ჩატარდა ნათი აღრიცხვა და სხვ.

ამ პერიოდის სამეურნეო მშენებლობის ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ
ბერკეტს მიმოქცევის სფეროს რეგულირება წარმოადგენდა. ურომლისოდაც
შეუძლებელი იყო ქალაქსა და სოფელს შორის, მრეწველობასა და მიწათმოქმე-
დებს შორის კავშირის განმტკიცება, ამის საფუძველზე დანგრეული სახალხო
მეურნეობის აღდგენა და ეკონომიკის სოციალისტური სექტორის შემდგომი
განმტკიცება.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, გარკვეული ზომით, კერძო ვაჭრობის და-
შვებას გულისხმობდა, რამაც მიმოქცევის სფეროში კერძო კაპიტალის მნიშვნე-
ლოვანი გააქტიურება გამოიწვია. სწორედ ამიტომ, მომდევნო პერიოდში მთავარ
ამოცანას, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე ჩვენს რესპუბლიკაში ვაჭრობაში
კერძო კაპიტალთან ბრძოლა, მისი შეზღუდვა და მიმოქცევის სფეროდან თან-
დათანობით გამოდევნა წარმოადგენდა.

რესპუბლიკაში მიმოქცევის სფეროს განსაზოგადობის პროცესი „ვიწვის“
პრინციპით, მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა. ვაჭრო-
ბიდან კერძო კაპიტალის გამოდევნა თანდათანობით, სოციალისტური მრეწვე-
ლობის განვითარებისა და სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის პოზიციე-
ბის განმტკიცების კვალობაზე ხორციელდებოდა. ამასთან, ვაჭრობის განსაზო-

გადოების პროცესი ცალკეული საქონელგამტარი-რგოლების მიხედვით ერთნაირი როლი იყო. იმ დროისათვის მიმოქცევის სფეროში სოციალისტური სექტორის განმტკიცებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა საბითუმო რგოლის დაუფლებას ენიჭებოდა. აღსანიშნავია, რომ უკვე 1925—1926 სამეურნეო წელს რესპუბლიკაში განსაზოგადოებელი სექტორის წილად მოდიოდა საბითუმო საქონელბრუნვის 93 %, მათ შორის, სახელმწიფო ვაჭრობის წილად — 68 და კოოპერაციის წილად — 25 %.

განსაზოგადოების პროცესი შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა საცალო ვაჭრობაში, სადაც ამ დროისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჯერ კიდევ კერძო ვაჭრობას ეჭირა (55,8%). ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა იყო კავშირის მასშტაბით, სადაც განსაზოგადოებელი სექტორის წილად მოდიოდა საცალო საქონელბრუნვის 57 %.

საცალო ვაჭრობის განსაზოგადოების სფეროში გადამწყვეტი უპირატესობა მოპოვებულ იქნა 1929 წ. (67,4 %) , ხოლო 1932 წ. განსაზოგადოებელი სექტორის წილად მოდიოდა საცალო საქონელბრუნვის 98,1%. ამავე წლის მისში, მთავრობის გადაწყვეტილებით აიკრძალა კერძო სავაჭრო საწარმოთა გახსნა, ხოლო წლის ბოლოსათვის საქართველოში საქონელბრუნვის განსაზოგადოების პროცესი მთლიანად დამთავრდა. საქონელბრუნვის გაშლის სფეროში დასახული ამოცანები წარმატებით ხორციელდებოდა, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი 1922—1924 წწ. გატარებულმა ფულის რეფორმამ, როგორც ვალუტის განმტკიცებისა და ვაჭრობის განვითარების აუცილებელმა პირობამ.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ და კოლექტივიზაციამ განამტკიცა ვაჭრობის სასაქონლო ბაზა და ხელსაყრელი პირობები შექმნა საქონელბრუნვის შეუფერხებელი განვითარებისათვის. 1928—1932 წწ. რესპუბლიკის სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საქონელბრუნვა 15,8 მლნ მანეთიდან 83, 2 მლნ მანეთამდე გაიზარდა. მათ შორის, საზოგადოებრივი კვების ბრუნვა, ამავე პერიოდში, 0,3 მლნ მანეთიდან 9,5 მლნ მანეთამდე გადიდა. თუ 1928 წ. საქართველოში იყო 2918 საცალო სავაჭრო და მხოლოდ 105 საზოგადოებრივი კვების საწარმო, 1932 წ. მათმა რიცხვმა შესაბამისად 6640 და 1113 შეადგინა.

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ წარმოშვა საბჭოთა ვაჭრობის ახალი ფორმა — საკოლმეურნეო ვაჭრობა. სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსა და სკკპ (ბ) ცკ 1932 წლის მისის დადგენილებით შემოღებულ იქნა ჯერ პურით, ხოლო ცოტა მოგვიანებით ხორციით საკოლმეურნეო ვაჭრობა, იგი დღითიდღე ფართოვდებოდა, როგორც მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის დაკმაყოფილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება.

ამ დროისათვის, როგორც სხვა რესპუბლიკებში, ისე საქართველოშიც ძირითად სავაჭრო სისტემას სამომხმარებლო კოოპერაცია წარმოადგენდა. რესპუბლიკის განსაზოგადოებელი სექტორის საქონელბრუნვაში 1931 წ. მისი ხვედრი იწილი 73,3% შეადგენდა. სამომხმარებლო კოოპერაციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის წარმატებით განხორციელებაში, ქალაქსა და სოფელს, მუშათა კლასსა და გლეხობას, მსხვილ მრეწველობასა და მიწათმოქმედებას, ქვეყნის ტერიტორიულ ერთეულებსა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური კავშირის განმტკიცებაში.

ამ პერიოდში, პარტიისა და მთავრობის ყურადღების ცენტრში იყო მოსა-

ხლეობის სურსათით უზრუნველყოფა. სურსათის რესურსების უკმარისობის გამო 1929 წლის მეორე კვარტალიდან შემოღებულ იქნა მოსახლეობის მომარაგების საბარათო სისტემა, რაც საშუალებას ქმნიდა სურსათის რესურსების განსაზღვრული დანიშნულებით გამოყენებისათვის. გარდა ამისა, 1929 წლიდან შემოღებულ იქნა კომერციული ვაჭრობა, როგორც მოსახლეობის საქონლით მომარაგების დამატებითი ფორმა.

მსუბუქი და კვების მრეწველობის სწრაფი ტემპით ზრდამ, სოფლის მეურნეობის კოლექტიურ რელსებზე გადაყვანამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სურსათისა და სამრეწველო საქონლის ფონდების გადიდებას. ყოველივე ამან, და, აგრეთვე, მიმოქცევის სფეროში განხორციელებულმა ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებებმა მოამზადეს სათანადო პირობები მოსახლეობის ნორმირებული მომარაგებიდან გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასასვლელად.

სკკპ (ბ) ცკ 1934 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად 1935 წ. გაუქმდა სურსათით, ხოლო 1936 წ. სამრეწველო საქონლით ნორმირებული მომარაგება. განხორციელდა მტკიცე სახელმწიფო საცალო ფასებით გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა საქონელბრუნვა და საქონლით მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილების დონე. საქართველოს სსრ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვამ 1937 წ. შეადგინა 256,8 მლნ მანეთი (მ. შ. საზღვების ბრუნვამ-24,7 მლნ მანეთი) და 1932 წელთან შედარებით 3-ჯერ და უფრო მეტად (მ. შ. საზღვების ბრუნვა-2,6 ჯერ) გაიზარდა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამ დროისათვის, რესპუბლიკაში უკვე ფუნქციონირებდა 7034 საცალო სავაჭრო და 1166 საზოგადოებრივი კვების საწარმო.

მთლიანი საქონელბრუნვის ზრდასთან ერთად, 1932 წლიდან განსაკუთრებით სწრაფად იზრდება სახელმწიფო ვაჭრობის ბრუნვა, რომლის ხვედრიწონა 1932—1937 წწ. რესპუბლიკის მთლიან საცალო საქონელბრუნვაში 30%-დან 67%-მდე ამაღლდა. ეს მნიშვნელოვანწილად განაპირობა საცალო ვაჭრობის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფამ, რაც გამოიხატა, პირველ ყოვლისა, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საქმიანობის სფეროების გამიჯვნით. 1935 წლის სექტემბრიდან, სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებით, სამომხმარებლო კოოპერაციას დაევალა სოფლის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების განხორციელება და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება. სახელმწიფო ვაჭრობას კი დაეკისრა ქალაქის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენს რესპუბლიკაში ცეკავშირის საქალაქო სავაჭრო ქსელი გადაეცა სახელმწიფო ვაჭრობას, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მისი საქონელბრუნვა.

პირველი და მეორე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების შედეგად საქართველოს მშრომელებმა, მთელს საბჭოთა ხალხთან ერთად, არნახულ წარმატებებს მიაღწიეს ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარდაქმნათა ასპარეზზე. მიღწეული წარმატებები სრულ გარანტიას იძლეოდა სოციალიზმიდან კომუნისზმში თანდათანობით გადასვლის ახალი ამოცანების დასახვისათვის.

სკკპ (ბ) მე-18 ყრილობამ მიიღო სსრკ სახალხო მეურნეობის განვითარების შესაბამე ხუთწლიანი გეგმა (1938—1942), რომელიც უდიდეს ნაბიჯს წარმოადგენდა ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური ამოცანის გადაჭრაში. იგი ითვალისწინებ-

და ქვეყნის ინდუსტრიული ძლიერებისა და საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებას, ხალხის კეთილდღეობის ღონის ამალგებასა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომ გაძლიერებას.

მესამე ხუთწლედის პირველი მშვიდობიანი სამი წლის მანძილზე მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული მთლიანად სახალხო მეურნეობისა და, მათ შორის, ვაჭრობის განვითარებაში. 1937—1940 წწ. რესპუბლიკის კვების წრეწველობის პროდუქცია 19, ხოლო მსუბუქი მრეწველობისა 60% -ით გაიზარდა. ეს პერიოდი ხასიათდება აგრეთვე რესპუბლიკის მოსახლეობის მყიდველობითი უნარიანობის სწრაფი ზრდით. ყოველივე ამან, ხელსაყრელი პირობები შექმნა რესპუბლიკაში საქონელბრუნვის სწრაფი განვითარებისათვის. 1937-1940 წწ. საქართველოს სსრ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მთლიანი საქონელბრუნვა 27,5 მათ შორის საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვა 2,1-ჯერ გაიზარდა და ამ უკანასკნელის ხედრირწონა მთლიან საქონელბრუნვაში 10-დან 16%-მდე ამაღლდა.

საქონელბრუნვის გაფართოებაში დიდი როლი შეასრულა ფასწარმოქმნის სისტემის მოწესრიგებამ. 1939 წლამდე ბევრ საქონელზე არ არსებობდა მტკიცე საპრეისკურანტო ფასები. მათი განსაზღვრა ხდებოდა თვით სავაჭრო ორგანიზაციების მიერ, რაც იწვევდა ფასების სიჭრელეს და სათანადოდ არ უწყობდა ხელი ვაჭრობაში მტკიცე სახელმწიფო დისციპლინის დამყარებას. 1939 წლიდან პირადი მოხმარების საგნებზე შემოღებულ იქნა ქალაქისა და სოფლისათვის ერთიანი მტკიცე სახელმწიფო საცალო ფასები, რომლებიც დიფერენცირებული იყო ქვეყნის ტერიტორიული ზონების მიხედვით, ამ ღონისძიებამ დიდად შეუწყო ხელი ვაჭრობის შემდგომ განვითარებას და მოხმარების საგნებზე მშრომელთა მოთხოვნილების შეუფერხებელ დაკმაყოფილებას.

საქონელბრუნვის ზრდა, ასორტიმენტის გაფართოება და მომხმარებელთა მომსახურების კულტურის გაუმჯობესება, უშუალოდ უკავშირდებოდა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფას. ომამდელ პერიოდში რესპუბლიკის საცალო სავაჭრო ქსელი აერთიანებდა 7491 საწარმოს, 9,3%-ით მეტს, ვიდრე 1937 წელს. სავაჭრო ქსელი უფრო ინტენსიურად იზრდებოდა სოფლად, სადაც მოქმედებდა 3967 საწარმო, ანუ რესპუბლიკის სავაჭრო საწარმოთა საერთო რაოდენობის 53%. მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის განვითარებაშიც, რომელთა რიცხვმა 1940 წ. შეადგინა 1777 მათ შორის ქალაქად 1131 და სოფლად — 646.

საბჭოთა ქვეყანაზე ფაშისტური გერმანიის ვერაგულმა თავდასხმამ დროებით შეაჩერა ქვეყანაში აღმშენებლობითი საქმიანობა. ომის პირველ პერიოდში ფაშისტებმა ხელი იკლეს ქვეყნის მნიშვნელოვანი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონებში, რამაც დიდად გაართულა არმიისა და ზურგის სურსათითა და მოხმარების სხვა საგნებით მომარაგება. სასაქონლო რესურსების სიმციობის გამო და სურსათით მომარაგების მოწესრიგების მიზნით, თავისუფალი საბჭოთა ვაჭრობა შეიცვალა მომარაგების ნორმირებული, საბარათო სისტემით.

ომის დროს განსაკუთრებით დიდი ამოცანები დადგა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების წინაშე არმიისა და მოსახლეობის კვების პროდუქტებითა და მოხმარების სხვა საგნებით მომარაგების საქმეში. აუცილებელი იყო მათი საქმიანობა დამორჩილებოდა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანს-

პორტის შეუფერხებელი მუშაობის ინტერესებს, შექმნილიყო ყველა პირობა სამხედრო მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების მუშაკთა კვების პროდუქტებით შეუფერხებელი მომარაგებისათვის, მოსახლეობის სურსათით უზრუნველსაყოფად დამხმარე მეურნეობის მოწყობისა და საქონელბრუნვაში დამატებითი სასაქონლო რესურსების ჩართვისათვის.

ომის პერიოდში მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა მომარაგების გაუმჯობესების მიზნით უშუალოდ საწარმოებთან შეიქმნა მუშათა მომარაგების განყოფილებები („ორსები“) და სურსათომომარაგებელი ორგანიზაციები, რომელთა რიცხვი ჩვენს რესპუბლიკაში ომის დასასრულისათვის 55 აღმატებოდა. გარდა ამისა, ომის პერიოდში ორგანიზებულ იქნა სახელმწიფო კომერციული სავაჭრო ქსელი, სადაც ვაჭრობა ხორციელდებოდა ბაზათების გარეშე, გაზრდილი ფასებით. 1945 წლის ბოლოსათვის რესპუბლიკაში ითვლებოდა 116 კომერციული მიღაზია და საზოგადოებრივი კვების ასეთი 178 საწარმო. კომერციულმა ვაჭრობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მოსახლეობის მოხმარების საგნებით მომარაგებასა და შემდგომში გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლაში.

ომის პერიოდში რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად შემცირდა საქონელბრუნვის მოცულობა და სავაჭრო საწარმოთა რიცხვი, რომელთა დიდი ნაწილი გამოიყენებოდა ფრონტის საჭიროებისათვის. 1940—1945 წწ. რესპუბლიკაში საცალო ვაჭრობის საწარმოთა რაოდენობა 7642-დან 4824-მდე, ხოლო საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რიცხვი 1812-დან 1364-მდე შემცირდა. 1940—1943 წწ. საცალო საქონელბრუნვის მოცულობა 30%-ით შემცირდა. მიუხედავად 1943 წლიდან საქონელბრუნვის გაჩქარებული ზრდისა, 1945 წ. მან ჯერ კიდევ ვერ მიაღწია 1940 წ. დონეს და მის მხოლოდ 84,2% უდრიდა.

ომის პერიოდში ვაჭრობამ დიდი როლი შეასრულა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფაში, წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებასა და სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში. ომის მძიმე წლებში იგი უზრუნველყოფდა არმიასა და მოსახლეობას კვების პროდუქტებითა და მოხმარების სხვა საგნებით, რითაც დიდად შეუწყო ხელი ფრონტისა და ზურგის ერთიანობის განმტკიცებასა და მტერზე საბოლოო გამარჯვებას.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხალხი კვლავ შეუდგა აღმშენებლობით საქმიანობას. სსრკ სახალხო მეურნეობის განვითარების მეოთხე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა ეკონომიკის ომამდელი დონის აღდგენასა და მის შემდგომ განვითარებას. რესპუბლიკის მშრომელებმა ხუთწლიდის დავალებანი ვადაზე ადრე შეასრულეს. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ძმლავრი განვითარების საფუძველზე სწრაფად გადიდდა მოხმარების საგნების წარმოება, ამაღლდა მოსახლეობის მყიდველუნარიანობა — მუშა-მოსამსახურეებისა და სოფლის მოსახლეობის ფულადი შემოსავალი 1950 წ. 1940 წელთან შედარებით 62%-ით გადიდდა. ყოველივე ამის შედეგად, მნიშვნელოვნად გაფართოვდა საქონელბრუნვა. 1940—1950 წწ. რესპუბლიკას საცალო საქონელბრუნვა 93%-ით (მ. შ. საკვების ბრუნვა—54,2%) გადიდდა და არათუ აღდგენილი, არამედ მნიშვნელოვნად გადაჭარბებულიც იქნა მისი ომამდელი დონე.

ვაჭრობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მოხმარების საგნებზე საბარათო სისტემის გაუქმებამ და გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადას-

ვლამ, რასაც თან სდევდა ქვეყანაში ფულის რეფორმის განხორციელება. სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1947 წ. 14 დეკემბრის დადგენილებით გატარდა ფულის რეფორმა და გაუქმდა მოსახლეობის საქონლით მომარაგების საბარათო სისტემა. ამ ღონისძიებებს ჰქონდა უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა, რომელთაც უაღრესად დიდი როლი შეასრულეს ეკონომიკის შემდგომ აღმავლობაში და სათანადო პირობები შექმნეს ქვეყანაში საქონლურ-ფულადი მიმოქცევის გაჯანსაღებისა და ნორმალიზაციისათვის.

ომის შემდგომ პერიოდში საქონლბრუნვის ზრდა ხორციელდებოდა საქონელზე საცალო ფასების სისტემატური შემცირების პირობებში. მე-4 ხუთწლედში ფასების შემცირება 3-ჯერ განხორციელდა, მათ შორის, პირველად 1947 წლის დეკემბერში (საშუალოდ 17%), საბარათო სისტემის გაუქმებასთან ერთად, რის შედეგადაც რესპუბლიკის მოსახლეობის მყიდველუნარიანობა 150 მილ მანეთზე მეტით გაიზარდა.

საცალო ფასების შემდგომი დაკლება მოხდა 1948—1949 წწ. რის შედეგადაც ფასების დონე 10-დან 30%-მდე შემცირდა. ამასთან, იგი შეეხო უაღრესად მნიშვნელოვანი სახის კვების პროდუქტებს — პურს, ბურღულს, ხორცს, თევზს, ცხიმულსა და სხვ. საცალო ფასების ყველაზე მნიშვნელოვანი შემცირება განხორციელდა 1950 წ. 1 მარტიდან. ფასებმა ამჯერად საშუალოდ 21%-ით დაიკლო, რის შედეგადაც რესპუბლიკის მოსახლეობამ 200 მილ მანეთზე მეტი მოიგო.

ომის შემდგომ პერიოდში, საქონლბრუნვის განვითარებასთან ერთად, ფართოდებოდა და უმჯობესდებოდა ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც. მე-4 ხუთწლედის ბოლოსათვის აღდგენილ და გადაჭარბებულ იქნა სავაჭრო საწარმოთა ქსელის განვითარების ომამდელი დონე. 1950 წ. რესპუბლიკაში ითვლებოდა საცალო ვაჭრობის 7672 საწარმო, 7,5%-ით მეტი, ვიდრე 1940 წელს. ხუთწლედის მანძილზე საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რაოდენობა 62%-ით გადიდა და მისი ზრდის ტემპი საქონლბრუნვის ზრდის ტემპს მნიშვნელოვნად დაუახლოვდა.

რესპუბლიკაში ვაჭრობის განვითარების მომდევნო პერიოდი ზრდის ინტენსიური მაჩვენებლებით ხასიათდება, რასაც განაპირობებდა მატერიალურ წარმოებასა და მშრომელთა რეალური შემოსავლების ზრდაში მიღწეული წარმატებები. მე-4 და მე-5 ხუთწლედებში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების, საქონლის საბაზრო ფონდების გადიდებისა და მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ზრდის საფუძველზე, რესპუბლიკაში შეუფერხებლად ვითარდებოდა ვაჭრობის საქონლბრუნვა და ქსელი (იხ. ცხრილი 1).

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საქონლბრუნვის გაფართოებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა საქონლური რესურსების გადიდებას ენიჭებოდა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელებამ მნიშვნელოვნად გაზარდა რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფო დამზადების მოცულობა, რამაც სათანადო მატერიალური საფუძველი შექმნა საქონლის საბაზრო ფონდების გადიდებისათვის. ამასთან, ფართო მოხმარების საგნების წარმოების სტიმულირების მიზნით 1955 წ. მაისიდან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება დაერთოთ თავიანთ განკარგულებაში დაეტოვებინათ

ცხრილი 1

საქართველოს სსრ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საქონელბრუნვა და ქსელი 1950—1960 წწ.

	1850 წ.	1955 წ.	1960 წ.	1960 წ. %%-ით	
				1950 წ.	1955 წ.
საბალო საქონელბრუნვა (საზკეების ბრუნ. ჩათვლით) მლნ მან.	641,9	822,7	1242,9	193,6	151,1
მ. შ. საზკეების ბრუნვა "	81,7	120,0	154,8	189,4	129,0
%%-ით	12,7	14,6	12,5	—	—
საბალო ვაჭრობის საწარმოები	7672	8815	11662	152,0	132,3
საზკეების საწარმოები	2264	2598	3621	160,0	139,3

კვარტალური გეგმის ზევით გამოშვებული საქონლური პროდუქცია, რამაც მნიშვნელოვნად გააფართოვა რესპუბლიკის საბაზრო ფონდების მოცულობა.

საქონლის დამატებითი რესურსების გამოძენისა და საქონელბრუნვაში მათი ჩართვის საქმეში არანაკლები როლი შეასრულა თვით სავაჭრო ორგანიზაციების მიერ მოწყობილმა დამხმარე მეურნეობებმა. 1955 წ. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის სისტემის სავაჭრო ორგანიზაციების დამხმარე მეურნეობებში წარმოებულმა პროდუქციამ 45,7 მლნ მანეთს გადააჭარბა და 1950 წელთან შედარებით ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

1950—1960 წწ. რესპუბლიკაში საქონელბრუნვის ზრდა კვლავ ხორციელდებოდა საბალო ფასების შემცირების პირობებში. 1951—1954 წწ. საბალო ფასების ოთხჯერადი შემცირებით რესპუბლიკის მოსახლეობა 245 მლნ მანეთზე მეტი მოიგო. ფასების შემცირება შემდგომშიც ხორციელდებოდა ბავშვის შეკერილ ტანსაცმელზე, საათებზე, რადიო და ფოტოსაქონელზე და სხვა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.

1950—1960 წწ. რესპუბლიკის მთლიან საქონელბრუნვაში უფრო სწრაფად იზრდებოდა კოოპერაციული ვაჭრობის ბრუნვა, რის გამოც, მისი ხვედრი იწონა 29,1%-დან 31,2%-მდე ამაღლდა. საბალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ბრუნვა ამ პერიოდში დაახლოებით თანაბრად იზრდებოდა, რის გამოც, მათი ხვედრი იწონის მაჩვენებლები არ შეცვლილა. 1960 წელს ისინი შესაბამისად უდრიდა 87,5 და 12,5 %.

საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ომის შემდგომ პერიოდში რესპუბლიკაში საბალო საქონელბრუნვის განვითარება ინტენსიური ზრდით ხასიათდებოდა. თუ, 1940 წელთან შედარებით, 1955 წ. საბალო საქონელბრუნვა (უცვლელი ფასებით) 7 %-ით გადიდა, 1955 წ. ეს მაჩვენებელი 1,9-ჯერ, ხოლო 1960 წ. 2,9-ჯერ გაიზარდა. მოსახლეობის ერთ სულზე საბალო საქონელბრუნვა 1940 წ. 91 მანეთიდან 1950 წ. 182, ხოლო 1960 წ. 299 მანეთამდე გადიდა.

ვაჭრობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სახალხო მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკაში მომხდარმა ცვლილებებმა და ამ მიმართულებით მოკავშირე რესპუბლიკების უფლებების გაფართოებამ. ვაჭრობაში ეს ცვლილებები, უწინარეს ყოვლისა, იმით გამოიხატა, რომ 1957 წლიდან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება მიეცათ თვითონ განესაზღვრათ სა-

ცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის მოცულობა (საკუთარი წარმოების პროდუქციის ხვედრიწონის ჩვენებით) ცალკეული სავაჭრო სისტემების მიხედვით. ამასთან, მათ მიეცათ ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების, მიმოქცევის ხარჯების, ხელფასის ღონისა და სამეურნეო საქმიანობის ზოგიერთი სხვა მაჩვენებლის დამტკიცების უფლება, რამაც სათანადო პირობები შექმნა საქონელბრუნვის გაფართოების, ვაჭრობის მართვისა და სავაჭრო ორგანიზაციების სამეურნეო-საფინანსო მდგომარეობის განმტკიცების სფეროს.

რესპუბლიკაში ვაჭრობის განვითარების საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული განვითარებული სოციალიზმის პირობებში. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1960 წ. 8 აგვისტოს დადგენილებით—„ვაჭრობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ„ — პრაქტიკული განხორციელების შედეგად რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა საქონელბრუნვის მოცულობა და გაუმჯობესდა მისი სტრუქტურა, საგრძნობლად განმტკიცდა ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და დარგის მაღალკვალიფიცირებული კადრებით უზრუნველყოფა, რაც კარგად ჩანს მე-2 ცხრილის მონაცემებიდან.

ცხრილი 2

საქართველოს სსრ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები 1960—1980 წწ.

მაჩვენებლები	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.	1980 წ.	1980 წ. %%-ით	
						1960 წ.	1970 წ.
საცალო საქონელბრუნვა (საზვეების ბრუნვის ჩათვლით) მლნ მან.	1243	1530	2315	2315	4328	348,2	186,9
მ. შ. სასურსათო %%-ით	48,1	52,4	48,4	46,5	44,2	—	—
არასასურსათო %%-ით	51,9	47,6	51,6	53,5	55,8	—	—
საზვეების ბრუნვა, მლნ მან.	154,8	198,6	284,2	372,9	479,3	309,6	168,6
მ. შ. საკუთარი პროდ. ბრუნ.	56,5	96,1	157,1	206,7	275,6	487,8	175,4
%%-ით	36,5	48,4	55,3	55,4	57,1	—	—
საცალო ვაჭრობის საწარმოები	11662	14094	15219	15158	15484	132,8	101,7
მათი სავაჭრო ფართობი (ათ. კვ. მ.)	378,0	508,0	555,0	713,0	848,8	224,6	152,9
საზვეების საწარმოები	3621	4679	5842	6623	7508	207,3	128,5
მათი დასაჯდომი ადგილები (ათ.)	110,4	161,2	228,5	261,8	330,1	299,0	149,0
ვაჭრობის მუშაეთა რაოდენობა (ათ.)	56,9	71,8	91,4	107,9	117,8	207,0	128,9

1960—1980 წწ. რესპუბლიკის საცალო საქონელბრუნვა 3,5-ჯერ მ. შ. საზვეების ბრუნვა 3-ჯერ და უფრო მეტად გადიდა. ხუთწლეულების მიხედვით საქონელბრუნვის საშუალო წლიური ზრდის ტემპი განსხვავებული იყო. მე-7 ხუთწლეულში იგი უდრიდა 4,2, მერვეში 8,7, მეცხრეში 6,8 და მეათეში 5,3%.

აღსანიშნავია, რომ მე-7 ხუთწლეულის ბოლომდე, საქართველოს სსრ საცალო საქონელბრუნვის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა შესაბამის საკავშირო მაჩვენებლებს. 1966-1967 წწ. ეს მაჩვენებლები თითქმის გათანაბრდა, ხოლო 1968 წლიდან ჩვენს რესპუბლიკაში საქონელბრუნვა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე საშუალოდ კავშირში. 1970—1980 წწ. საცალო საქონელბრუნ-

ვა საშუალოდ კავშირში გაიზარდა 70%-ით (მ. შ. საზოგადოების ბრუნვა—51%-ით), ხოლო ჩვენს რესპუბლიკაში იგი 79%-ით (მ. შ. საზოგადოების ბრუნვა—58%-ით) გადიდა. მე-10 ხუთწლეულში საცალო საქონელბრუნვა ჩვენს რესპუბლიკაში 34,8%-ით გადიდა, კავშირის მასშტაბით კი მისი ზრდა 24% უდრიდა.

ყოველივე ამან თავისი ასახვა ჰპოვა რესპუბლიკის მოსახლეობის სულდობრივი მოხმარების დონის ზრდაში, რაც უმთავრესად საქონელბრუნვის მაჩვენებლით გამოიხატება. თუ 1960 წ. რესპუბლიკაში მოსახლეობის ერთსულზე საცალო საქონელბრუნვა 299 მან. უდრიდა, 1970 წ. 492 მან., 1980 წ. კი 856 მან. შეადგინა. მიუხედავად ამისა, ამ მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამოვრჩებით საშუალო საკავშირო მაჩვენებელს (1019 მან). ეს მდგომარეობა გამოწვეულია ჯერ-ერთი, რესპუბლიკაში ნატურალური მოხმარების მაღალი დონითა და მთლიან ბრუნვაში საკოლმეურნეო ვაჭრობის დიდი ხვედრიწილით, რაც არ ასახება სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საქონელბრუნვაში. გარდა ამისა, ახლო წარსულში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა რესპუბლიკაში ვაჭრობის განვითარებას, ამ საქმეში ადგილი ჰქონდა სერიოზულ შეცდომებსა და დამახინჯებებს, რაც უკანასკნელ პერიოდში სავსებით სამართლიანად იქნა დაგმობილი.

ბოლო წლებში საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის საქმიანობა არაერთხელ იყო რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების მსჯელობის საგანი. მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას მიეძღვნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის V პლენუმი (1977 წ. იანვარი). მიღებულ დადგენილებებში მოცემულია სწორი, პრინციპული პარტიული შეფასება ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში შექმნილი მდგომარეობისა, დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების სფეროში მტკიცე სახელმწიფო დისციპლინის დასამყარებლად.

აღნიშნულ დადგენილებათა პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად უკვე მიღებულია ხელშესახები შედეგები. საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის კიდევ უფრო გააქტიურება, რათა ბოლომდე აღმოიფხვრას მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებაში არსებული ნეგატიური მოვლენები, უახლოეს მომავალში ვაჭრობის განვითარების ძირითად მაჩვენებელთა მიხედვით რესპუბლიკა გაუტოლდეს საერთო-საკავშირო დონეს.

საქონელბრუნვის მოცულობის ზრდასთან ერთად, უკანასკნელ პერიოდში, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მისი სასაქონლო სტრუქტურა. ეს, პირველ რიგში, იმით გამოიხატა, რომ მთლიან საქონელბრუნვაში გადიდა არასასურსათო საქონლის ხვედრიწილი. 1960—1980 წწ. ეს მაჩვენებელი 51,9-დან 55,8%-მდე ამაღლდა. ამასთან, იგი საშუალოდ კავშირში 49,2% არ აღემატება.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი სტრუქტურული ძვრები მოხდა ცალკეული სასაქონლო ჯგუფების შიგნითაც. კერძოდ, სურსათის მთლიან ბრუნვაში საგრძნობლად ამაღლდა მაღალკალორიული და მაღალი კვებითი ღირებულების მქონე პროდუქტების ხვედრიწილი. 1980 წელს, 1960 წელთან შედარებით, რესპუბლიკის მოსახლეობამ სავაჭრო ქსელიდან შეიძინა ხორცი და ძეხვეული: 4,9-ჯერ მეტი, თევზი და ქაშაყი 3,3-ჯერ, ცხიმეული 3,2-ჯერ, რძე და რძის პროდუქტები

3,4-ჯერ კვერცხი 10-ჯერ, საკონდიტრო ნაწარმი 3,1, ხილი და ბოსტნეული და ხილ-კენკროვანი თითქმის 2-ჯერ მეტი და ა. შ.

არასასურსათო საქონლის ბრუნვაში შესამჩნევად გადიდდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და ხანგრძლივი მოხმარების საქონლის ხვედრიწონა. 1960—1980 წწ. მოსახლეობისათვის მიყიდვა გადიდდა ტრიკოტაჟისა და წინდის ნაწარმის 4,4-ჯერ, ტანსაცმლისა და თეთრეულის 3,4-ჯერ, ფეხსაცმლის 2,5-ჯერ, ავეჯის 7,5-ჯერ, კულტსაქონლის 4,1-ჯერ და ა. შ.

რესპუბლიკის მთლიანი საცალო საქონელბრუნვიდან სახელმწიფო ვაჭრობის წილად მოდის 64%, სამომხმარებლო კოოპერაციის 29, ხოლო საკომერციული ვაჭრობის წილად — 7%. ამასთან, სოფლად საქონელბრუნვა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ქალაქად. 1960—1980 წწ. რესპუბლიკაში ქალაქის მოსახლეობის ერთ სულზე საქონელბრუნვა 2,4-ჯერ, ხოლო სოფლის მოსახლეობის კი თითქმის 3-ჯერ გაიზარდა. ეს საეკონომიკური კანონზომიერი მოვლენაა, რაც განპირობებულია ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის სულადობრივი მოხმარების და ცხოვრების დონის ურთიერთ დაახლოებით, ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების მოსპობით.

მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული საზოგადოებრივი კვების განვითარებაში. 1960—1980 წწ. მისი საქონელბრუნვა 3-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. ამასთან მისი ზრდის ტემპი ჯერ კიდევ ჩამორჩება საცალო საქონელბრუნვის ზრდის ტემპს, რის გამოც აღნიშნულ პერიოდში რესპუბლიკის მთლიან საცალო საქონელბრუნვაში საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის ხვედრიწონა 12,4%-დან 11%-მდე შემცირდა. ამავად, რესპუბლიკის მოსახლეობა საზოგადოებრივი კვების მეშვეობით ღებულობა მათთვის საჭირო პროდუქტების დაახლოებით მეოთხედს, რაც არაა საკმარისი. საჭიროა ვადამჭერელი ზომების მიღება რესპუბლიკაში საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის სწრაფი ტემპით განვითარებისათვის.

საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მისი სტრუქტურა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მთლიან ბრუნვაში საკუთარი წარმოების პროდუქციის ხვედრიწონის ამაღლებას. ეს მაჩვენებელი რესპუბლიკაში 1960—1980 წწ. 36,5%-დან 57,1%-მდე ამაღლდა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამზარეულო პროდუქციაზე მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. თუმცა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. საკუთარი წარმოების პროდუქციის ხვედრიწონის მაჩვენებელი ჩვენს რესპუბლიკაში გაცილებით დაბალია, ვიდრე საშუალოდ კავშირში (64,6%) და ბევრ სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში. საჭიროა მომავალში მეტი ყურადღება მიექცეს აღნიშნული მაჩვენებლის გადიდებას, რაც სათანადო პირობებს შექმნის საზოგადოებრივი კვების პროდუქციაზე მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნების ყოველმხრივი დაკმაყოფილებისათვის.

ვაჭრობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფას ენიჭება. ამ მხრივ, რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული. 1960—1980 წწ. საცალო ვაჭრობის საწარმოთა რაოდენობა 32,8%-ით, ხოლო მალაზიების სავაჭრო ფართობი 2,2-ჯერ გაიზარდა. ამავე პერიოდში საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რაოდენობა 2,1-ჯერ, ხოლო მათი დასაჯდომი ადგილების რიცხვი 3-ჯერ გადიდდა.

ამასთან, საწარმოთა რაოდენობის ზრდას წინ უსწრებდა სავაჭრო ფართო-

ბისა და დასაჯდომი ადგილების ზრდა, რის გამოც, 1960—1980 წწ. ერთ მაღაზიაზე საშუალო სავაჭრო ფართობი 44 კვ. მეტრიდან 73,1 კვ. მეტრამდე, ხოლო საზოგადოებრივი კვების ერთ საწარმოზე დასაჯდომი ადგილების საშუალო რიცხვი 34,1-დან 44-მდე გაიზარდა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ქსელის ზრდა ძირითადად მსხვილ საწარმოთა ხარჯზე ხორციელდებოდა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საწარმოთა გამტარუნარიანობის გადიდებას. მათი სამეურნეო საფინანსო მაჩვენებლების განმტკიცებასა და მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების კულტურის ამაღლებას.

სავაჭრო ქსელის რაოდენობრივ ზრდასთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა მისი ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესებას. ამ მხრივ, განსაკუთრებული როლი შეასრულეს სკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 7 იანვრის—„ვაჭრობისა და მისი ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ და 1977 წლის 5 ივლისის—„ვაჭრობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ დადგენილებებმა. ამ დოკუმენტებში ხაზგასმითაა მითითებული ვაჭრობაში ტექნიკური აღჭურვილობის, შრომატევადი ოპერაციებისა და მძიმე ფიზიკურ სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ღონის მკვეთრი ამაღლების შესახებ.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად, რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ვაჭრობის ტექნიკური აღჭურვილობა. ძველი მოწყობილობა ბევრ შემთხვევაში შეიცვალა ახლით. ამჟამად, ბევრი საწარმო უკეთაა აღჭურვილი საქონლის მიღების, შენახვის, გადამუშავების, რეალობაციისა და მოხმარებისათვის საჭირო მოწყობილობითა და ინვენტარით. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სავაჭრო საწარმოთა სამაცივრო ტექნიკით აღჭურვის გაუმჯობესებას. 1970—1980 წწ. საქართველოს სსრ სახელმწიფო საცალო ვაჭრობაში, საზოგადო უფრო გაიზარდა. ამასთან, მნიშვნელოვნად გადიდდა სამაცივრო მანქანების რაოდენობა 87%-ით, ხოლო სამაცივრო მოწყობილობათა რაოდენობა 2,5-ჯერ და უფრო გაიზარდა ამასთან, მნიშვნელოვნად გადიდდა სამაცივრო მანქანების სიმძლავრე, ტევადობა და გამოყენების ეფექტიანობა. პრაქტიკაში დაინერგა სექციური მოდულირებული კონსტრუქციები, რომლებიც უზრუნველყოფენ დახლებსა და ვიტრინებში ერთიან ხაზზე სიცივის კონცენტრაციას.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რესპუბლიკის საზოგადოებრივი კვების საწარმოების მექანიკური, ტექნოლოგიური და თბური მოწყობილობით აღჭურვა. საგრძნობლად ამაღლდა ნედლეულის გადამუშავებისა და საქმლის მომზადების მექანიზაციის დონე, რამაც კეთილმოყოფელი გავლენა იქონია შრომის ნაყოფიერების ზრდასა და მომსახურების კულტურის ამაღლებაზე.

ვაჭრობაში ტექნიკური პროგრესის გაღრმავება გამოიხატა, აგრეთვე, საწარმოთა თანამედროვე სავაჭრო ავტომატებით, საკონტროლო-სალარო აპარატებითა და ზომა-წონის ხელსაწყოებით სათანადოდ აღჭურვილ. ამ მხრივ, უკანასკნელ პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა. ჩვეულებრივი მექანიკური აპარატები და ხელსაწყოები შეიცვალა ელექტრონული მანქანებით. თვითმომსახურების მსხვილ მაღაზიებში იქმნება საანგარიშსწორებო კვანძები, რომელთა ეკონომიკური ეფექტიანობა 15—20%-ით მაღალია, ანგარიშსწორების ძველ სისტემასთან შედარებით.

რესპუბლიკაში სავაჭრო ქსელის განვითარება ხორციელდებოდა მისი სპე-

ცილიზაციის გაღრმავების მიმართულებით. ამჟამად, რესპუბლიკის სახელმწიფო ვაჭრობაში სასურსათო მალაზიების სპეციალიზაციის დონე შეადგენს 48, ხოლო არასასურსათო მალაზიებისა 80%-ზე მეტს, რომელთა წილად მოდის საქონელბრუნვის 67,4%. ამასთან, სავაჭრო ქსელის სპეციალიზაციაში აღვილი აქვს გარკვეულ თვისობრივ ცვლილებებს. რამდენადმე მცირდება სასაქონლო ნიშნის მიხედვით სპეციალიზებულ საწარმოთა რაოდენობა და შეაბამისად იზრდება მოთხოვნის ერთობის ნიშნის მიხედვით სპეციალიზებული ქსელი.

უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკაში ფართოდ დაინერგა ვაჭრობის პროგრესული მეთოდები: თვითმომსახურებით საქონლის გაყიდვა, ვაჭრობა ნიმუშებით, საქონლის ღია გამოფენით, წინასწარ შეკვეთით, სახლში მიტანით, ავტომატებით ვაჭრობა და სხვ. 1970—1980 წწ. რესპუბლიკის სახელმწიფო ვაჭრობაში პროგრესული მეთოდებით მოვაჭრე მალაზიების რაოდენობა 2-ჯერ, ხოლო მათი სავაჭრო ფართობი 5-ჯერ და მეტად გაიზარდა. 1981 წლის დასაწყისისათვის რესპუბლიკის სახელმწიფო ვაჭრობაში მოქმედებდა თვითმომსახურების 646 სასურსათო და 506 არასასურსათო მალაზია. ამავე პერიოდისათვის სახლში მიტანით ვაჭრობდა 119, წინასწარი შეკვეთებით 159, ნიმუშებით — 96 მალაზია.

ვაჭრობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების სრულყოფის მიზნით გატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმამ. ექსპერიმენტის წარმატებით განხორციელების შემდეგ რესპუბლიკის სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციები გადაყვანილნი იქნენ ჯერ დაგეგმვის, ხოლო შემდეგ ეკონომიკური სტიმულირების ახალ მეთოდზე. ამან მნიშვნელოვნად აამალა სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების როლი ადგილებზე კონკრეტული პირობების გათვალისწინებით ეკონომიკურად დასაბუთებულ გეგმურ მაჩვენებელთა განსაზღვრაში, საგრძობლად გაზარდა შრომითი კოლექტივებისა და მათი თითოეული წევრის მატერიალური დაინტერესება გეგმურ დავალებათა გადაჭარბებით შესრულებაში, საწარმოთა და თვით დარგის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაში.

სკკ XXVI ყრილობამ ახალი დიდი ამოცანები დასახა ვაჭრობის განვითარებაში. მე-II ხეტწლედში ნავარაუდევია ქვეყნის მასშტაბით საცალო საქონელბრუნვის გადიდება 22—25 პროცენტით, ჩვენს რესპუბლიკაში კი—36—37 პროცენტით. მიმდინარე ხეტწლედში მნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა გადაიდგას რესპუბლიკაში საცალო საქონელბრუნვის ზრდის ტემპების დაჩქარების, მოსახლეობის 1 სულზე საქონელბრუნვის საკავშირო და ჩვენი რესპუბლიკების მაჩვენებლებს შორის დიდი განსხვავების აღმოფხვრის მიმართულებით.

მეთერთმეტე ხეტწლედში გათვალისწინებულია რესპუბლიკაში საცალო საქონელბრუნვის სტრუქტურის გაუმჯობესების, ვაჭრობის მატერიალური ტექნიკური ბაზის სრულყოფის, ვაჭრობაში პროგრესული მეთოდების დანერგვის გაფართოების, დარგის დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, რომელთა პრაქტიკული განხორციელება ხელს შეუწყობს ვაჭრობის შემდგომ განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის დონის მნიშვნელოვან ამაღლებას.

Р. Г. ДЖАВАХИШВИЛИ

РАЗВИТИЕ ТОРГОВЛИ В СОВЕТСКОЙ ГРУЗИИ

Резюме

За годы Советской власти в Грузинской ССР были достигнуты определенные успехи в развитии торговли. На основе проведенных партий и правительством мероприятий за годы довоенных пятилеток успешно завершилось обобществление сферы товарного обращения, возникла и стала развиваться совершенно иная по содержанию отрасль народного хозяйства — советская торговля. За короткий период она превратилась в высокоразвитую отрасль экономики. Уже в предвоенном 1940 году в республике функционировало 7491 предприятие розничной торговли и 1777 предприятий общественного питания, товарооборот которых превышал 333 млн. рублей.

В годы войны торговля играла важную роль в снабжении армий и населения продовольствием. После окончания войны в республике за короткий срок был восстановлен довоенный уровень развития торговли, были проведены мероприятия по снижению розничных цен, развешиванию товарооборота и улучшению уровня благосостояния народа.

В деле развития торговли в республике особенно большие успехи были достигнуты в условиях развитого социализма. В 1960—1980 гг. розничный товарооборот государственной и кооперативной торговли Грузинской ССР увеличился в 9,5 раза. Количество торговых предприятий в конце десятой пятилетки составляло 15 484, а число предприятий общественного питания 7508 единиц, соответственно в 1,3 раза и 2,1 раза больше по сравнению с 1960 годом.

XXVI съезд КПСС наметил новые важные задачи развития торговли, практическое осуществление которых будет способствовать дальнейшему совершенствованию отрасли и повышению уровня благосостояния народа.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სოციალური მეცნიერებების განყოფილების მეცნიერი რედაქტორი ვ. ჯავახიშვილი



უზანგი საზადაუზვილი

საბჟოთა ხალხი — ტავინი ძვეყნის ზემზარტი მიბატრონე და მმართველი

მთელი ჩვენი ხალხი დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში აღნიშნავს ისტორიული მნიშვნელობის დღესასწაულს — საბჟოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავს.

საბჟოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთავრობა ამ ხნის განმავლობაში ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მართვის დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინურ პრინციპს, რაც ნიშნავს საზოგადოებრივი წარმოების ცენტრალიზებული გეგმიანი ხელმძღვანელობის შეხამებას ადგილობრივი ორგანოების, გაერთიანების, საწარმოებისა და მშრომელთა მასების ინიციატივისა და შემოქმედებითი აქტივობის ფართოდ განვითარებასთან.

მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობა საზოგადოებრივი წარმოების მართვაში სოციალისტური დემოკრატიის ერთ-ერთი არსებითი მხარეა. ეს განპირობებულია იმით, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ძირეულად შეცვალა მშრომელთა როლი საზოგადოებრივ წარმოებაში. ექვს ათეულ წელზე მეტია მას შემდეგ, რაც ისინი თავისი ქვეყნის სრულყოფილებიან ბატონ-პატრონებად და სოციალისტური ეკონომიკის აქტიურ ორგანიზატორებად იქცნენ. როგორც მატერიალური დოვლათის უშუალო მწარმოებლებს, მათ ყოველთვის გადამწყვეტი ადგილი ეკავათ წარმოებაში, მაგრამ წარმოების მართვაში სოციალიზმამდე — არასოდეს. მხოლოდ სოციალიზმის დროს გახდა შესაძლებელი წარმოების მართვის დემოკრატიულობის უზრუნველყოფა.

სოციალიზმის უპირატესობა კაპიტალიზმთან შედარებით სწორედ ის არის, რომ მხოლოდ მან შექმნა ობიექტური შესაძლებლობა მუშების, გლეხების და ინტელიგენციის, საზოგადოებრივი და საწარმოო საქმიანობის ყველა სფეროში, შეგნებული და მიზანსწრაფული მონაწილეობისათვის. საბჟოთა ადამიანების ფართო კონსტიტუციური უფლებები უზრუნველყოფს მასების ჩაბმას საზოგადოებრივი წარმოების მართვაში და, მამსახადამე, მართვის დემოკრატიულობის გაღრმავებას.

სსრ კავშირის განვითარების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კომუნისმი-საქენ წინსვლის კვალობაზე, მშრომელთა მზარდი მონაწილეობა საზოგადოებრივი წარმოების მართვაში სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობის აუცილებელ კომპონენტად იქცა. ეს ნაკარნახევია სოციალიზმისათვის სპეციფიკური ურთიერთობით — ამხანაგური თანამშრომლობისა და სოციალისტური ურთიერთდახმარების ურთიერთობით, საბჟოთა ადამიანების კოლექტივიზმის სულისკვეთებით აღზრდის აუცილებლობით.

ქ. მარქსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქვემარტივი კოლექტიურობა წარმოიშობა მხოლოდ საზოგადოებრივი საკუთრების დროს, რომელიც გულახდობს მშრომელთა მიზნებისა და ამოცანების, ინტერესების ერთიანობას. ასეთ



პირობებში, თვით მშრომელები მონაწილეობენ სამეურნეო პროგრამის შედგენაში და თვითონვე ახორციელებენ მის შესრულებაზე კონტროლსაც.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მართვას, დემოკრატიულობასთან ერთად, ახასიათებს ცენტრალიზაციაც. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, ვინაიდან სახალხო მეურნეობის ყველა რგოლის საწარმოო საქმიანობის კოორდინაცია მხოლოდ ერთი ცენტრიდანაა შესაძლებელი. მაგრამ, მეურნეობის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა არაფექტური იქნებოდა მართვის დემოკრატიულობის გარეშე. «ყველას გვესმის, — მიუთითებს ლ. ი. ბრეჯნევი, — რომ სოციალისტური ეკონომიკა წარმოუდგენელია ცენტრალიზებული საწყისის განუშტკიცებლად. ამასთანავე პოლიტიკაშიც და ეკონომიკაშიც ზენ გვირდებდა დემოკრატიული ცენტრალიზმი, რომელიც ფართო გზას უხსნის ქვემოდან მომავალ ინიციატივას — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და გაერთიანებების, ადგილობრივი ორგანოების ინიციატივას»¹. უნდა აღინიშნოს, რომ, რაც უფრო დიდია წარმოების მასშტაბი, რაც უფრო რთულია წარმოების ორგანიზაცია, მით უფრო აუცილებელია საზოგადოებრივი წარმოების მართვაში მშრომელთა მასებია ჩაბმის გაფართოებისა და ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის განუშტკიცების რაციონალური შეხამება.

წარმოების მართვაში მშრომელთა მასების როლის ზრდა განპირობებულია იმითაც, რომ, ჯერ ერთი, სამმართველო აპარატს ყოველთვის არ შეუძლია მთლიანად გაითვალისწინოს ყველა საწარმოო რეზერვი, ამას ადგილზე მყოფი მუშა უკეთესად ხედავს; მეორე, მართვაში საზოგადოების, საწარმოო კოლექტივებისა და თითოეული მუშაკის ეკონომიკურ ინტერესთა შეხამება შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებრივი წარმოების განვითარების გეგმების შემუშავებაში მშრომელთა აქტიური მონაწილეობისას; მესამე, გეგმების შემუშავებაში მშრომელთა შემოქმედებითი ნონაწილეობა უკვე იმის პირობაა, რომ მათ საშუალება აქვთ წინასწარ განსაზღვრონ ამ გეგმების რეალიზაციის გზები. ყოველივე ამის გამო, აღინიშნა სკკ პარტიის XXVI ყრილობაზე, საჭიროა კიდევ უფრო «გ ა ნ ვ ა ვ ი თ ა რ ო თ მ შ რ ო მ ე ლ თ ა ი ნ ი ც ი ა ტ ი ვ ა , შე-მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ა ქ ტ ი ვ ო ბ ა მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს მ ა რ თ ვ ა შ ი , აუ-მაღლეთ შრომითი კოლექტივების როლი წარმოების მართვასა და დაგეგმვაში»².

ჩვენს ქვეყანაში მშრომელთა მმართველური საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე პირვანდელი ფორმა იყო წარმოებაზე მუშათა კონტროლი. ვ. ი. ლენინი წერდა: «მრეწველობის კონტროლი რომ ნამდვილად ხორციელდებოდეს, იგი უნდა იყოს მუშათა კონტროლი, რომ ყველა პასუხსაგებ დაწესებულებაში უმრავლესობას მუშები უნდა შეადგენდეს და ადმინისტრაცია თავის მოქმედებაში პასუხს უნდა აგებდეს მუშათა ყველაზე უფრო ავტორიტეტული ორგანიზაციების წინაშე»³. წარმოებაზე მუშათა კონტროლის განხორციელებაში დიდი როლი შეასრულეს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებმა, რომლებიც მუშათა კლასის სრულიად ახალი ორგანიზაციები იყვნენ და იქმნებოდნენ დიდ საწარმოებში. მუშათა კონტროლის ორგანოები ნაციონალიზებულ საწარმოებში

¹ ლ. ი. ბრეჯნევი, სიტყვა სკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1979 წლის 27 ნოემბერს, თბ., 1979, გვ. 26.

² სკკ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981, გვ. 305.

³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 677—678.

მტკიცე ბრძოლას აწარმოებდნენ ყოფილი მეპატრონეების, სხვა ანტისაზოგადოებრივი ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ ყოველგვარი ხრიკებით დაეტაცებინათ ხალხის ქონება⁴. წარმოებაზე კონტროლისას მუშათა კლასი იძენდა ფაბრიკა-ქარხნების მართვისათვის საჭირო ცოდნას, რაც ხელს უწყობდა სახელმწიფოსათვის წარმოების საშუალებათა უმტკიცეულოდ გადაცემას. კონტროლი წარმოადგენდა სკოლას, ამ მიზნით გაიხსნა მრავალი მოკლევადიანი კურსები, სადაც სწავლობდნენ ფაბრიკა-ქარხნების მართვა-გამგეობის და კონტროლის საქმეს⁵.

სამრეწველო საწარმოთა ნაციონალიზაციის შემდეგ, სახალხო მეურნეობის აღდგენის პირველსავე წლებში დიდი მნიშვნელობა მოიპოვა წარმოების მართვაში მშრომელთა მონაწილეობის ისეთმა ფორმამ, როგორცაა კოლექტიური ხელშეკრულება კოლექტიურ ხელშეკრულებაში მთავარი იყო ხელფასის, გამომუშავების და მისი ანაზღაურების, მუშათა ყოფაცხოვრების, შრომის პირობების გაუმჯობესების საკითხები. ისინი ითვისებდნენ, აგრეთვე სა-მუშაოზე მიღებისა და დათხოვნის წესს, სამუშაო დროის ხანგრძლივობის დაცვის, კვალიფიციური მუშახელის მომზადების, ანუ მუშათა საწარმოო სწავლებას⁶.

კოლექტიური ხელშეკრულების სისტემაზე გადასვლამ კეთილსასურველი გავლენა მოახდინა მუშათა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და კულტურის დონის ამაღლებაზე. შრომის ნაყოფიერების ამაღლებას მოჰყვა რეალური და ნომინალური ხელფასის ზრდა. საქართველოს სამთამადნო მრეწველობის კვალიფიციურ მუშათა საშუალო თვიური ხელფასი 1922 წლის დეკემბერში ომამდელი ხელფასის მხოლოდ 23,5 პროცენტს შეადგენდა. სსრ კავშირის შექმნის შემდეგ, 1923 წლის მარტში, იგი 44,6 პროცენტამდე ავიდა. თამბაქოს მრეწველობის კვალიფიციურ მუშათა საშუალო თვიური ხელფასი 1922 წლის დეკემბერში უდრიდა 23 მანეთსა და 13 კაპიკს, რაც ომამდელი ხელფასის 109,0 პროცენტს შეადგენდა, სამი თვის შემდეგ, 1923 წლის მარტში, მათი საშუალო თვიური ხელფასი აღწევდა 27 მანეთსა და 43 კაპიკს, რაც ომამდელის 122,4 პროცენტს შეადგენდა⁷.

საბჭოთა კავშირის შექმნის პირველსავე წელს კოლექტიურმა ხელშეკრულებამ და წარმოების მართვაში მშრომელთა მონაწილეობის სხვა ადრე წარმოშობილმა ფორმებმა, მოამზადეს საფუძველი მშრომელთა მმართველური საქმიანობის უფრო მაღალი ფორმების გაჩენისათვის. საწარმოო თათბირები რუსეთის სამრეწველო საწარმოებში 1923 წლიდან გაჩნდა. ისეთ საწარმოებში, სადაც 300-მდე კაცი მუშაობდა, იქმნებოდა საერთოსაქარხნო საწარმოო თათბირები, ხოლო უფრო მსხვილ საწარმოებში—სააქქო საწარმოო თათბირები⁸.

ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებსა და დაწესებულებებში 1927—1928 წლებში საშუალოდ წლიურად ტარდებოდა საწარმოო და ეკონომიკური თათბირების 6—10 სხდომა. ამასთან ერთად, ყოველწლიურად იზრდებოდა მუშა-მოსამსახურეთა მონაწილეობა საწარმოო და ეკონომიკური თათბირების მუშაობაში. ასე მაგალითად: თუ 1927 წელს საწარმოებში დასაქმებულ მუშათა და მოსამ-

⁴ პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღ. 1, საქ. 45, ფურც. 172.

⁵ პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 236, აღ. 4, საქ. 21, ფურც. 7—11.

⁶ საქართველოს სსრ ორსმ ცსა (თბილისი), ფ. 607, აღ. 1, ს. 2, ფურც. 3—4.

⁷ Обзор деятельности СНК ЗСФСР за 1932 г., с. 274.

⁸ საქ. სსრ ორსმ ცსა (თბილისი), ფ. 819, ს. 789, ფურც. 1, 2.



სახურეთა საერთო რაოდენობიდან საწარმოო თათბირების მუშაობაში მონაწილეობდა 19—20 პროცენტი, 1928 წელს იგი გადიოდა 26—30 პროცენტამდე, საამქრო საწარმოო თათბირებში კი 50—90 პროცენტამდე⁹.

სსრ კავშირის ფაბრიკებსა და ქარხნებში საწარმოო თათბირების მუშაობაში მნიშვნელოვნად გააქტიურა მშრომელთა ფართო ფენები, რომელთა შეგნებაში ჩნდება სახელმწიფოსა და საწარმოს ჩელმძღვანელის როლის შეგვრძნება.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმიდან დაწყებული დღემდე კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მიერ წამოყენებული ამოცანები მშრომელთა სულ უფრო განახლებულ შრომით და სოციალურ აქტიუბობას მოითხოვდა. ამიტომაც იყო, რომ ამ პერიოდში იბადებოდა და ვითარდებოდა მშრომელთა საზოგადოებრივ-მმართველური საქმიანობის მრავალი ახალი ფორმა. იხვეწებოდა და უმჯობესდებოდა ძველი, უკვე ფუნქციონირებადი ფორმები.

სსრ კავშირში საზოგადოებრივი წარმოების მართვაში მშრომელთა მონაწილეობა თვისებრივად ახალ საფეხურზე ავიდა მომწიფებული სოციალიზმის დროს. და ეს სავეებით ბუნებრივია, ვინაიდან „რაც უფრო მომწიფებული ხდება ჩვენი სოციალისტური საზოგადოება, რაც უფრო უახლოვდება თავისი განვითარების უმაღლეს სტადიას — კომუნიზმს, მით უფრო მაღლდება ჩვენი მოქალაქეების, შრომითი კოლექტივებისა და მთლიანად ხალხის საზოგადოებრივი აქტიურობა, მით უფრო ფართოდ და ღრმად ებმებიან მშრომელნი სახელმწიფოს საქმეების მართვა-გამგეობაში. ეს არის ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი კანონი (ხაზგასმა ჩვენი—უ. ს.)“¹⁰. ამ კანონის მოქმედების არეალი კიდევ უფრო გააფართოვა და ქმედითი გახადა: საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბის გიგანტურმა ზრდამ, წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფა-განვითარებამ, სამეურნეო კავშირების გართულებამ, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გადაქცევამ, ეკონომიკის განვითარების ექსტენსიური რელსებიდან უპირატესად ინტენსიურ რელსებზე გადასვლამ და სხვ.

უნდა ითქვას, რომ მართვაში მშრომელთა მონაწილეობას ისეთი დიდი მოთხოვნები არასოდეს წაყენებია, როგორც მომწიფებული სოციალიზმის დღევანდელ პირობებში, რამეთუ „რაც უფრო დიდია გაქანება, რაც უფრო დიდია ისტორიულ მოქმედებათა მოცულობა, მით უფრო მეტია იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც ამ მოქმედებაში მონაწილეობენ, და პირიქით, რაც უფრო ღრმა გარდაქმნა, რომლის მოხდენაც ჩვენ გვსურს, მით უფრო უნდა გვაძლიეროთ მისდამი ინტერესი და შეგნებული დამოკიდებულება, დავარწმუნოთ ამ აუცილებლობაში ახალ-ახალი მილიონები და ათეული მილიონები“¹¹.

მართვაში მშრომელთა საქმიანობის შემდგომი განვითარებისა და შრომითი კოლექტივების სოციალურ-ეკონომიკური აქტიუბობის კომპლექსურ პროგრამას შეიცავს სკკ პარტიის XXIV, XXV და XXVI ყრილობის მასალები, პარტიისა და მთავრობის დადგენილებები სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულ-

⁹ საქ. კ. (ბ) თბილისის კომიტეტის მოამბე, № 2, 1928 წ. გვ. 31.

¹⁰ ლ. ი. ბრეჟნევი, საბჭოთა ხალხის მშვიდობისა და ბედნიერებისათვის, თბ., 1975, გვ. 19.

¹¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 612.

4. „მაინე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1982, № 4

ყოფის შესახებ, სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახებ და მშრომელთა ეკონომიკური განათლებისა და აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

ჩვენს ქვეყანაში მშრომელთა მმართველური საქმიანობა ხორციელდება საბჭოებით, საზოგადოებრივი ორგანიზაციებით (პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული) და საწარმოო დემოკრატიზმის ისეთი ფორმებით, როგორცაა: სოციალისტური შეჯიბრება და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მოძრაობა, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ორგანიზაციები, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებები, მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირები და კოლექტიური ხელშეკრულებები, ეკონომიკური ანალიზის საზოგადოებრივი ბიუროები, სახალხო კონტროლი და სხვ.

სკკ პარტიის ხელმძღვანელობით მშრომელები აქტიურად მონაწილეობენ როგორც სახელმწიფოს, ისე წარმოების მართვაში. სახელმწიფოს მართვაში მშრომელთა მონაწილეობის მნიშვნელოვანი ფორმაა, როგორც უკვე ითქვა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, რომლებშიც ამჟამად არჩეული 2,3 მილიონი დეპუტატიდან თითქმის 72% მუშები და კოლმეურნეები არიან. საბჭოების მუშაობაში მონაწილეობით მშრომელები ეუფლებიან სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ჩვევებს. ბურჟუაზიული პარლამენტარებისაგან განსხვავებით, საბჭოების დეპუტატების საქმიანობას მუდმივ კონტროლს უწევენ ამომრჩევლები, რომელთაც ყოველთვის შეუძლიათ უკან გამოიწვიონ ისინი. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელ ათ წელიწადში ქვეყნის ყველა რგოლის საბჭოების შემადგენლობიდან 4 ათასზე მეტი დეპუტატი გაიწვიეს.

სსრ კავშირში მშრომელთა მმართველური საქმიანობა რეალიზდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობითაც. ამ ორგანიზაციებიდან ყველაზე მასობრივი ფორმაა პროფკავშირები. ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, საბჭოთა პროფკავშირებში არის აღმზრდელი მნიშვნელობის ორგანიზაცია, მართვის, მეურნეობის სოციალისტურ, გაძღოლის, კომუნიზმის სკოლა. პროფკავშირები ადმინისტრაციასთან ერთად ამუშავებენ საწარმოო გეგმებს, ხელმძღვანელობენ მუშათა კრებებს და საწარმოო თათბირებს, კოლექტიური ხელშეკრულებების დადებასა და სოციალისტურ შეჯიბრებას.

წარმოების მართვაში დიდ როლს ასრულებენ კომკავშირული ორგანიზაციები. ისინი წინ უძღვებიან მრავალმილიონიან ახალგაზრდათა არმიას, მათ ჩაბმას მართვაში. სამაგალითოა ბაიკალ-ამურის მაგისტრალის, ენგურაჰესის და სხვა დამკვერლური მშენებლობები, სადაც მილიონამდე ქალიშვილი და ჰაბუკი შრომობს. ლ. ი. ბრეჟნევა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ „რა ამოცანებიც უნდა დასახტოს პარტიამ, კომკავშირი ახალგაზრდული ენთუზიაზმით იბრძვის მათი გააღწევისათვის“¹². ახალგაზრდები სწორედ კომკავშირში ეჩვევიან წარმოების მართვაში აქტიურ საქმიანობას.

მშრომელთა შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობის, კომუნისტური აღზრდის, წარმოების მართვაში მათი ფართოდ ჩაბმის დიდმნიშვნელოვანი ბერკეტი სოციალისტური შეჯიბრება, რომლის ორგანიზაციის პრინციპები და როლი მეცნიერულად დასაბუთა ვ. ი. ლენინმა. იგი სოციალისტურ შეჯიბრებაში ხედავდა სოციალიზმის გამარჯვების აუცილებელ პირობას. „... სწორედ საბჭოთა ორგანიზაცია, გადადის რა ბურჟუაზიული რესპუბლიკის ფორმალური

¹² სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 115.

დემოკრატიზმიდან მშრომელთა მასების ნამდვილ მონაწილეობაზე მმართველობაში, პირველად აყენებს ფართოდ შეჯიბრებას. ამის დაყენება გაცილებით უფრო ადვილია პოლიტიკურ დარგში, ვიდრე ეკონომიკურში, მაგრამ სოციალისტების წარმატებისათვის მნიშვნელოვანია სწორედ უკანასკნელი¹³.

სსრ კავშირის პარტია, ვ. ი. ლენინის მითითებით რომ ხელმძღვანელობს, დაუცხრომლად ზრუნავს სოციალისტური შეჯიბრების სრულყოფისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების როლის ამაღლებისათვის. უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად სოციალისტური შეჯიბრება და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მოძრაობა გადაიქცა მშრომელთა ფართო მასების შემოქმედებითი შრომის ასპარეზად (იხ. ცხრილი).

სოციალისტური შეჯიბრებისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის განვითარება საქართველოს სსრ-ში 1976—1981 წ.¹⁴

ცხრილი

В отраслях народного хозяйства имеются существенные достижения в совершенствовании методологии бухгалтерского учета: широко внедрена журнально-ордерная форма, оперативно-бухгалтерский метод учета материалов, применяются элементы нормативного метода учета затрат, организован оперативный учет и контроль за формированием себестоимости продукции. Имеется положительный опыт организации учета в централизованных бухгалтериях бюджетных учреждений, промышленных, торговых, транспортных и др. предприятий.

Статистические и финансовые органы страны, совместно с министерствами и ведомствами провели большую работу по централи-

зации и механизации учета на предприятиях и в учреждениях. В результате на 1 января 1979 г. учет централизован в 765 тыс. бюджетных учреждениях и организациях (95% их общего числа), для обслуживания которых создана 21 тыс. централизованных бухгалтерий. Из 19 тыс. бухгалтерий, находящихся в зоне действия вычислительных центров и станций системы ЦСУ, учет механизирован в 7 тыс., из них 5,9 тыс. пользуются услугами вычислительной системы ЦСУ.

На 1 января 1979 г. в стране имелось 277,7 тыс. хозрасчетных предприятий и организаций, из которых у 222,7 тыс. учет сосредоточен в 7,5 тыс. централизованных бухгалтериях. Учет механизирован пока только в 4,6 тыс. централизованных бухгалтериях хозрасчетных предприятий и организаций, из них в 1,8 тыс. с помощью вычислительной системы ЦСУ СССР.

В деле повышения эффективности общественного производства важное место принадлежит улучшению организации научно-экономического управления, которое зависит от достоверности экономической, в том числе и учетной информации. Как известно, вычислительная техника играет важную роль в обработке учетно-экономической информации и перестройке технологического процесса бухгалтерского учета. За прошедшие годы десятой пятилетки значительно вырос республиканский парк электронно-вычислительных машин, достигший в начале 1981 г. 189 ЭВМ. В настоящее время в республике 32 вычислительных центра и более 65 организаций, имеющих электронно-вычислительные машины. Технический уровень республиканского парка находится на уровне общесоюзных показателей.

Эти данные говорят о том, что важнейшим направлением информационного обеспечения управления экономикой в настоящее время является централизация и механизация учета в условиях рационального использования вычислительной техники, без которой невозможно перерабатывать все возрастающие массивы учетно-экономической информации.

Наряду с ростом финансового хозяйства промышленного и сельского производства, строительства, торговли в нашей стране постоянно снижаются административно-управленческие расходы на основе радикального совершенствования его структуры и методов управления. При этом большое значение имеет централизация бухгалтерского учета, которая за период своего существования позволила сократить численность счетного аппарата более, чем на 16 тыс. человек и направить их в сферу производства.

Уже не приходится сомневаться в полезности объединения бухгалтерского учета однородных предприятий, организаций и учреждений. Практика показала, что централизация учета — наиболее правильный способ улучшить бухгалтерский учет во всех отраслях народного хозяйства.

В современных условиях для обеспечения крутого подъема народного хозяйства особое значение придается всестороннему и основательному изучению и анализу каждой отрасли производства, вскрытию и исправлению недостатков, выявлению и приведению в действие имеющихся резервов, рациональному использованию денежно-материальных и трудовых ресурсов и на основе этого повышению экономической эффективности производства.

Повышение эффективности производства в современных условиях больше зависит от экономического стимулирования, чем от чисто административных мероприятий. Сейчас уже невозможно руководить

производством, не вникая глубоко в его экономику, не анализируя производство соответственно сегодняшним требованиям. Говоря словами В. И. Ленина, «...чтобы управлять, нужно быть компетентным. нужно полностью и до точности знать все условия производства»⁸. Необходимостью приведения показателей учета отраслей и производственных систем к единообразию, сопоставления и, на основании этого, обеспечения анализа всех отраслей народного хозяйства, особенно остро поставила вопрос о неизбежности совершенствования планирования, учета и отчетности путем максимальной централизации и механизации учетно-экономической информации. Большое внимание следует уделить созданию новой электронной формы обработки учетно-экономической информации с помощью ЭВМ.

В Программе КПСС указано на то, что в ближайшее время «получит широкое применение кибернетика, электронные счетно-решающие устройства в производственных процессах промышленности, строительной индустрии и транспорта, в научных исследованиях, в плановых и проектно-конструкторских расчетах, в сфере учета и управления»⁹.

Механизированная обработка учетно-экономической информации предполагает изменение технологии всего процесса, сложившегося в условиях ручного труда.

Органы планирования, учета и управления получают все возрастающее количество информации. Быстро ее обработать, найти оптимальные решения, довести их до исполнителей при существующей системе поиска, обработки и передачи информации крайне важно. Современный этап развития форм и методов обработки народнохозяйственной учетной информации характеризуется взаимосвязанными процессами, когда данные обрабатываются в виде единого, интегрированного массива. В связи с этим концентрация данных трех видов учета — оперативного, бухгалтерского и статистического и осуществление централизации и механизации учета, являются организационно-технической формой решения проблемы их интегрированной обработки.

Основной путь решения государственной проблемы совершенствования управления и руководства народным хозяйством — создание автоматизированных систем управления (АСУ), которые представляют собой высший этап механизации и автоматизации обработки информации. Автоматизированная система управления обеспечивает успешное решение проблемы регулирования хозяйственных процессов, осуществляющегося на основе циркуляции огромных информационных потоков при наличии электронно-вычислительной техники.

Представлена группой проблем учета и финансов Института экономики и права АН ГССР

⁸ В. И. Ленин, соч., т. 40, с. 215.

⁹ Программа КПСС, М., 1961, с. 71.

მიხეილ როკაბლიშვილი

დარგობრივი სტრუქტურის სწორად განსაზღვრის და კაკიტალდაბანდებთან ეფექტურობის მნიშვნელობა საქართველოს სსრ კმების მრეწველობაში

განუზომელი და მრავალფეროვანია ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე-ნი. ჩვენ მოგვეპოვება ყველა სასარგებლო წიაღისეული რაც კი დედამიწაზე არსებობს.

საბჭოთა კავშირი ახლა პლანეტის სამრეწველო პროდუქციის მეხუთედს უშვებს. ჩვენს ქვეყანას მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს ფოლადის, ნავთობის (გაზისკონდენსატის ჩათვლით), რკინისა და მანგანუმის მადნის, კოქსის, მინერალური სასუქების, ცემენტის თბომავლებისა და ელმავლების და ზოგიერთი სხვა სახეობის პროდუქციის წარმოებით¹.

სულ ორნახევარი სამუშაო დღე სჭირდება ჩვენს მრეწველობას, რომ იმდენივე პროდუქცია აწარმოოს, რამდენსაც მთელი 1913 წლის მანძილზე აწარმოებდა; ახლა ჩვენ მეტ სამრეწველო პროდუქციას ვუშვებთ, ვიდრე მეოთხედი საუკუნის წინათ მთელი მსოფლიო აწარმოებდა². ეს არის ისტორიაში ნამდვილად პირველი სოციალისტური ქვეყნის, გიგანტური ეკონომიკური ზრდა, რაც უდაოდ შრომის განთავისუფლების შედეგია.

60 წლის მანძილზე ქვეყნის ძირითადი საწარმოო ფონდები გაიზარდა 37-ჯერ, მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტი — 96-ჯერ, ხოლო წარმოებული ეროვნული შემოსავალი — 103-ჯერ.

მოკლე ისტორიული დონის მანძილზე საქართველო მეფის რუსეთის ჩამორჩენილი განაპირა ქვეყნიდან გადაიქცა მოწინავე კულტურის, ინდუსტრიულ-კოლმეურნეობრივ საბჭოთა რესპუბლიკად.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია შეადგენს დაახლოებით 70 ათას კვადრატულ კილომეტრს, იგი სიდიდით აღემატება ლატვიის, ესტონეთის, მოლდავეთისა და სომხეთის რესპუბლიკებს. მისი საზღვრების საერთო სიგრძე 1900 კილომეტრია, რომლიდანაც 300 კილომეტრზე მეტი მოდის ზღვის, ხოლო დანარჩენი ხმელეთის საზღვრებზე. რესპუბლიკის ტერიტორიის ნახევარზე მეტი მდებარეობს ზღვის დონიდან 1000 მეტრზე მაღლა, ერთი მესამედი 200 მეტრიდან 1000 მეტრამდე, ხოლო დაახლოებით 13 პროცენტი შეადგენს დაბლობს³.

¹ ნ. ა. ტიხონოვის მოხსენება კრემლის ყრილობათა სასახლეში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 63 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე 1980 წ. 6 ნოემბერს. გაზეთი „კომუნისტი“, 1980 წ. 7 ნოემბერი.

² ლ. ი. ბ რ ე ე ე ვ ი, „დიდი ოქტომბერი და კაცობრიობის პროგრესი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1977 წ. გვ. 6.

³ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1922—1977, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1972, გვ. 11—12.

საბჭოთა საქართველო მაღალგანვითარებული კვების მრეწველობის რესპუბლიკაა.

საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციას მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში შევხვდებით. საექსპორტოდ იგზავნება ლითონსაპირელი ჩარხები, კვების მრეწველობისათვის განკუთვნილი მანქანები და მოწყობილობა, მანგანუმი, ფეროშენადნობები, ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოები, სამედიცინო პრეპარატები, ღვინო კონსერვები და ბევრი სხვა.

მსოფლიო ბაზარზე საბჭოთა საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციას მაღალი ავტორიტეტი აქვს. მას იძენენ ისეთი განვითარებული ქვეყნები, როგორც არის აშშ, ინგლისი, ბელგია, შვეიცარია და სხვა⁴.

რესპუბლიკაში სწრაფად ვითარდება ენერგეტიკული მრეწველობა. 1977 წელს რესპუბლიკის ელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს 12 მილიარდ კილოვატ საათზე მეტი ელექტროენერგია, შენდება მსოფლიო პრაქტიკაში უნიკალური ნაგებობა — ენგურის ჰიდროელექტროსადგური, ყველაზე უდიდესი ელექტროსადგური ამიერკავკასიაში.

„მშენებლობის დამთავრების შემდეგ ენგურზე წინასწარი გამოანგარიშებით, გამოიმუშავებენ წელიწადში დაახლოებით 10 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას. ეს ამჟამად რესპუბლიკაში გამოიმუშავებული მთელი ელექტროენერგიის თითქმის ოთხი მეხუთედია“⁵.

რესპუბლიკაში განვითარებულია მძიმე ინდუსტრიის თითქმის ყველა დარგი.

მრეწველობის განვითარებამ გამოიწვია რესპუბლიკის მოსახლეობის ოდენობის, სტრუქტურისა და გაადგილების შეცვლა. 1917—1970 წლებში საქართველოს მოსახლეობა გაიზარდა 2338 ათასი კაციდან 4688 ათასამდე, ანუ ორჯერ და მეტად და შეადგინა სსრ კავშირის მოსახლეობის 1,94 %; „1979 წლის 17 იანვრისათვის კი საქართველოს მოსახლეობამ შეადგინა 5 მილიონ 15 ათასი კაცი. 1970 წლის აღწერასთან შედარებით იგი გაიზარდა 320 ათასით, ანუ 7 %-ით“⁶.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტისათვის კვების მრეწველობა უაღრესად დაქვეითებული იყო. მისი ძირითადი დარგების აღდგენას საბჭოთა სახელმწიფომ თავის არსებობის პირველსავე წლებში მიაღწია, მაგრამ კვების მსხვილი მრეწველობის წარმატებით განვითარების პირობები მხოლოდ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელების შედეგად შეიქმნა.

საქართველოში კვების მრეწველობის საწარმოთა მშენებლობა ფართოდ გაიშალა 30-იანი წლების დამდეგიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის კვების მრეწველობაში კაპიტალ-დაბანდებათა საერთო მოცულობა მეორე ხუთწლედში, პირველხუთწლედთან შედარებით გაიზარდა 3,4-ჯერ, საქართველოში კი თითქმის — 4-ჯერ⁷.

⁴ ე. შევარდნაძე, „საბჭოთა საქართველო“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1980, გვ. 28.

⁵ იქვე, გვ. 30.

⁶ იხ. ვახუთი კომუნისტი, 1980 წლის 1 იანვარი, გვ. 2.

⁷ Пищевая индустрия СССР к 20-летию Советской власти, М., 1937 г. с. 20.



როგორც ჩანს, კვების მრეწველობის განვითარების ტემპი საქართველოში უფრო სწრაფი იყო, ვიდრე მთლიანად ჩვენს ქვეყანაში.

1926—1937 წლებში, განსაკუთრებით მეორე ხუთწლეულში, შეიქმნა მატერიალური წინამძღვრები იმისათვის, რომ კვების მრეწველობა გადაქცეულიყო სოციალისტური წარმოების ინდუსტრიულ დარგად.

თუ 1932 წელს საქართველოს კვების მსხვილი მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება 16,2 მლნ მანეთს არ აღემატებოდა, 1937 წელს მან უკვე მიაღწია 158,3 მლნ მანეთს⁸.

1929—1937 წლებში ამუშავდა საქართველოს კვების მრეწველობის მთელი რიგი მსხვილი საწარმოები.

საქართველოში, ისევე, როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, დაბრუნებულა ახალი ღვინის ქარხნები და ფართოდ გაიშალა მათი მშენებლობა. პარალელურად მიმდინარებდა არსებულ საწარმოთა რეკონსტრუქცია. ამ ღონისძიებათა გატარების შედეგად საქართველოს ღვინის მრეწველობის ძირითადი ფონდები 1936—1940 წლებში 1,85-ჯერ გაიზარდა. 1921 წელთან შედარებით მეღვინეობის 10 საწარმოს ნაცვლად, რომელიც უშვებდა 320 ათას დეკალიტრ ღვინოს, 1941 წლისათვის უკვე საქართველოში იყო 76 საწარმო, რომლებიც უშვებდნენ 2189 ათასი დეკალიტრს⁹.

ომის შემდგომი წლები აღინიშნება კვების მრეწველობის ტექნიკური ბაზის მკვეთრი აღმავლობით.

1951—1955 წლებში საქართველოს კვების მრეწველობაში მიმართული კაპიტალური დაბანდება შეადგენდა 637 მლნ მანეთს (1955 წლის ფასებით)¹⁰. ზუსტად ამ პერიოდში ამუშავდა 1500 ტონამდე სიმძლავრის ყურძნის ვადამუშავების პირველადი მეღვინეობის ქარხნები აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში, ზეთსახდელი ქარხანა ოჩამჩირეში, ლუდის ქარხანა სოხუმში, რძის კომბინატი თბილისში, მინის ტარის ქარხანა და მთელი რიგი სხვა საწარმოები ქ. ქუთაისში.

მექექსე — მეშვიდე და მის შემდგომ ხუთწლეულებში კვების მრეწველობის განვითარებას ფართო ასპარეზი მიეცა, რადგან მისი საწარმოო სისტემა შეივსო ახალი მანქანა-დანადგარებით, მექანიზებული ნაკადური ხაზებით, მარეგულირებელი ხელსაწყოებითა და მოწყობილობით. თუ 1940 წელს რესპუბლიკის კვების მრეწველობაში იყო მხოლოდ 6 მექანიზებული ნაკადური ხაზი, მათი რიცხვი 1972 წლისათვის 740 ერთეულს აღემატებოდა¹¹.

დაახლოებითი გამოანგარიშებით უკანასკნელი 17 წლის მანძილზე (1956—1972 წლები) ერთი მომუშავეს შრომის ნაყოფიერება რესპუბლიკის კვების მრეწველობაში, 1955 წელთან შედარებით, გაიზარდა 61 %-ით. ამავე პერიოდში, წარმოების მოცულობა გაიზარდა 3,6-ჯერ და მუშაკთა რიცხვი — 1,87-ჯერ¹².

⁸ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1961 წლებში, პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით, თბ., 1961, გვ. 208.

⁹ იხ. კურნალი «Виноделие и виноградарство СССР», № 8, 1957, с. 10.

¹⁰ Основные показатели работы промышленности продовольственных товаров СССР, М., 1957, с. 408.

¹¹ საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1975, გვ. 328.

¹² საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1975, გვ. 329.

რესპუბლიკაში კვების მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური და ნედლეული ბაზის მძლავრმა განვითარებამ შესაძლებელი გახადა ფართოდ გაშლილიყო სხვადასხვაგვარი კვების პროდუქციის მასობრივი წარმოება.

ჯერ კიდევ 1972 წლის მდგომარეობით საქართველოს სსრ კვების მრეწველობას ზოგიერთ სახეობათა მაჩვენებლების მიხედვით საკავშირო მასშტაბით მაღალი ადგილი ეკავა. დადასტურებულია, რომ „საქართველოს კვების მრეწველობა ამ დროისათვის იძლეოდა სსრ კავშირში წარმოებული ბაიხაოს ჩაის 95 %-მდე, აგურის ჩაის — 100 %-ს, ღვინომასალის — დაახლოებით 11 %, შამპანურის — 15 %-ს, მინერალური წყლების — თითქმის მეოთხედს, ტუნგოს ზეთის — 100 %-ს და ეთერზეთების — სამეოთხედს“¹³. მომდევნო წლებში კი რესპუბლიკაში წარმოებულ უდიდეს გარდაქმნათა შედეგად პარალელურად სხვა რიგი დარგებისა, კვლავ მტკიცდებოდა და ვითარდებოდა კვების მრეწველობაც.

საქართველოს მრეწველობის სტრუქტურაში, 1977 წლის შედეგების მიხედვით კვების მრეწველობას 39 %-ზე მეტი უჭირავს. სრულიად საკავშირო შრომის დანაწილებაში საქართველოს რესპუბლიკის წილად კვლავ მოდის სსრ კავშირში წარმოებული ბაიხაოს ჩაის 95—97 %, აგურა ჩაის — 100 %, ღვინის მასალის 10—12%¹⁴, მინერალური წყლების და ტუნგოს ზეთის მოპოვებაშიც შენარჩუნებული იქნა არსებული მაჩვენებლები.

აღნიშნული მონაცემები აშკარად ადასტურებს კვების მრეწველობის ადგილსა და როლს არა მარტო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სისტემაში, არამედ კავშირის მასშტაბით და მაღალხარისხოვანი პროდუქტებით ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში.

ცნობილი ფაქტია, რომ საწარმოო კავშირები უნდა არსებობდეს სხვადასხვა დარგებს შორის, რამდენადაც ისინი ურთიერთს აწვდიან მათთვის საჭირო საწარმოო საგნებს. ის გარემოება, რომ კვების მრეწველობა არის კომპლექსური დარგი, რომელიც სამ ათეულზე მეტ ქვედარგს და წარმოებას აერთიანებს, უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რაციონალური საწარმოო კავშირების დამყარებას, როგორც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებსა და წარმოებას შორის, ასევე თვით კვების მრეწველობის დარგებსა და საწარმოებს შორის.

„მთლიანად რესპუბლიკის კვების მრეწველობა მოიხმარს წარმოების მრავალი ათეული დარგის პროდუქციას, მათ შორის ჩაის წარმოება დაახლოებით 45, ღვინის — 50-მდე, თამბაქოს — 33, ხორცის — 43, რძის — 54 დარგის და ა. შ.“¹⁵.

თავის მხრივ, კვების მრეწველობის თითოეული დარგი საკუთარ პროდუქციას აწვდის წარმოების მრავალ დარგს, სულ 23 დარგს¹⁶.

განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს დარგობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაციას. დარგთაშორისო პროპორციების

¹³ პ. გუგუშვილი, „საბჭოთა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1922—1972 წწ.“ გამოცემლობა მეცნიერება, გვ. 151.

¹⁴ ე. შევარდნაძე, „საბჭოთა საქართველო“, გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1980, გვ. 34—35.

¹⁵ გ. ყუფუნია, „საქართველოს სსრ კვების მრეწველობის განვითარების აქტუალური საკითხები“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1974, გვ. 43.

¹⁶ იქვე, გვ. 44.



დაცვას ყველაზე პროგრესულ სახეობათა უპირატესი განვითარების გზით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის სახალხო მეურნეობრივი პროგრამების განხორციელებისათვის.

სკკპ XXV ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში ლ. ი. ბრეჟნევიმ ხაზი გაუსვა სტრუქტურული პრობლემების უფრო გონივრულ შეხამებას, ეკონომიკის შეწონასწორების უზრუნველყოფას.

„აქ, — აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევი, ფართო ასპარეზია გადაშლილი იმისათვის, რომ გამოვიყენოთ ეკონომიკის მეცნიერების საშუალებანი, დავენერგოთ თანამედროვე მეცნიერული მეთოდები, მათ შორის ეკონომიკურ-მათემატიკური, გამოვიყენოთ მართვის ავტომატიზებული სისტემები“¹⁷.

ყრილობამ თავის დირექტივებში პირდაპირ და მკაფიოდ მიუთითა წარმოების სტრუქტურის, დარგთაშორისი და შიდადარგობრივი პროპორციების სრულყოფის უდიდეს მნიშვნელობაზე და ამოცანად დაუსახა, რომ საჭიროა „უზრუნველყოთ საზოგადოებრივი წარმოების განუხრელი ზრდა და მისი სტრუქტურული სრულყოფა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი დარგების უფრო სწრაფი განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სახალხო მოხმარების სამრეწველო საქონლის წარმოების გადიდება, მოსახლეობის მომსახურების სფეროს გაფართოება. გავაუმჯობესოთ საწარმოო ძალების განლაგება“¹⁸.

უპირველეს ყოვლისა, სწორად შევარჩიოთ თანაფარდობა წარმოების საშუალებათა წარმოებასა და მოხმარების საგნების წარმოებას შორის, მოპოვებელ და გადამმუშავებელ დარგებს შორის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის. ამასთან, აუცილებელია მსხვილ ჯგუფებს შორის პროპორციების განსაზღვრასთან ერთად თითოეული დარგისა და ქვედარგის შინაგანი სტრუქტურის შესწავლა და ამის საფუძველზე მათ შორის ოპტიმალური პროპორციების დადგენა. ამით უდაოდ გამოვავლენთ საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების იმ რეზერვებს, რომელიც დაკავშირებულია შიდადარგობრივ სტრუქტურასთან.

სწორად შენიშნავენ ჩვენი ეკონომისტი მეცნიერები, რომ დარგობრივი სტრუქტურის აკარგვიანობა შეიძლება შევავსაოთ იმ პირობების გათვალისწინებით, რომლებიც გვაქვს მოცემულ მომენტში, აგრეთვე იმით, თუ როგორ წყდება ოპტიმალურობის კრიტერიუმით დასმული ამოცანა და რამდენად შეესაბამებოდა სტრუქტურა წარმოების განვითარების ცალკეულ ეტაპებზე დროის მიზნებსა და შესაძლებლობებს, რამდენად ოპტიმალური იყო ის საერთოდ, რა ნაყოფანებები აქვს და როგორ უნდა მოხდეს მათი გამოსწორება.

დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებისათვის უდაოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წარმოების წესს, წარმოებით ურთიერთობათა ხასიათს და მისგან გამომდინარე წარმოების მიზანს. კაპიტალიზმის პირობებშიც კი კაპიტალიზმის წესისათვის დამახასიათებელია მრეწველობის და საერთოდ (წარმოების) ისეთი დარგების განვითარება, რომელიც მოკლე დროში ყველაზე მეტ მოგებას იძლევიან. მიუხედავად წარმოებული პროდუქციის დანიშნულებისა მათთვის სულერთია რა იწარმოება — ყუმბარა თუ პური. მთავარია მაქსიმალური მოგების უზრუნველყოფა, ე. ი. კაპიტალისტებს აინტერესებთ არა სახმარი ღირებულების

¹⁷ სკკპ XXV ყრილობის მასალები, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1976, გვ. 80.

¹⁸ იქვე, გვ. 223—224.

წარმოება, არამედ ღირებულების და ზედმეტი ღირებულების. სახმარი ღირებულება კი იმდენად ინტერესებთ, რამდენადაც იგი ღირებულების მატარებელია. ამგვარად, სწორედ ეს გარემოება განაპირობებს მრეწველობის თავისებური დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას.

სოციალიზმისა და კომუნისმის დროს კი წარმოების უმაღლესი მიზანია მთელი საზოგადოების მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების, რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილება და საბოლოო ჯამში სწორედ წარმოების წესის ამ მიზნის მოთხოვნილებით ყალიბდება მრეწველობისა და საერთოდ სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა, ხოლო განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებაზე სხვადასხვა ზომით მოქმედებენ ზემოაღნიშნული ფაქტორები.

მომავალში მრეწველობაში წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის სხვა მთელ რიგ ღონისძიებათა პარალელურად მუშაობა ისე უნდა წარემართოს, რომ მოვახდინოთ მასალატევადობის შემცირება და ნედლეულისა და მასალების დაზოგვა. სწორედ ამის გამო დასძინა პარტიის XXIV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევი, რომ „სახალხო მეურნეობის ინტერესების თვალსაზრისით, ნედლეულის მომჭირნეობა წარმოების სრულყოფის გზით დამუშავებელ მრეწველობაში, გაცილებით უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ამ რაოდენობის ნედლეულის დამატებით წარმოება. ჩვენს ქვეყანაში გამოშვებული პროდუქციის მასალატევადობის შემცირება მხოლოდ ერთი პროცენტით, იმის თანაბარია, რომ დამატებით გავადიდოთ ეროვნული შემოსავალი სამი—ოთხი მილიარდი მანეთით“¹⁹.

ჩვენი ქვეყნის მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის შესწავლა გვიჩვენებს, რომ სამეურნეო საქმიანობის საფუძველს წარმოადგენდა ოპტიმალურობის პრინციპი, რომ მრეწველობა ყოველთვის განიხილებოდა როგორც სახალხო მეურნეობის ყველაზე წამყვანი დარგი და მისი ორგანული შემადგენელი ნაწილი, რომელიც განაპირობებდა მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებას.

მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის მოთხოვნილებას, მათი ცხოვრების დონის ამაღლებისა და ქვეყნის ეკონომიკის ზრდასთან ერთად წინ წამოიწევეს გაზრდილი მოთხოვნილება კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელზე, მსუბუქი მრეწველობის ნაწარმსა და მაღალხარისხოვან პროდუქტებზე. ამასთან, შესაძლებელი ხდება ამ მოთხოვნილების სულ უფრო მზარდი მოცულობის დაკმაყოფილება.

საქართველოს კპ XXV ყრილობაზე სწორედ ამიტომ აღინიშნა, რომ მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის არსებით ნაკლად კვლავ რჩება მსუბუქი და კვების მრეწველობის დიდი ხვედრითი წონა (59,6 პროცენტი).

რესპუბლიკის ეკონომიკის დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა სახალხო სამეურნეო კომპლექსში დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესება და პროპორციათა ოპტიმიზაცია. ამასთან, ხარისხის პრობლემაც ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად ითვლება, რომელზეც დამოკიდებულია ქვეყნის სამრეწველო განვითარება და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება.

„ხარისხის ნიშნად ნაწარმი წარმოების საერთო მოცულობაში დაახლოებით 2 პროცენტს შეადგენს, კავშირში კი — 7 პროცენტს; სამრეწველო წარმოების

¹⁹ სკკპ XXIV ყრილობის მასალები, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, თბილისი, 1971, გვ. 75.



ამ პოზიციის მიხედვით, — აღნიშნა ამხ. ე. შევარდნაძემ, — მოკავშირე რესპუბლიკებს შორის არასაზარბიელო მე-14 ადგილზე ვართ²⁰. მისივე აზრით, ხარისხისათვის ბრძოლაში ბევრი რამის გაკეთება შეუძლია საგვემო ორგანოებსაც. მათ უნდა შემოიღონ დავეგმვისა და ანგარიშგების ისეთი მაჩვენებლები, რომლებიც ეკონომიკურად წაახალისებდა საწარმოებსა და დარგებს თვითონეული ნაწარმის განუწყვეტელი განახლების და გაუმჯობესებისათვის, ხარისხის ამალეებისათვის.

სკკპ XXV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნემა განაცხადა, რომ სოფლის მეურნეობის სწრაფად აღმავლობასთან ერთად, პარტია ესოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მრეწველობის იმ დარგების განვითარებას, რომლებსაც „ბ“ ჯგუფს უწოდებენ²¹.

ამასთან, მკაცრად გააკრიტიკა ის საკავშირო მინისტრები, რომლებიც ამ დარგებს ხელმძღვანელობენ და ვინც შესარულა თავისი ვალდებულებანი ახალ სიმძლავრეთა დროული ამოქმედების საქმეში, ვერ უზრუნველყო ეს დარგები მაღალხარისხოვანი მოწყობილობით და ნედლეულით.

„ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ ბევრი ისე ეკიდება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებას, თითქოს ეს რალაც, მეორე ხარისხოვანი, დამხმარე საქმე იყოს“²².

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში მომხდარმა ობიექტურმა ცვლილებებმა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საჭიროებამ მოითხოვა წარმოების საშუალებათა წარმოებისა და მოხმარების საგნების წარმოების განვითარების ტემპების არა მარტო დაახლოება, არამედ დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთში „ბ“ ჯგუფის უფრო სწრაფად განვითარება.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ მერვე ხუთწლეულამდე უპირატესად ვითარდებოდა „ა“ ჯგუფი. ამასთან, განვითარების ტემპში განახვევება „ა“ ჯგუფის სასარგებლოდ ომამდელ პერიოდში უფრო დიდი იყო, ვიდრე ომის შემდგომ პერიოდში. ეს გასაგებიცაა, მაგრამ არა ყოველთვის. ასე მაგ., მერვე ხუთწლეულის ბოლო სამ წელს უკვე უპირატესად ვითარდებოდა „ბ“ ჯგუფი, ხოლო მეცხრე ხუთწლეულის (1971—1975 წწ.), ეს არის ერთადერთი ხუთწლედი საბჭოთა ეკონომიკის ისტორიაში, რომლის განმავლობაშიც მრეწველობაში უპირატესად ვითარდება მოხმარების საგნების წარმოება, ხოლო ეროვნულ შემოსავალში — მოხმარების ფონდი. ასე მაგალითად, სახალხო მეურნეობის ტექნიკური პროგრესისა და ეფექტიანობის ყველაზე მეტად განმსაზღვრელი დარგების მანქანათმშენებლობის, ელექტროენერგეტიკის, ქიმიური და ნავთობ-ქიმიური მრეწველობის წილი სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობაში 1970 წლის 31 პროცენტიდან 1975 წელს 36 პროცენტამდე გადიდა²³, ხოლო „მოხმარების საგნების წარმოება 37 პროცენტით გადიდა, მათ შორის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და საოჯახო საქონლისა — 60 პროცენტით. გაფართოვდა საქონლის ასორტიმენტი და გაუმჯობესდა მისი ხარისხი“²⁴.

²⁰ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, თბილისი, 1976, გვ. 24.

²¹ სკკპ XXV ყრილობის მასალები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1976, გვ. 73.

²² იქვე, გვ. 74.

²³ სკკპ XXV ყრილობის მასალები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1976, გვ. 216.

²⁴ იქვე.

კვლავ ძალაში რჩება პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის უმადლესი მიზანი, რაც გამოიხატება ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლების საქმეში. ამ მიზნის მიღწევის საშუალებები და გზები საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარება, მისი ეფექტიანობის ამაღლება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, შრომის ნაყოფიერების ზრდა და მუშაობის ხარისხის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

სსრ კავშირში მეშვიდე ხუთწლეულში (1961—1965 წწ.) დაგროვების ფონდის ზრდა მნიშვნელოვნად უსწრებდა მოხმარების ფონდების ზრდას. მერვე ხუთწლეულში (1966—1970 წწ.) მათი ზრდის ტემპები დაახლოვდა. მეცხრე ხუთწლეულში კი მოხმარების ფონდების ზრდამ რამდენადმე გაუსწრო დაგროვების ფონდის ზრდას. ეს იმას ნიშნავს, რომ დაგროვების ფონდის ხვედრითი წონა ნაციონალურ შემოსავალში რამდენადმე შემცირდა და შესაბამისად ამაღლდა მოხმარების ფონდის ხვედრითი წონა. ამასთან დაკავშირებით, სწორად შენიშნავს არჩილ თეთრაული, რომ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია ზოგიერთი ეკონომისტის მტკიცება დაგროვების ნორმის მნიშვნელოვანი შემცირების აუცილებლობის შესახებ. საწარმოო დაგროვების ნორმის შემცირება შესაძლებელია გარკვეულ ფარგლებში მხოლოდ იმ პირობებში, თუ საზოგადოებრივი წარმოების ზრდა განხორციელდება მოქმედი საწარმოო ფონდების ინტენსიური გამოყენების გზით და მოთხოვნილების შემცირებით დამატებით წარმოების საშუალებებზე, ასეთ პირობებში გაფართოებული კვლავწარმოების ტემპების დაჩქარება შესაძლებელი იქნება დაგროვების ნორმის სტაბილობის ან შემცირების დროს, მაგრამ მისი ეფექტიანობის ამაღლების პირობებში²⁵.

ამრიგად, უდაო ფაქტია, რომ საზოგადოებრივი წარმოების ორი ქვედანაყოფის განვითარების ტემპები დამოკიდებულია კონკრეტულ-ისტორიულ პირობებზე და, მაშასადამე, ერთ-ერთი მათგანის უპირატესი განვითარება მუდმივად არ შეიძლება.

კვების მრეწველობის დარგები მზა პროდუქციის ერთეულზე ნედლეულის ხარჯვის ნორმის მიხედვით შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

პირველი ჯგუფისათვის დამახასიათებელია მზა პროდუქციის ერთეულზე ნედლეულის ხარჯვის მაღალი ნორმა. ამ ჯგუფში შედის კვების მრეწველობის შემდეგი დარგები: მეღვინეობა, კონსერვის, ჩაისი, ზეთსახდელი. სპირტის, შაქრის, ერო-კარაქის და ყველის, ხორცის მრეწველობა, ამიტომ უნდა მოხდეს ამ დარგების გაადგილება ნედლეულის რაიონებში.

მეორე ჯგუფში შედის ისეთი დარგები, რომლებშიც ნედლეულის წონა თითქმის ემთხვევა მზა პროდუქციის წონას და ამიტომ მათი გაადგილება შეიძლება საჭიროების მიხედვით, ნედლეულის ან მოხმარების რაიონებში. ამ ჯგუფში შედის: მარგარინის, მკარონის, საკონდიტრო წარმოება და სხვა.

მესამე ჯგუფის დარგებში მზა პროდუქციის წონა მნიშვნელოვნად აღემატებოდა ნედლეულის წონას, რის გამოც აუცილებელია მათი გაადგილება

²⁵ ა. თეთრაული, სკკპ XXV ყრილობა, „საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტიანობის შესახებ განვითარებული სოციალიზმის პირობებში“, 1979, წ. გვ. 27—28.

მომხარების რაიონებში. ეს დარგებია: პურის ცხობა, ლუდის, არაყის, ლიქიორის წარმოება²⁶.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან დასტურდება, საქართველოს რესპუბლიკაში განვითარებულია სამივე დარგი და პირველყოფლისა, რესპუბლიკის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების საფუძველზე განვითარება ჰპოვა პირველი ჯგუფის დარგებმა.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ნედლეულის ფაქტორის როლი საქართველოს რესპუბლიკის კვების მრეწველობის გაადგილებისა და სპეციალიზაციაში გაცილებით მეტია, ვიდრე მთელ კავშირში, ან რომელიმე სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში.

საქართველოს კვების მრეწველობაში იმ დარგების ჯგუფში, რომლებიც ნედლეულის რაიონებში უნდა გაადგილდეს, სპეციალიზაციის დარგების ხვედრითი წონა უდრის მთლიანი პროდუქციის მიხედვით 78 % -ს, ძირითადი სამრეწველო საწარმოო ფონდების მიხედვით — 79,2 % -ს, სამრეწველო-საწარმოო პერსონალის მიხედვით — 73,5 % -ს²⁷.

ამით ერთხელ კიდევ დასტურდება ნედლეულის უდიდესი როლი საქართველოს კვების მრეწველობის გაადგილებასა და სპეციალიზაციაში.

სწორედ შენიშნავს აკადემიკოსი ა. გუნია, „მომწიფებულია დრო იმისათვის, რომ ჩვენ უფრო ღრმა წარმოდგენა გვქონდეს რესპუბლიკის ყველა რაიონის სოციალურ ეკონომიკურ სტრუქტურაზე, დამუშავებული იქნეს მეცნიერულად დასაბუთებული წარმოების გაადგილებისა და სპეციალიზაციის, მისი კოორპირების სქემა რაიონების მიხედვით“²⁸. ამასთან, ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე, საწარმოო ძალთა რაციონალური გაადგილება მოითხოვს შედარებით მსხვილ ქალაქებში, რესპუბლიკის ცენტრებში სამრეწველო საწარმოთა მშენებლობის შეზღუდვას და შედარებით მცირე ქალაქებსა და რაიონებში (სადაც შესაბამისი პირობები არის მცირე ზომის საწარმოების, დიდ ქალაქებში კი მოქმედი ქარხნებისა და ფაბრიკების ფილიალების გაადგილებას²⁹.

მეცნიერული კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ეკონომიკური დონე, ეკონომიკური რაიონების მიხედვით, ფრიად განსხვავებულია, როგორც მრეწველური, ისე სოფლის მეურნეობრივი წარმოების განვითარების მხრივ. რვა ეკონომიკური რაიონიდან ხუთში მნიშვნელოვნად ჰარბობს სოფლის მეურნეობრივი წარმოება, ხოლო ორში — სამრეწველო წარმოება. ანალიზი მეტყველებს, — დასძენს აკადემიკოსი ა. გუნია — არა მარტო იმაზე, რომ რიგი ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით რესპუბლიკა რამდენადმე ჩამორჩებოდა სათანადო საშუალო საკავშირო მონაცემებს, არამედ იმაზეც, რომ არსებობს მრავალი ჭერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვი, რომელთა ჩართვა ეკონომიკურ

²⁶ გ. ყუფუნია, „საქართველოს სსრ კვების მრეწველობის განვითარების აქტუალური საკითხები“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1974, გვ. 80, 81.

²⁷ დასახელებული ნაშრომი, გვ. 81—82.

²⁸ ა. გუნია, „აღწარმოების ტერიტორიული პროპორციების სრულყოფის საკითხებისათვის“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, „ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის კრებული“, „აღწარმოებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხები“, მეცნიერება, 1979 წ. გვ. 3.

²⁹ იქვე, გვ. 6.

ბრუნვაში მნიშვნელოვნად აამაღლებს, როგორც მატერიალური წარმოების სფეროს დარგების ეფექტურობას, ისე რესპუბლიკის ეკონომიკურ პოტენციალს³⁰.

სწორია საქართველოს ცნობილ ეკონომისტთა მოსაზრებანი, რომ „უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი საჭირო პროპორციების დასადგენად კვების მრეწველობის დარგებისა და მათთვის ნედლეულის მიმწოდებელი სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებაში.

„კვების მრეწველობა, როგორც სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შიშველთი, აქტიურ დახმარებას უნდა უწევდეს გარშემო მყოფ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რათა მათ მოიყვანონ ნედლეული ისეთი რაოდენობით, ისეთი ხარისხისა და ისეთ ვითარებაში, რაც უზრუნველყოფს მოქმედი ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეების ყველაზე სრულად და ეფექტიანად გამოყენებას“³¹.

უნდა შეიქმნას ტარის მძლავრი მრეწველობა, სპეციალიზებული ქარხნების განსტობებული ქსელის ორგანიზაციით და განხორციელდეს ისეთი ღონისძიებები, რითაც შენელებდა წარმოების მკვეთრი სეზონური მერყეობანი მთელ რიგ დარგებში, კერძოდ საკონსერვო, ეთერზეთოვანი ზეთების, ღვინის, ჩაის მრეწველობასა და სხვა დარგებში.

უპირატესობა უნდა მიენიჭოს კომბინირებულ და კოოპერირებულ სასურსათო საწარმოების მშენებლობას, რომელიც გაცილებით უზრუნველყოფს ხვედრით კაპიტალურ დაბანდებათა და საექსპლოატაციო ხარჯების შემცირებას, აგრეთვე საწარმოთა მუშაობის სეზონის გახანგრძლივებას და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა შესრულების მიზნით, სხვა სათანადო ორგანიზაციებთან ერთად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საფინანსო და საკრედიტო ორგანოებმა, რომელთაც ცდრმად უნდა შეისწავლონ კვების მრეწველობის დარგთა სპეციფიკურობა და არ უნდა შემოიფარგლონ მხოლოდ მოქმედი საინსტრუქციო ნორმებით. ამასთან, შესაბამისად ხელი უნდა შეუწყონ ობიექტთა მშენებლობის დაფინანსებას ისეთ ეკონომიკურ რაიონებში, რომელიც გამართლებული იქნება მათი გადაგილებისა და სპეციალიზაციის მიხედვით და ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს, უზრუნველყონ სახსრების კონცენტრაცია უპირატესად დამამთავრებელ, გარდამავალ ობიექტებზე მათი ექსპლოატაციაში შეყვანით და არ დაუშვან უხარისხო და უგეგმო მშენებლობანი.

ინტერესმოკლებული არ იქნება, განვიხილოთ X ხუთწლეუდი კვებისა და მსუბუქ მრეწველობაში კადაბანდების გეგმის შესრულების და მისი სტრუქტურის მდგომარეობა ცხრილების მიხედვით და მათი ურთიერთ შედარებით გავაკეთოთ სათანადო დასკვნა, თუ რომელ მათგანს აქვს უკეთესი მაჩვენებლები და რომელი უკეთ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს.

ზემოთ მოცემულ როგორც 1 ცხრილიდან, ასევე ფორმა 05-დან ჩანს, რომ კაპიტალდაბანდება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე ანუ ახალ საწარმოთა მშენებლობაზე, მეცხრე, მეათე ხუთწლეულებში იხარჯებოდა 50—55 % ოდენობით, ხოლო მეათე ხუთწლედის 4 წლის გეგმით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე გამოყოფილი კადაბანდება აღწევდა საერთო კადაბანდების თითქმის 50 %-ს, კერძოდ მეათე ხუთწლედის 4 წლის კაპიტალდაბანდების

³⁰ იქვე, გვ. 48.

³¹ საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, ნაწილი პირველი, 1975, გვ. 354.

გვემა უდრიდა 206880 ათას მანეთს და მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების — 99031 ათას მანეთს (იხ. ცხრილი 1).

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ხაზით სახელმწიფო კაპიტალბანდების გვემის შესრულება (1976—1980 წლებში).

ცხრილი 1³²
ათ. მანეთებში

წლები	გვემით	ფაქტიურად	%%	სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები		%%
				გვემით	ფაქტიურად	
1976	49361	45501	84,8	22013	22115	100,5
1977	48956	57296	117	24724	26797	108
1978	53722	64003	119,1	23660	29567	125
1979	54941	67808	123,6	28631	36224	126,5
1980	40624					
სულ	247504					
ა. შ.						
4 წლის 206880		234608		99031	114703	

შენიშვნა: იმის გამო, რომ წინამდებარე ნაშრომი სრულდებოდა 1980 წელს და ამ მომენტისათვის 1980 წლის გვემის შესრულების მაჩვენებლები ჯერ არ იყო ცნობილი (რამდენადაც წელი არ იყო დასრულებული), ამდენად 1980 წლის კაპიტალბანდების გვემის შესრულების შედეგები ნაჩვენებია არ არის.

ცხრილი 2

ფორმა 05

კაპიტალბანდების აღწარმოებითი სტრუქტურა	1971-1975 წწ.	მათ შორის 1975 წ.	1976-80 წწ.	მათ შორის				
				1976	1977	1978	1979	1980
კაპიტალბანდებმათა მოცულობა დარგების მიხედვით	185,77	41,99	257,5	45,32	45,5	46,7	58,59	61
მათ შორის:								
მოქმედ საწარმოთა სიმძლავრეების შენარჩუნების კაპიტალურ დაბანდებისათვის % -ში	28,62 4,1	8,91 3,3	32,90 0,09	10,83 0,5	6,27 0,4	4,89 0,4	5,24 0,7	5,67 9,3
მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქცია კაპიტალურ დაბანდებისათვის % -ში	8,84 4,5	3,09 7,4	21,7 15,51	2,91 6,9	4,50 9,6	6,29 19,7	4,0 21,3	4,0 19,0
მოქმედ საწარმოთა გაფართოება კაპიტალურ დაბანდებისათვის % -ში	45,66 24,5	18,03 42,8	62,64 14,2	21,67 38,9	14,13 28,4	4,69 6,5	11,07 0,6	10,91 2
ახალ საწარმოთა მშენებლობა კაპიტალურ დაბანდებისათვის % -ში	102,3 55,3	11,96 28,6	140,26 51,0	9,91 18,8	20,60 47,7	30,83 60,6	38,58 62,6	40,34 60

³² Предварительные телеграфные показатели включения в годовых отчетах (с 1976 по 1977 гг.) по управлению бухгалтерского учета и отчетности министерства пищевой промышленности Грузинской СССР.

³³ ეს ფორმა შედგენილია საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს მონაცემებით. შეიმჩნევა უმნიშვნელო სხვაობა ამ ფორმასა და 1- და — ცხრილის მაჩვენებლებს შორის, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ცხრილში შესული ციფრები წინასწარ ტელეგრაფითაა მიღებული და შესული ბუღალტრულ ანგარიშებში, ხოლო მოცემული ფორმა 05-ში შეტანილი ციფრები შემდგომი დახვეწის შედეგად არის დადგენილი.

თვით ფორმა 05-დანაც ნათლად ჩანს, რომ კაპიტალდაბანდების აღწარმოებით სტრუქტურაში ყველაზე მეტი ხვედრითი წილი უკავია ახალ საწარმოთა მშენებლობას (102.65%), რაც შეეხება მოქმედ საწარმოთა გაფართოებას და რეკონსტრუქციას, მათ შესაბამისად უჭირავთ პირველს — 45,6%, ხოლო მეორეს 8,84. ეს ფაქტი უდაოდ იმაზედაც მეტყველებს, რომ კვების მრეწველობის სამინისტრომ და შესაბამისმა მგეგმავმა ორგანოებმა ვერ გარდაქმნეს მუშაობა ისე, რომ კაპიტალდაბანდების მეტი ხვედრითი წილი წარმართულიყო მოქმედ საწარმოთა და სიმძლავრეთა გაფართოება-რეკონსტრუქციაზე და შედარებით ნაკლები კაპიტალდაბანდება მოეხმარებინათ ახალ საწარმოთა მშენებლობისათვის.

სკკ XXV და საქართველოს კ XXV ყრილობათა გადაწყვეტილებებით საქვეყნოდ ცნობილი გახდა, რომ „წარმოებრივი სიმძლავრეების გადიდება მოქმედი საწარმოების გაფართოებისა და რეკონსტრუქციის გზით, გაცილებით უზრუნველყოფს წარმოების სწრაფ ზრდას, შრომის მწარმოებლურობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და ისიც შედარებით ნაკლები კაპიტალური დაბანდებებით, ვიდრე ახალი მშენებლობა. ეს განპირობებულია მნიშვნელოვან ზომით, იმით, რომ საწარმოს გაფართოებისა და რეკონსტრუქციის მოწყობილობათა დანახარჯების წილი მატულობს, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე კლებულობს, რაც ხელს უწყობს კაპიტალური დაბანდების ეფექტურობის ამაღლებას“³⁴.

იგივე ვერსია წითელ ზოლივით გასდევს ჩვენი საკავშირო პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის მიერ მიღებულ 1979 წლის 12 ივლისის დადგენილებას, სადაც აღნიშნულია, რომ „ახალ საწარმოთა მშენებლობისა და არსებულის გაფართოებისათვის სახსრები უნდა გამოიყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული სახეობის პროდუქციაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას ვერ უზრუნველყოფენ საწარმოები, მათი რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების გათვალისწინებით“³⁵.

სახელმწიფო კაპიტალდაბანდების გეგმის შესრულება საქართველოს
 სსრ მსუბუქი მრეწველობის ზახით

ცხრილი 3³⁶

ათას მანეთებში

წლები	კაპიტალდაბანდება		გეგმის შესრულებ- ის %	სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები		შესრულება
	გეგმა	შესრულება		გეგმა	შესრულება	
1976	15099	12171	80,6	8650	6153	
1977	22820	21276	93,5	8460	7389	
1978	30466	29147	95,7	8965	9225	
1979	25222	24805	98,3	5820	6617	
საშ. წლიური შესრულება		21840			7346	

³⁴ სსრკ ფინანსები, ავტორთა კოლექტივი პროფ. ი. დ. ზოლობინის ხელმძღვანელობით. ქართული თარგმანი აკადემიის წევრკორესპონდენტის ვ. ჩანტლიას რედაქციით, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1977, გვ. 343.

³⁵ სკკ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1979 წ. 12 ივლისის დადგენილება და გეგმის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის შემოქმედების გაძლიერების შესახებ, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1979 წ. გვ. 37.

³⁶ იხ. წლიური ანგარიშები (1976, 1977, 1978, 1979 წწ.) საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური ბუღალტერია.

სულ სხვა მდგომარეობა იყო მაგალითად, ჩვენი რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში.

საილუსტრაციოდ განვიხილოთ კაპიტალდაბანდების შესრულება საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხაზით მეათე ხუთწლედის განვლილ ოთხ წელიწადში.

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, ხუთწლედის მეორე ნახევარში საგრძნობლად გაიზარდა კაპიტალდაბანდება. ამასთან, თუ შესრულებულ მთლიან კაპიტალდაბანდების საშუალო წლიურ თანხას — 21840 ათას მანეთს შევედარებთ, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოზე გაწეულ საშუალო წლიურ თანხას — 7346 ათას მანეთს, დავრწმუნდებით, რომ დანახარჯი ახლის მშენებლობაზე დაახლოებით ერთმესამედს უდრის, ხოლო დანარჩენი ორიმესამედი დახარჯულა რეკონსტრუქციაზე.

კაპიტალდაბანდების ასეთმა სტრუქტურამ და ეფექტურმა გამოყენებამ, გარკვეული დადებითი გავლენა იქონია პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებულ მოგებაზე.

აქედან გამომდინარე, მსუბუქი მრეწველობის მაგალითზე, ერთ-ერთ რეკომენდაციად ჩვენს მიერ აღძრული იყო საკითხი იმის შესახებ, რომ მომდევნო ხუთწლედებში მსუბუქ მრეწველობაში კიდევ მეტად გაზრდილიყო კაპიტალდაბანდების დანახარჯთა ხვედრითი წილი საწარმოთა რეკონსტრუქციასა და მოწყობილობათა შექმნაზე³⁷.

ჩვენის აზრით, კვების მრეწველობაში მსუბუქი მრეწველობის ანალოგიურად, კაპიტალდაბანდების მეტი ხვედრი წილი რომ წარმართულიყო საწარმოთა რეკონსტრუქციასა და მოწყობილობათა შექმნაზე და არა ახალ მშენებლობაზე, შესაძლებელი იქნებოდა მოგების უფრო მკვეთრი გაზრდა და ისიც ნაკლები კაპიტალდაბანდებით, რადგან ცნობილია, რომ ახალ საწარმოთა მშენებლობანი დიდძალ სახსრებს მოითხოვს, ისინი წლობით ჭიანჭურდება და ფონდ-უკუგებასაც გაცილებით მეტი დრო სჭირდება. მართალია მსუბუქ მრეწველობასთან შედარებით კვების მრეწველობის დარგი სპეციფიკური და მათი დანადგარ-მოწყობილობანი გაცილებით იაფია, ვიდრე მსუბუქი მრეწველობის, მაგრამ ეს გარემოება სრულებით არ უშლის ხელს ვხელმძღვანელობდეთ საერთო დევიზით კაპიტალდაბანდების ეფექტურობის მიღწევაში (მისი უმეტესი ხვედრითი წილის მოქმედ ძირითადი ფონდების წარმართვაში სახალხო მეურნეობის ყველა დარგში) და მითუმეტეს მოხმარების ისეთ დარგებში, როგორც მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგია და რომელთა განვითარება თანამედროვე ეტაპზე წინა პლანზე დგას.

დასკვნა

ამრიგად, რეკომენდაციის სახით უნდა აღინიშნოს, რომ: 1. მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროებმა საქმე ისე უნდა წარმართონ, რომ კაპიტალდაბანდებათა მეტი ხვედრითი წილი მოახმარონ მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქცია-ვაფართოებასა და მოწყობილობათა შექმნაზე და არა ახლის მშენებლობაზე, რადგან ამ გზით წარმოებანი უფრო რენტაბელური და მიმგებიანი ხდება და ისიც მოკლე დროში და ნაკლები კაპიტალდაბანდებით.

³⁷ იხ. ჟურნალი „მაენე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1981, № 1.

მიზანშეწონილი იქნება მომდევნო მეთერთმეტე ხუთწლედისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგმა და მითუმეტეს მოხმარების სფეროს ისეთმა დარგებმა, როგორც მსუბუქი და კვების მრეწველობის, რომელთა განვითარება თანამედროვე ეტაპზე წინა პლანზე დგას, კაპიტალდაბანდების მთლიანი მოცულობიდან მსუბუქ მრეწველობაში გამოჰყონ ერთიმეოთხედი ახლის მშენებლობაზე, ნაცვლად მეთათე ხუთწლედში გამოყოფილი ერთიმესამედისა; კვების მრეწველობაში კი შესაბამისად კაპიტალდაბანდების — ერთი მესამედი, ნაცვლად 50—55%-სა, რათა კვების მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელობამ სათანადო მკვებავ ორგანოებთან ერთად უფრო მეტად გაზარდონ კაპიტალდაბანდებათა ხვედრი წილი მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქცია-გაფართოებასა და მოწყობილობათა ტექნიკურ აღჭურვაზე და შესაბამისად შეამციროს ახალ საწარმოთა მშენებლობა იმ მიზნით, რომ კიდევ მეტად მომჭვებიანი გახადოს მოქმედი საწარმონი, შედარებით ნაკლები კაპიტალდაბანდებებით.

2. საფინანსო და საკრედიტო დაწესებულებათა ხელმძღვანელობამ უნდა გაზარდონ მომთხოვნელობა თავიანთი მუშაკებისადმი იმ მხრივ, რომ მეტი აქტიურობა გამოიჩინონ კაპიტალდაბანდებათა გეგმების განხილვისას და არ განახორციელონ დაფინანსება და სახსრების გაცემა იმ შემთხვევაში, როდესაც უხეშად ირღვევა კაპიტალდაბანდების სტრუქტურა და დარგთაშორისი პროპორციები, უნდა აწარმოონ ობიექტთა მშენებლობის დაფინანსება ისეთ ეკონომიკურ რაიონებში, რომლებიც გამართლებული იქნება მათი გაადვილებისა და სპეციალიზაციის მიხედვით.

М. И. РОКЕТЛИШВИЛИ

ЗНАЧЕНИЕ ЭФФЕКТИВНОСТИ И ПРАВИЛЬНОГО ОПРЕДЕЛЕНИЯ ОТРАСЛЕВОЙ СТРУКТУРЫ КАПИТАЛЬНЫХ ВЛОЖЕНИЙ В ПИЩЕВОЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ ГРУЗИНСКОЙ ССР

Резюме

В представленной работе исследовано и обосновано значение правильного определения отраслевой структуры капитальных вложений и вопросы необходимости увеличения их удельного веса на приобретение оборудования и реконструкцию действующих предприятий и соответствующее уменьшение капиталовложений на строительство новых предприятий.

Также охарактеризована и научно разъяснена необходимость повышения ответственности финансово-кредитных учреждений за лучшее финансирование и кредитование отраслей пищевой промышленности Грузинской ССР.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სპორტის ინსტიტუტის აღრიცხვისა და ფინანსების პრობლემათა კვლევა

ლ. გრიგალაშვილი

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ფინანსური შედეგების აღრიცხვის სრულყოფისათვის ცენტრალიზებული ბუხბალტერის პირობებში

მეურნეობის მართვის თანამედროვე პირობებში სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა სამეურნეო საქმიანობის ფინანსური შედეგების სწორად აღრიცხვას და გამოვლენას, სამეურნეო საშუალებათა მომპირნეობით ხარჯვას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. სკკპ XXVI ყრილობის დოკუმენტებში ამასთან დაკავშირებით მითითებულია: „ავამაღლოთ აღრიცხვისა და სტატისტიკის ხარისხი და ოპერატიულობა, სრულყოფით სააღრიცხვო დოკუმენტაცია და ანგარიშგება სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში სამეურნეო საქმიანობის მართვის, დაგეგმვისა და ანალიზის თანამედროვე მოთხოვნილებების შესაბამისად... გავაძლიეროთ მომპირნეობის რეჟიმი, განვამტკიცოთ სამეურნეო ანგარიში“¹.

სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება გულისხმობს მის შემდგომ სრულყოფას, შიგასამეურნეო ანგარიშის ფართოდ დანერგვას. თბილისის, თელავის, ხაშურისა და სხვა ქალაქების ვაჭრობის სამმართველოთა საზოგადოებრივი საწარმოების საქმიანობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მათი მცირე ნაწილია გადაყვანილი შიგასამეურნეო ანგარიშზე.

შიგასამეურნეო ანგარიშის ეფექტიანობა ბევრადაა დამოკიდებული ბუხბალტრულ აღრიცხვაზე, რომელმაც უნდა გამოავლინოს თითოეული ქვედანაყოფის მუშაობის შედეგები.

სასადილოების, კაფეების, სასაუზმეების შიგასამეურნეო ანგარიშზე გადაყვანისათვის საჭიროა მათთვის დამუშავდეს საგეგმო და საანგარიშგებო მაჩვენებელთა სისტემა.

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია მათ დაეგეგმოს შემდეგი მაჩვენებლები: საქონელბრუნვის მოცულობა (საკუთარი წარმოების პროდუქციის გამოყოფით); კერძების გამოშვება, საქონლის რეალიზაციიდან მიღებული საერთო შემოსავლები (მანეთებში და პროცენტულად საქონელბრუნვის მიმართ), წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯები ნომენკლატურული მუხლების მიხედვით (ასევე მანეთებში და პროცენტულად საქონელბრუნვის მიმართ); მოგება, შრომისდაყოფიერება, მატერიალური წახალისების ფონდის ნორმატივები და ბოლოს ძირითადი ფონდების გამოყენების მაჩვენებლები.

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის შეფასებისათვის ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ საკუთარი წარმოების პროდუქციის მოცულობა, რომელიც პირდაპირ ახასიათებს საკვების საწარმოთა ფუნქციონალურ დანიშნულებას.

¹ სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1981 წ., გვ. 301.

ასევე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ საზოგადოებრივი კვების საწარმოებისათვის განისაზღვროს შრომისნაყოფიერების მაჩვენებელი. ამჟამად, შრომისნაყოფიერებას განისაზღვრავენ მხოლოდ ტრესტის, კვების კომბინატებისა და გაერთიანებების მიხედვით, მაშინ, როცა ამ მაჩვენებელზე ბევრად და დამოკიდებული ძირეული რგოლების საქონელბრუნვა, მოგება და ა. შ.

მიზანშეწონილია განისაზღვროს შრომისნაყოფიერების ორი მაჩვენებელი: პირველი—მთლიანი საქონელბრუნვის შეფარდება მუშაკთა საერთო რიცხოვნობასთან; მეორე—საკუთარი წარმოების პროდუქციის შეფარდება წარმოების მუშაკთა რიცხვთან.

იქ სადაც ხორციელდება საკუთარი წარმოების პროდუქციის აღრიცხვა ნატურალურ ერთეულებში, უმჯობესია შრომისნაყოფიერების მაჩვენებლებიც ამავე ერთეულებით განისაზღვროს. ამჟამად, შიგასამეურნეო ანგარიშზე მყოფი საზოგადოებრივი კვების საწარმოების სამეურნეო საქმიანობის აღრიცხვა ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის პირობებში ხორციელდება. ამის გამო, ფინანსური შედეგების აღრიცხვა გარკვეული სირთულეებით ხასიათდება. ასეთ პირობებში ყველაზე მეტ სირთულეს წარმოადგენს მიმოქცევის ხარჯებისა და საერთო შემოსავლების აღრიცხვა თითოეული საწარმოს მიხედვით.

ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საჯკვების საწარმოთა მიმოქცევის ხარჯების აღრიცხვა შეიძლება განხორციელდეს ერთ-ერთი ვარიანტით: პირველი, როცა მიმოქცევის ყველა ხარჯი აღრიცხული იქნება თითოეული საწარმოს მიხედვით; მეორე—როცა ეს ხარჯები აღრიცხული იქნება მხოლოდ საშუალო და მსხვილი საწარმოების მიხედვით. ამ შემთხვევაში, წვრილ საწარმოებში აღრიცხება მხოლოდ ზოგიერთი ხარჯი, დანარჩენი ხარჯები კი აღრიცხება ცენტრალიზებული წესით.

ცნობილია, რომ საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მიმოქცევის ხარჯები სინთეზურად აღრიცხება № 44/4 ანგარიშის — „საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ხარჯები“ — დებეტში, წლის დასაწყისიდან მზარდი ჯამით. წლის ბოლოს დანახარჯებს ჩამოწერენ № 99 ანგარიშით „მოგება და ზარალი“.

ახლა განვიხილოთ შიგასამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოების მიმოქცევის ხარჯების ანალიზური აღრიცხვის წესი ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის პირობებში.

ცალკეულ სამეურნეო ერთეულებზე მიკუთვნების წესის მიხედვით მიმოქცევის ხარჯები იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ (ირიბ) ხარჯებად.

პირდაპირი ხარჯები საბუხჰალტრო აღრიცხვის დოკუმენტების მიხედვით შეიძლება მივაკუთვნოთ შიგასამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოს. ამ ხარჯებს მიეკუთვნება:

საწარმოს მუშაკთა ხელფასი (ადმინისტრაციულ მომსახურე პერსონალის ხელფასის გარდა). ეს მონაცემები მიიღება ხელფასის დარიცხვის უწყისებიდან;

შენობების, ნაგებობების, მოწყობილობის იჯარის ხარჯები და ამორტიზაცია (საერთო ხარჯებლობის საწყობების გარდა). ეს თანხები განისაზღვრება ხელშეკრულებების საფუძველზე, ასევე სახლმმართველობების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე, ამორტიზაციის გაანგარიშების უწყისებით და სხვ.;

დანახარჯები სათავსებისა და ინვენტარის შენახვაზე. ეს ხარჯები შეიძლება განისაზღვროს იმ ორგანიზაციებიდან მიღებული ანგარიშების საფუძველზე,

რომლებიც უზრუნველყოფენ განათებას, გათბობას, წყალმომარაგებას, ემსახურებიან შენობა-ნაგებობების დაცვას და სხვ.;

მიმდინარე რემონტის ხარჯებს მიაკუთვნებენ ცალკეულ საწარმოებს სამშენებლო ორგანიზაციებიდან წარმოდგენილია ანგარიშების, სამუშაოს შესრულების აქტების და სხვათა საფუძველზე, რომლებშიც ასახულია შესრულებული სამუშაოების ფაქტიური ღირებულება;

სან-სპეცტანსაცმლის, სასადილოს თეთრეულის და მცირეფასიანი საგნების ცვეთას, რომლის განსაზღვრა შეიძლება ცალკეული საწარმოების მიხედვით ზედღებულების, ასევე ამ საგნების ექსპლოატაციაში გადაცემისა და ჩამოწერის აქტების საფუძველზე. სან-სპეცტანსაცმლის და სასადილო თეთრეულის შეკეთების ხარჯები განისაზღვრება ამ სამუშაოების შემსრულებელი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე;

დანახარჯები სათბობზე, ორთქლზე, ელექტროენერგიაზე. ეს ხარჯები განისაზღვრება იმ ორგანიზაციათა ანგარიშების საფუძველზე, რომლებიც აწვდიან გაზსა და ელექტროენერგიას, ასევე მყარი სათბობის ჩამოწერის აქტების საფუძველზე და სხვ.;

სავაჭრო რეკლამის ხარჯების ნაწილი. მისი განსაზღვრა შეიძლება სარეკლამო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე (რადიოთი და ტელევიზიით გამოცხადების სარეკლამო ხარჯები არაპირდაპირია და ამიტომ ისინი შესაბამისად უნდა განაწილდეს);

დანაქარგები ტარაზე. მათი განსაზღვრა ხდება გასაყვლის დოკუმენტებისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიერ წარმოდგენილი ჩამოწერის აქტების საფუძველზე.

ხარჯების მეორე ნაწილი ითვლება არაპირდაპირ (ირიბ) ხარჯებად, რომელიც უნდა განაწილდეს ცალკეულ ობიექტებზე წინასწარ დადგენილი რაიმი ბაზის საფუძველზე. ამჟამად, საზოგადოებრივ კვების საწარმოებში ასეთ ბაზად გამოიყენება საქონელბრუნვა, რაც ჩვენ მართებულად არ მიგვაჩნია. ყველა სახის დანახარჯის განაწილებისათვის მხოლოდ ერთი ბაზის (კრიტერიუმის) გამოყენება ვერ უზრუნველყოფს ობიექტური ფინანსური შედეგის მიღებას ცალკეულ საწარმოთა მიხედვით, რამდენადაც დანახარჯი კონკრეტულად არაა დამოკიდებული საქონელბრუნვის სიდიდეზე.

აღნიშნულის მხედველობაში მიღებით მიზანშეწონილია არაპირდაპირი ხარჯები სამ ჯგუფად დავყოთ.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება კადრების მომზადების ანარიცხები. ეს ხარჯები მიზანშეწონილია საჯკვების საწარმოებს შორის განაწილდეს საქონელბრუნვის მოცულობის მიხედვით, რამდენადაც კადრების მომზადების ანარიცხები საწარმოებს უწესდებათ ამავე ნიშნით.

მეორე ჯგუფში შევა დანახარჯები საქონლის მომარაგებასა და შენახვაზე. დანახარჯების ამ ჯგუფში მნიშვნელოვანი ხვედრი წილი უჭირავს სატრანსპორტო ხარჯებს. სატრანსპორტო ხარჯების ერთი ნაწილი შესაძლებელია პირდაპირ განისაზღვროს ცალკეული საწარმოების მიხედვით, ხოლო ამ ხარჯების დიდი ნაწილი არაპირდაპირია და ითვლება საერთო ხარჯებად. ზოგიერთ საწარმოში სატრანსპორტო ხარჯებს ანაწილებენ საქონელბრუნვის პროპორციულად. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ სატრანსპორტო ხარჯების სიდიდე, ერთი მხრივ, დამოკიდებულია გადაზიდული ტვირთის სახეობაზე და წონაზე,

ხოლო მეორე მხრივ, გადაზიდვის * მანძილზე, ასევე ტრანსპორტის მუშაობის დროზე საათობრივი ანაზღაურებისას. ცხადია, ეს მაჩვენებლები არაა დამოკიდებული გადატანილი ტვირთის ღირებულებაზე, ამიტომ, არ შეიძლება მათი განაწილება საქონელბრუნვის მიხედვით. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აღნიშნული სატრანსპორტო ხარჯები განაწილდეს გადატანილი ტვირთის წონის პროპორციულად (ან ავტოტრანსპორტის ნამუშევარი დროის მიხედვით, საათობრივი ანაზღაურებისას).

ზოგიერთ ტრესტში დაქვემდებარებული გაერთიანებები გადაყვანილია შიგასამეურნეო ანგარიშზე, ამიტომ დანახარჯები ამ ჯგუფში გაერთიანდება: საწყობების იჯარა და ამორტიზაცია, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ნორმირებული დანაკლისები; დანახარჯები ტარაზე, საქონლის შენახვაზე, შეფუთვასა და დამუშავებაზე; სამაცივრო მოწყობილობების შენახვის ხარჯები; საქონლის მომარაგებაზე დასაქმებული მუშების ხელფასი (მეკუჭნავეების, ექსპედიტორების, საწყობის მუშების და ა. შ.) და სხვ. ყველა ეს ხარჯი შეიძლება განაწილდეს მიღებული ნედლეულისა და საქონლის ღირებულების (საცალო ფასებით) პროპორციულად.

დანახარჯების მესამე ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ზემდგომი რგოლების სამმართველო აპარატის შენახვის ხარჯები.

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა სამმართველოს აპარატის შენახვის ხარჯები აღირიცხება მიმოქცევის ხარჯების ანგარიშის ქვეანგარიშში „ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შენახვის ხარჯები“.

შიგასატრესტო სამეურნეო ანგარიშის დროს, ცენტრალიზებული ბუხჰალტერიების პირობებში, ცალკეულ საწარმოთა ფინანსური შედეგი უნდა გამოვლინდეს ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების განაწილების შემდეგ, რამდენადაც დასახელებული ხარჯები უშუალოდაა დაკავშირებული საწარმოთა სამეურნეო საქმიანობასთან.

ცენტრალიზებული ბუხჰალტერიების ჩამოყალიბებამდე დამოკიდებულ ბალანსზე სასკვების საწარმოში ეს ხარჯები აღირიცხებოდა „მოგება და ზარალი“ ანგარიშის ქვეანგარიშში—„ანარიცხები ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების დასაფარავად“ დებეტში—„შიდაუწყებრივი ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით“ ანგარიშის კრედიტიდან, ხოლო ტრესტის ცენტრალურ ბუხჰალტერიაში ამავე ოპერაციაზე აღგენდნენ გატარებას: დებეტი ანგარიში—„შიდაუწყებრივი ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით“ და კრედიტი ანგარიში—„მოგება და ზარალი“.

ცენტრალიზებული ბუხჰალტერიების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად შეიცვალა აღნიშნული ხარჯების აღირიცხვის წესი. ამ დროს უკვე აღარ გამოიყენება № 78 ანგარიში—„შიდაუწყებრივი ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით“. ანარიცხების თანხაზე ახლა დგება გატარება: დებეტი ანგარიში № 99/2 — „ანარიცხები გადახდილი ადმინისტრაციულ-სამმართველოს ხარჯების დასაფარავად“ და კრედიტი ანგარიში № 99/1 — „ანარიცხები მიღებული ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების დასაფარავად“.

ამჟამად, ადმინისტრაციული სამმართველო ხარჯების ანალიზური აღირიცხვა ხორციელდება შემდეგი მუხლების მიხედვით:

1. ხელფასი,
2. სამივლინებო ხარჯები,

3. დაცვის შენახვის ხარჯები (საუწყებო, არასაუწყებო),

4. სხვა ხარჯები.

სხვა ხარჯებს მიეკუთვნება დანახარჯები შენობა-ნაგებობების შენახვაზე, საკანცელარიო, საფოსტო-სატელეგრაფო, სატელეფონო ხარჯები და სხვ.

სხვა ოპერაციულ ხარჯებთან ერთად აღნიშნული ხარჯებიც გვევლინებიან, როგორც არაპირდაპირი ხარჯები, ამიტომ ისინიც განაწილებული უნდა იქნენ წინასწარ დადგენილი ბაზის პროპორციულად.

არასწორად მიგვაჩნია ხელფასის საერთო ხარჯების საქონელბრუნვის პროპორციულად განაწილების დამკვიდრებული პრაქტიკა, რამდენადაც ეს ხარჯები დამოკიდებული არ არის ცალკეული სასაბილოების მიერ რეალიზებული საქონლის სტრუქტურასა და ასორტიმენტზე.

აღნიშნული ხარჯების განაწილების რაციონალურ ბაზად მიგვაჩნია პირდაპირი ხარჯები ხელფასზე, რამდენადაც იგი უფრო სრულყოფილად ახასიათებს საწარმოთა კომერციული საქმიანობის მოცულობას.

ანალოგიურად უნდა განაწილდეს სამივლინებო ხარჯები, დაცვის ხარჯები, სოციალური დაზღვევის ანარიცხები და სხვა ხარჯები.

ცალკეული საწარმოების მიხედვით ხარჯების განსაზღვრისათვის გამოყენებული უნდა იქნეს ხარჯების განაწილების პროცენტი, რომელიც განისაზღვრება არაპირდაპირი ხარჯების თანხის პირდაპირი ხარჯების თანხასთან შეფარდებით და მიღებული რიცხვის 100-ზე გამრავლებით. ამის შემდეგ, თითოეული საწარმოს პირდაპირი ხარჯების განაწილების პროცენტზე გამრავლებით განისაზღვრება მოცემული საწარმოს არაპირდაპირი ხარჯების თანხა.

არაპირდაპირი (ირიბი) ხარჯების თანხები, საწარმოების მიხედვით, შეიტანება პირდაპირი ხარჯების ანალიზური აღრიცხვის უწყისში.

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საერთო შემოსავლები. საზვევების საწარმოთა საერთო შემოსავლები შედგება სავაჭრო დათმობებისა და დარიცხვებისაგან. როგორც ცნობილია, სავაჭრო დათმობები დიფერენცირებულია. მათ დიფერენციაციას საფუძვლად უდევს საქონლის ხარჯტევადობა, საქონლის რეალიზაციის ადგილი და პირობები. სავაჭრო დათმობები გარკვეული ეკონომიკური ინსტრუმენტია სახელმწიფო ბიუჯეტსა და საზვევების ორგანიზაციებს შორის ურთიერთკავშირის რეგულირებისათვის.

სავაჭრო დათმობების დიფერენციაციის მთავარი მიზანია ის, რომ მათმა სიდიდემ უზრუნველყოს აუცილებელი პროპორციები საქონლის რეალიზაციისას.

უკანასკნელ წლებში საზოგადოებრივ კვებაში შეინიშნება მიმოქცევის ხარჯების ზრდა, რაც გამოწვეულია საკუთარი წარმოების პროდუქციის ზვედრითი წილის ზრდით საერთო საქონელბრუნვაში, ასევე საზვევების მუშაკთა ხელფასების მომატებით.

როგორც ცნობილია, 1967 წლის 1 ივლისიდან დადგენილი სავაჭრო დათმობების სიდიდე სრულყოფილად ვერ შეესაბამება აუცილებელ დანახარჯებს საქონლის შექნაზე, შენახვაზე, დამუშავებასა და რეალიზაციაზე, რის გამოც ზოგიერთი სახის საქონლის რეალიზაცია კვლავ არარენტაბელურია. ვფიქრობთ დადგა დრო შეტანილი იქნეს ცვლილებები, როგორც სავაჭრო დათმობების სისტემაში, ასევე ამ სისტემის გამოყენებაში.

საზღვრების საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ფასის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია საზღვრების დარიცხვა. დარიცხვები განპირობებულია საზღვრების სპეციფიკით. კერძოდ, იმით, რომ აქ თავმოყრილია კვლავწარმოების ოთხივე ფაზა: წარმოება, განაწილება, გაცვლა და მოხმარება.

საზოგადოებრივი კვების დარიცხვები დიფერენცირებულია საწარმოთა კატეგორიების მიხედვით. უმაღლესი კატეგორიის საწარმოებში დარიცხვებიც შესაბამისად მაღალია.

განასხვავებენ ერთიან დარიცხვებს და დარიცხვებს, რომლებიც დიფერენცირებულია ნედლეულისა და კერძების ჯგუფების მიხედვით.

ჩვენს ქვეყანაში ერთიანი დარიცხვები დაწესებულია პროფტექგანათლების სისტემის საზღვრების ორგანიზაციებისათვის, ასევე მას გამოიყენებენ ლატვიის სსრ-ში, მოსკოვის, კიევისა და სხვა ქალაქების საზღვრების საწარმოებში. ასეთი დარიცხვები ფართოდ გამოიყენება ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებში.²

საერთო შემოსავლების განაგარიშებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს ორი ხერხი:

1) საერთო შემოსავლების განსაზღვრა სავაჭრო დათმობის საშუალო პროცენტის გამოყენებით და 2) საერთო შემოსავლების განსაზღვრა საქონლის ჯგუფების მიხედვით ინვენტარიზაციის გზით.

საერთო შემოსავლების განსაზღვრის პირველი ხერხი შედარებით ადვილია, მაგრამ ისე ზუსტ მონაცემებს ვერ იძლევა, როგორც მეორე. საქმე იმაშია, რომ სხვადასხვა საქონელს სავაჭრო დათმობის სხვადასხვა პროცენტი აქვს, ამიტომ, საშუალო პროცენტით გამოანგარიშებული საერთო შემოსავლები ფაქტიურზე მეტი ან ნაკლები აღმოჩნდება.

მეორე ხერხის გამოყენებისას საჭირო ხდება საქონლის ინვენტარიზაციის ჩატარება. აღწერილი საქონელი უნდა დაჯგუფდეს ერთნაირი სავაჭრო დათმობების მიხედვით. საქონლის ასეთ ჯგუფებს შეიძლება მივანიჭოთ გარკვეული შიფრი. თვის ბოლოს მატერიალურად პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ საქონლის ნაშთების უწყისებს საქონლის ჯგუფების მიხედვით. ასეთი წესით მიღებულ საერთო შემოსავლების თანხას საქონლის ნაშთზე აკლებენ წინასწარ ნაშთს და ღებულობენ ფაქტიურ რეალიზებულ დანარიცხს (საერთო შემოსავლებს რეალიზებულ საქონელზე). როგორც ვხედავთ ამ ხერხის გამოყენება ყოველი თვის ბოლოს ინვენტარიზაციის ჩატარებას მოითხოვს, რაც მეტად შრომატევადი სამუშაოა, ამიტომ აღნიშნულმა ხერხმა პრაქტიკაში ფართო გამოყენება ვერ ჰპოვა.

ამჟამად, საზოგადოებრივი კვების მრავალ ტრესტში საერთო შემოსავლები, აღირიცხება მთლიანად საწარმოთა „გაერთიანების“ მიხედვით და არა ცალკეული საწარმოების მიხედვით. ისეთ ტორგებში როგორცაა თელავის, ხაშურის, სამტრედიის, გორის და სხვ. საწარმოთა გაერთიანებებიც არაა, ჩამოყალიბებული და მამასადამე მთლიანად მონოპოლიური მდგომარეობა უჭირავს ე.წ. „ქვაბურ“ აღრიცხვას. ამის გამო, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემის ზოგიერთი საზოგადოებრივი კვების ტრესტში ბალანსსა და ანგარიშების

² Камишанов П. И. «Основы бухгалтерского учета в общественном питании». М., «Экономика», 1973, с. 68.



სხვა ფორმებს ადგენენ „გაერთიანებების“ მიხედვით, ზოგან — ტრესტების მიხედვით. ასეთ პირობებში ცალკეული საწარმოების საქმიანობა თითქოს უგულვებელყოფილია. ეს, ჩვენი აზრით, გარკვეულ ზიანს აყენებს თითოეული სამეურნეო რგოლის ეფექტიანობასა და მუშაობის ხარისხის ამაღლების საქმეს.

როგორც აღენიშნეთ, საზოგადოებრივი საწარმოებში საქონელბრუნვის აღრიცხვა-სასაქონლო ჯგუფების კრილში არ ხდება, ამიტომ ფართოდაა გავრცელებული საერთო შემოსავლების გაანგარიშების ე. წ. საშუალო პროცენტის ხერხი. მიზანშეწონილია საერთო შემოსავლების გაანგარიშების ასეთი წესი შენარჩუნებული იქნეს შიგასამეურნეო ანგარიშის პირობებშიც.

ცენტრალიზებული ბუხპალტერიის პირობებში შიგასამეურნეო ანგარიშზე მყოფი საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, საერთო შემოსავლების აღრიცხვა უნდა მოხდეს შემდეგი თანმიმდევრობით: ჯერ გამოანგარიშებული იქნეს შემოსავლები საზოგადოებრივი დარიცხვებიდან, შემდეგ — დათმობებიდან. გაანგარიშება შეიძლება გაკეთდეს ქვემოთმოყვანილი ფორმის მიხედვით.

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რეალიზებული დარიცხვების გაანგარიშების ცხრილი

საწარმოს დასახელება	დარიცხვა (ანგ. № 42/1)				საერთო ნაშთი 1 თებერვლისათვის (ანგ. 20; 41/3)	რეალიზებული იანვრის თვეში (ტრედიტი ანგ. № 48/2; 41/3)	რეალიზებული და ნაშთად დარჩენილი საქონლის ჯამი (6+7)	დარიცხვის საშუალო % (5 x 100 : 8)	დარიცხვა რეალიზებულ საქონელზე (9 x 7 : 100)	დარიცხვა ნაშთად დარჩენილ საქონელზე (6 x 9 : 100)
	ნაშთი 1 იანვრისათვის	იანვრისათვის დებუტის ბრუნვა	იანვრისთვის კრედიტის ბრუნვა	შინაპირი ნაშთი 1 თებერვლისათვის (2+4-3)						
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
სასადილო № 1										
სასადილო № 2										
სასადილო № 3										
სასადილო № 4										
და ა. შ.										
ს უ ლ										

როგორც ჩანს, თითოეულ საწარმოს დათმობილი აქვს თითო ხაზი. ყველა საწარმოს რეალიზებული დარიცხვების თანხების შეკრებით მიიღება გაერთიანების საერთო შემოსავლების თანხა (გრ. 9).

მიზანშეწონილია ანალოგიური წესით განისაზღვროს საერთო შემოსავლები, რომლებიც მიღებულია სავაჭრო დათმობებიდან. რეალიზებული სავაჭრო დათმობებისა და დარიცხვების შეჯამებით განისაზღვრება საზოგადოებრივი საწარმოს საერთო შემოსავლების სიდიდე.

ფიქტობით, თითოეული საწარმოს მიხედვით მიმოქცევის ხარჯებისა და საერთო შემოსავლების გაანგარიშება ხელს შეუწყობს სამეურნეო ანგარიშის პრინციპების უფრო ფართოდ გამოყენებას, რაც საბოლოო ჯამში განამტკიცებს საწარმოთა ფინანსურ მდგომარეობას.

Л. П. ГРИГАЛАШВИЛИ

К СОВЕРШЕНСТВОВАНИЮ УЧЕТА ФИНАНСОВОГО
 ПОЛОЖЕНИЯ НА ПРЕДПРИЯТИЯХ ОБЩЕСТВЕННОГО
 ПИТАНИЯ

Резюме

В статье охарактеризовано состояние учета финансового положения на предприятиях общественного питания. В частности, отмечено, что на предприятиях общественного питания учет издержек обращения можно осуществить в двух вариантах: в первом варианте учитываются все издержки по отдельным предприятиям, во втором такой учет осуществляется по средним и крупным предприятиям.

Предложено предварительно выбрать базу для распределения косвенных издержек и распределить их на основе индекса распределения. В этом случае потребуется широкое применение вычислительной техники.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და
 სამართლის ინსტიტუტის აღრიცხვისა და ფინანსების ჯგუფმა



გულდარ ბურაშვილი

საბჭოთა საქართველოს პირველი კონსტიტუცია

არც თუ ისე დიდმა დრომ განვლო მის შემდეგ, რაც საბჭოთა ხალხმა მძლავრი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, საყოველთაო ზემოთა და დიდი აღფრთოვანებით განიხილა, მოიწონა და მიიღო ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მიერ კონსტიტუციის მიღება წარმოადგენს ახალ უმნიშვნელოვანეს ეტაპს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, მთელი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში.

სსრ კავშირის ახალი — 1977 წლის კონსტიტუცია წარმოადგენს არა მხოლოდ სახელმწიფო სამართლებრივი აქტის მნიშვნელობის მქონე დოკუმენტს, არამედ მას აქვს დიდი პოლიტიკურ-იდეოლოგიური მნიშვნელობაც, იგი არის მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ცხოველყოფილი ძალის, მისი მეცნიერული სისწორის დადასტურება. კონსტიტუცია ჩვენი ცხოვრების ყველა ძირეულ საკითხს მოიცავს, საკანონმდებლო წესით განამტკიცებს იმ ღრმა სოციალურ ძვრებს, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ განიცადა უკანასკნელი წლების მანძილზე, მასში კონსტიტუციურ პრინციპადაა აღიარებული ჩვენი სამშობლოს მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკა.

ემყარება რა მარქსისტულ-ლენინურ თეორიასა და პრაქტიკას ეროვნულ საკითხში კონსტიტუცია ზუსტად და სწორად გამოხატავს საბჭოთა კავშირის, როგორც ერთიანი სუვერენული სახელმწიფოს და მასში შემავალი რესპუბლიკების ინტერესებს და უფლება-მოვალეობებს. „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, — აღნიშნულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 70-ე მუხლში, — ერთიანი მრავალეროვანი საკავშირო, სახელმწიფოა რომელიც შეიქმნა სოციალისტურ, ფედერალიზმის პრინციპების საფუძველზე, ერების თავისუფალი თვითგამორკვევისა და თანასწორუფლებიანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ნებაყოფლობით გაერთიანების შედეგად.

სსრ კავშირი განასახიერებს საბჭოთა ხალხის სახელმწიფო ერთიანობას აკავშირებს ყველა ერსა და ეროვნებას კომუნისმის ერთობლივი მშენებლობის მიზნით“.

აღნიშნული პრინციპი, მოკავშირე რესპუბლიკების ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანებისა ახალი არ არის. იგი შემუშავდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც დაისვა სსრ კავშირის შექმნის საკითხი. საკითხისადმი პრინციპულმა მიდგომამ განსაკუთრებით მკვეთრად იჩინა თავი სსრ კავშირის პირველი — 1924 წლის კონსტიტუციის პროექტის შემუშავებისას, ეს გასაგებია, რადგან შეუძლებელი იყო დადგენილიყო საბჭოთა ფედერაციული სახელმწიფოს სამართლებრივი საწყისები ისე, თუ არ მოხდებოდა სსრ კავშირისა და მასში შემავალ მოკავ-

შირე რესპუბლიკათა საკანონმდებლო კომპეტენციის გამიჯვნა. საკითხის ამოსავალ პუნქტს წარმოადგენდა ის, რომ სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალ ყველა მოკავშირე რესპუბლიკას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფო ერთეულს, უნდა შეემუშაებინა და მიეღო თავისი, სსრ კავშირის ძირითად კანონთან შესაბამისობაში მყოფი კონსტიტუცია. ამ პრინციპულმა დებულებამ საბჭოთა დემოკრატიის აყვავებასთან ერთად ასახვა და განვითარება ჰპოვა სსრ კავშირის შემდგომ—1936 და 1977 წლების კონსტიტუციებში. კერძოდ, ამჟამად მოქმედი სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-9 თავი, ეხება რა მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომპეტენციას, აცხადებს: „მოკავშირე რესპუბლიკა არის სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან გაერთიანდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირად.... მოკავშირე რესპუბლიკას აქვს თავისი კონსტიტუცია, რომელიც შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციას და ითვალისწინებს რესპუბლიკის თავისებურებებს“ (მუხლი 76).

საბჭოთა საქართველოს, როგორც ნებაყოფლობით გაერთიანებულ თანასწორუფლებიან რესპუბლიკათა კავშირის სრულუფლებიან წევრს, აქვს თავისი კონსტიტუცია. ამჟამად მოქმედ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პრეამბულაში ვკითხულობთ:

„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხალხი, ხელმძღვანელობს რა მეცნიერული კომუნისტური იდეებით, თვლის რა თავს მთელი საბჭოთა ხალხის განუყოფელ ნაწილად, იცავს რა საქართველოს სსრ 1922 წლის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ 1927 წლის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ 1937 წლის კონსტიტუციის იდეებისა და პრინციპების მემკვიდრეობითობას და შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციისა (ძირითადი კანონისა), რომელმაც დაამკვიდრა სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესწყობილების და პოლიტიკის საფუძვლები, განასაზღვრა მოქალაქეთა უფლებანი, თავისუფლებანი და მოვალეობანი, სოციალისტური საერთო სახალხო სახელმწიფოს ორგანიზაციის პრინციპები და მიზნები, იღებს და საქვეყნოდ აცხადებს ამ კონსტიტუციას“¹. როგორც ვხედავთ, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1978 წლის 15 აპრილს მიღებული კონსტიტუცია საკონსტიტუციო მშენებლობის მდიდარ გამოცდილებას ეყრდნობა¹. საბჭოთა საქართველოს პირველი—1922 წლის კონსტიტუციის მიღებიდან ამჟამად მოქმედ, 1978 წლის კონსტიტუციის მიღებამდე 56 წელმა განვლო, მაგრამ შედარებით ამ მცირე ისტორიულ დროშიც საბჭოთა საქართველომ ძალზე დიდი ცვლილებები განიცადა, აშენდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება—მშრომელ ადამიანთა ჭეშმარიტი თავისუფლების საზოგადოება. სადაც შექმნილია მძლავრი საწარმოო ძალები, განუზრვლად უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა და მალდდება კულტურა, მტკიცდება მუშათა კლასის კოლმეურნე გლეხობისა და სახალ-

¹ ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ბელისუფლების არსებობის პერიოდში სულ საბჭოთა კავშირში მიღებული იქნა 100-ზე მეტი კონსტიტუცია მათ შორის სამი საქართველოში. არიან ისეთი მოკავშირე რესპუბლიკები — უკრაინა, აზერბაიჯანი, ტაჯიკეთი, რომლებმაც უკვე მეზუთედ მიიღეს კონსტიტუცია 1978 წელს; რსფსრ-მ, საქართველომ, ბელარუსიამ, სომხეთმა, ლატვიამ, უზბეკეთმა, ყირგიზეთმა, მოლდავეთმა — მეოთხედ; თურქმენეთმა — მესამედ; ესტონეთმა, ლიტვამ, ყაზახეთმა — მეორედ. ვარდა ამისა, —საბჭოთა საკონსტიტუციო ფონდში შესულა ისეთ რესპუბლიკათა კონსტიტუციები, რომლებმაც ამა თუ იმ მიზეზების გამო შეწყვიტეს არსებობა. მაგალითად, ა/კსფსრ, თურქისტანი, ხორეზმი, ბუხარა.

ხო ინტელიგენციის ურღვევი კავშირი. ქართველი ხალხის ამგვარი აღმავლობა და განვითარება განაპირობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ და საბჭოთა საქართველოს გაერთიანებამ სხვა მოძმე რესპუბლიკებთან ერთ ძმურ ოჯახად. ეს მიღწევები საკანონმდებლო წესით ფიქსირებულია 1978 წლის 15 აპრილს საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს, რიგგარეშე, მერვე სესიის მიერ მიღებულ კონსტიტუციაში. მაგრამ იმისათვის, რომ უფრო ნათლად წარმოგვიდგეს ის გრანდიოზული ძვრები, რაც საბჭოთა საქართველომ განიცადა, საჭიროა კვლავ და კვლავ თვალი გადავაგვლოთ წარსულის, იმ ძველი წყობილების ნგრევისა და ახლის შენების ეპოქას, რამაც საფუძველი ჩაუყარა დიად გარდატეხას. ამ მიმართულებით განსაკუთრებით ინტერესს იწვევს საბჭოთა საქართველოს პირველი 1922 წლის კონსტიტუცია, რომელიც მიიღო რესპუბლიკის საბჭოების პირველმა ყრილობამ.

საქართველოს სსრ საბჭოების პირველი დამფუძნებელი ყრილობა მოწვეული იქნა 1922 წლის 25 თებერვალს და გაგრძელდა იმავე წლის 3 მარტამდე. ყრილობას ესწრებოდა 276 დელეგატი გადამწყვეტი, ხოლო 69 სათათბირო ხმის უფლებით. ყრილობის დღის წესრიგში სხვა საკითხებთან ერთად იდგა საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის განხილვა და დამტკიცება. ამიტომ, სხვა კომისიებთან ერთად შეიქმნა საკონსტიტუციო კომისიაც, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ შ. კვიციანი, ს. გეგეჭკორი, მ. ტორთაყვანიძე, გ. ორახელაშვილი და სხვები. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი ყრილობაზე განსახილველად გამოიტანა დეპუტატმა ბ. კვიციანიამ, რომელმაც მოხსენების შემდეგ ყრილობას გააცნო კონსტიტუციის ტექსტი რუსულ და ქართულ ენებზე. კონსტიტუციის პროექტის ირგვლივ ყრილობაზე გაიმართა მწვავე კამათი, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს მემარცხენე სოციალ-ფედერალისტებმა. ისინი წინააღმდეგი იყვნენ კონსტიტუციის ტექსტში, კერძოდ კი პირველ მუხლში, შეტანილიყო ფრაზა „პროლეტარიატის დიქტატურა“, ამას ისინი იმით ასაბუთებდნენ რომ საქართველო წარმოადგენდა წვრილ გლეხურ ქვეყანას, სადაც პროლეტარიატი მოსახლეობის უმცირეს პროცენტს შეადგენდა, ამ მიმართებით. განსაკუთრებით პრინციპული პოზიცია ეკავა მემარცხენე სოციალ-ფედერალისტ ს. ხუნდაძეს, რომელიც ყრილობაზე ამტკიცებდა, რომ არ შეიძლებოდა რუსეთში დამყარებულიყო პროლეტარიატის დიქტატურა, რადგან რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობას გლეხობა შეადგენდა. ამიტომ, აღმოსავლეთის ქვეყნებში იგი შესაძლებლად თვლიდა მხოლოდ გლეხთა დიქტატურის დამყარებას და შესაბამისად ამისა საქართველოს კონსტიტუციაში, მისი აზრით, როგორც აღმოსავლეთის გლეხურ ქვეყანაში, პროლეტარიატის დიქტატურის ნაცვლად უნდა ჩაწერილიყო „მშრომელი ხალხის დიქტატურა“. ცხადია, პირველმა ყრილობამ ს. ხუნდაძისეული შესწორება, როგორც ანტიმარქსისტული, არ გაიზიარა და კონსტიტუციის პროექტი უცვლელად დატოვა. პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს სოციალისტურ რევოლუციაში. „სოციალისტი არ არის ის,—წერს ვ. ი. ლენინი,—ვინც მოელის სოციალიზმის განხორციელებას სოციალური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის გარეშე“. ყრილობაზე აზრთა სხვადასხვაობა და დავა

გამოიწვია კონსტიტუციის პროექტის სხვა მუხლებშიც, მაგრამ სადავო საკითხები მარქსისტული პოზიციიდან გადაწყდა. კამათის დამთავრების შემდეგ შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა თვით ბ. კვიციანი, რომელმაც აღნიშნა: „ჩვენს მიერ არჩეული საკონსტიტუციო კომისია ჯერ არ შესდგომია მუშაობას და შეუდგება იმის შემდეგ, როდესაც ზოგადად დაამტკიცებთ ამ კონსტიტუციას. ამ კომისიის თუ საჭიროდ დაინახავს, შეუძლია შეიტანოს ესა თუ ის შესწორება ან დამატება კონსტიტუციაში“³. მან წამოაყენა წინადადება, რათა ყრილობის წინაშე წარდგენილი კონსტიტუციის პროექტი გადასცემოდა საკონსტიტუციო კომისიას მუხლობრივ განხილვისათვის და აღმასრულებელ კომიტეტში გატარების შემდეგ ყოფილიყო გამოქვეყნებული. მანვე შეიტანა წინადადება, რომ ყრილობას მიეღო და დაემტკიცებინა პროექტი. დეპუტატმა ვ. სტურუამ, რომელიც ხელმძღვანელობდა ყრილობის VII სხდომის მეორე ნაწილს, კონსტიტუციის პროექტს კენჭი უყარა და იგი მიღებულ იქნა ყრილობის მიერ.

ასე და ამგვარად, საბჭოთა საქართველოს პირველი — 1922 წლის კონსტიტუცია დამტკიცებულ იქნა საბჭოების პირველ, დამფუძნებელ ყრილობაზე 1922 წლის 2 მარტს⁴.

კონსტიტუციამ საკანონმდებლო წესით განამტკიცა საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი ის არსებითი ძვრები, რომელსაც სათავე დაუდო თებერვლის სოციალისტურმა რევოლუციამ და რომლის გასატარებლადაც ასე ენერგიულად და თავდადებით იბრძოდნენ, მთელი ერთი წლის განმავლობაში, რევკომები. ამიტომ საბჭოთა საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიმართ ჩვენ შეგვიძლია გავიმეოროთ იგივე სიტყვები, რომლითაც თავის დროზე ვ. ი. ლენინმა დაახასიათა მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფოს — რსფსრს 1918 წლის კონსტიტუცია: „...იგი გამოგონილი არ არის რომელიმე კომისიის მიერ, შეთხზული არ არის იურისტების მიერ, გადმოწერილი არ არის სხვა კონსტიტუციებიდან“⁵. ვ. ი. ლენინის ამ სიტყვებში ხაზგასმითაა აღნიშნული არა მხოლოდ სოციალისტური კონსტიტუციების თვისებრივი განსხვავება ბურჟუაზიული ტიპის კონსტიტუციებისაგან, რომლებიც ძირითადად დეკლარაციულ ხასიათს ატარებენ და რომელთა ლამაზი ფრაზების მიღმა აშკარა ანტი-ხალხური ბუნება იმალება, არამედ საერთოდ სამართლის არსისადმი მარქსისტულ-ლენინური მიდგომა, რომლის მიხედვით სახელმწიფო ხელისუფლება, კანონმდებელი „არ ქმნის კანონებს, არ იკონებს მათ, არამედ მხოლოდ ფორმირებას უკეთებს“⁶ არსებულ ურთიერთობებს“. ამიტომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია, ემყარებოდა რა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ერთწლიან გამოცდილებას და ამ პერიოდში მომხდარ ღრმა სოციალ-ეკონომიკურ ძვრებს, საკანონმდებლო წესით ასახავდა, ფორმულირებდას უკეთებდა და განამტკიცებდა იმ რეალურ ურთიერთობებს, რასაც ქართველმა ხალხმა მიაღწია სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

საბჭოთა საქართველოს პირველი კონსტიტუცია შესდგებოდა 23 თავისა და

³ საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობა, თბ., 1922, გვ. 158.

⁴ საქართველოს სსრ პირველი კონსტიტუციის მიღების ზუსტი თარიღის დადგენაში დიდი ღვაწლი მიუძღვის პროფ. ვ. ერემოვს. ამასთან დაკავშირებით, იხილეთ მისი სტატია „საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში“, ვახ. „ახალგაზრდა სტალინელი“, 1960, 26 თებერვალი.

⁵ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 28, გვ. 163

⁶ Маркс К. и Энгельс Ф., Соч. т. I, с. 162.

134—მუხლისაგან. რაკი ერთ საეურნალო სტატიაში თითოეული თავის მით უფრო მუხლის, დეტალური განხილვა-ანალიზი შეუძლებელია, ამიტომ ჩვენ მასზე მხოლოდ ზოგადად შევჩერდებით. კონსტიტუციის პირველი თავის, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის საერთო დებულების პირველი მუხლით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიერ ტერიტორიაზე გამოცხადდა ძველი სახელმწიფო აპარატის გაუქმება, როგორც ცენტრში ისე ადგილებზე და მის ნაცვლად კი „პროლეტარიატის სუვერენიტეტისა და დიქტატურის“ დამყარება საბჭოთა რესპუბლიკის ფორმით, რომლის ძირითად მიზანს, კონსტიტუციის მე-2 მუხლის ძალით, წარმოადგენდა „ბურჟუაზიული წყობილებიდან სოციალიზმში გადასვლის განხორციელება“. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრის ეკონომიკურ გარანტიას წარმოადგენდა წარმოების ძირითად საშუალებებზე — მიწაზე, ტყეზე, მიწის წიაღში არსებულ სიმდიდრესა და წყლებზე, რომელთაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდათ კერძო საკუთრების მოსპობა და მათი სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადება, ამავე მუხლის ძალით ისაზოვდა „კერძო საკუთრების უფლება ყველა სხვა მსხვილ წარმოებასა და საწარმოებელ საშუალებებზე“. კონსტიტუციის მე-4 მუხლი ატარებდა საპროგრამო ხასიათს და საჯაროდ აცხადებდა ქართველი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილებას — შესუღყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, როგორც კი ამისათვის სათანადო პირობები შეიქმნებოდა. კონსტიტუციის მეორე თავში გამოცხადებული იყო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი უზენაესობა. სახელმწიფო ენად აღიარებული იყო ქართული ენა, ხოლო დედაქალაქად თბილისი. მე-7 მუხლის ძალით საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ-უმცირესობებს მინიჭებული ჰქონდათ თავისუფალი განვითარებისა და მშობლიური ენის სხვა ენებთან თანასწორი ხმარების უფლება. მესამე თავი ეხებოდა მშრომელთა პოლიტიკურ უფლებებსა და მოვალეობებს. „უზენაესი ხელისუფლება, — აღნიშნულია კონსტიტუციის მე-8 მუხლში, — საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში ეკუთვნის სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობას, ხოლო ყრილობიდან — ყრილობამდე პერიოდში-სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს“. ამავე თავის მე-9 მუხლით გამოცხადდა სინდისის თავისუფლება, ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს, ხოლო სკოლა — ეკლესიას. მე-10 მუხლით გამოცხადდა და არა მხოლოდ გამოცხადდა, არამედ სახელმწიფომ იკისრა ის მატერიალური თუ სხვა დახმარება, რაც უზრუნველყოფდა საბჭოთა საქართველოს მშრომელებისათვის კავშირების, კრებების, მიტნგების, საზეიმო მსვლელობათა და ა. შ. ნამდვილ თავისუფლებას. მომდევნო მე-11 მუხლი მიზნად ისახავდა რესპუბლიკის ყველა მოქალაქისათვის უფასო განათლების შემოღებას. აღნიშნულ უფლებებთან ერთად, კონსტიტუციის იმავე თავში გათვალისწინებული იყო საბჭოთა საქართველოს მოქალაქეთა მოვალეობებიც, კერძოდ მე-12 მუხლით სავალდებულოდ ცხადდებოდა შრომა და შეიარაღებულ რიგებში სამხედრო სამსახური (მუხლი 13). კონსტიტუციამ თავშესაფარის უფლება მიანიჭა ყველა უცხოელს ვინც იღებებოდა პოლიტიკურ და სარწმუნოებრივი იდეებისათვის რევოლუციის ინტერესების სასარგებლოდ (მუხლი 14).

1. საქართველოს სსრ 1922 წლის კონსტიტუციამ სვანონმდებლო წესით განამტკიცა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ერთიანი სისტემა.

ხელისუფლების უმადლეს და რესპუბლიკის საერთო პოლიტიკის წარმმართველ ცენტრალურ ორგანოდ, ძირითადი კანონის მიხედვით, მიჩნეული იქნა სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობა, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და მისი პრეზიდიუმი. ხოლო მმართველობის ცენტრალურ ორგანოდ-სახალხო კომისართა საბჭო და მასში შემავალი დარგობრივი კომისარიატები. კონსტიტუციამ ფიქსირება გაუკეთა ასევე ადგილობრივი. ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა კომპეტენციას. რაკი საბჭოების ყოველი რგოლი არჩევით საწყისებზე იყო აგებული, ამიტომ კონსტიტუციამ განამტკიცა საბჭოთა საარჩევნო სისტემის ძირითადი პრინციპები, რომელთა მიხედვით შემოღებულ იქნა მშრომელთათვის საყოველთაო არჩევნები განურჩევლად — სარწმუნოებისა, ეროვნებისა და სქესისა. დაწესებული იყო, მხოლოდ ასაკობრივი ცენზი, როგორც აქტიური ისე პასიური საარჩევნო უფლებისათვის მიჩნეული იქნა 18 წელი. აქედან გამონაკლისს წარმოადგენდა კონსტიტუციის 120 მუხლში ჩამოთვლილი კატეგორიები მოქალაქეებისა, ძირითადად ესენი იყვნენ ექსპლოატატორული კლასების ნარჩენები, ისინი ვინც კვლავ აწარმოებდა სხვისი შრომის ექსპლოატაციას, რელიგიური კულტის მსახურნი, ყოფილი პოლიციის და მენშევიკური მთავრობის მოსამსახურეები, აგენტები და ა. შ., ყველა ისინი, ვინც მტრულად შეხვდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. კონსტიტუცია ითვალისწინებდა რა ქვეყნის სოციალურ შემადგენლობას; გლეხური მოსახლეობის სიჭარბეს, აწესებდა არათანასწორ საარჩევნო უფლებას მუშათა კლასის სასარგებლოდ, კერძოდ, ქალაქის მოსახლეობიდან ყოველ 200 ამომრჩეველზე მოდიოდა ერთი დეპუტატი, ხოლო სოფლად 1000 ამომრჩეველზე. ე. ი. კონსტიტუციით დაწესებული იყო დაახლოებით 1:5-ზე უპირატესობა მუშების სასარგებლოდ.

კონსტიტუციის ბოლო თავი ეხება საბჭოთა საქართველოს გერბსა და დროშას.

საბჭოთა საქართველოს პირველი—1922 წლის კონსტიტუციის მიღებას მეტად დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მან იურიდიულად გააფორმა საქართველოში ახალი ტიპის სახელმწიფო—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

Г. А. ТУРАШВИЛИ

ПЕРВАЯ КОНСТИТУЦИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

Резюме

Ныне действующая Конституция Грузинской ССР принята 15 апреля 1978 года. Это четвертая Конституция в истории нашей республики. Между принятием первой и действующей ныне конституции прошло 56 лет. На протяжении исторически маленького промежутка времени Советская Грузия достигла грандиозных успехов, особенно ощутимых в сравнении с завоеваниями социалистической революции, подытоженными первой Конституцией ГССР 1922 года.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სპორტის ინსტიტუტის ჭარბული სამართლის ისტორიის განყოფილებამ

Х. П. РОГАВА

ВОПРОСЫ УКРЕПЛЕНИЯ ЗАКОННОСТИ

Закон социалистического государства — это принятый верховным органом государственной власти правовой акт, обладающий высшей юридической силой.

В советских законах получают закрепление и защиту социально-политические, экономические, культурные достижения народа, определяется содержание, принципы, компетенции и функции, формы и методы деятельности государственных и массовых общественных организаций, должностных лиц, устанавливаются права и обязанности граждан, способы их осуществления, материальные и юридические гарантии прав.

При помощи законов и других правовых актов, в которых содержатся общеобязательные нормы (правила поведения), обеспечивается неуклонное проведение в жизнь веления советской государственной власти, строится ее функционирование в соответствии с принципом демократического централизма, регулируются общественные отношения, хозяйственно-организаторская и культурно-воспитательная работа и другие стороны деятельности советских и общественных организаций, консолидируется их усилие на решение стоящих перед ними общенародных задач, организуется широкое участие масс в государственном управлении, плановое направление совместной деятельности трудящихся, выполнение социально-экономических программ развития страны. Советское социалистическое право, представляющее собой систему содержащихся в законах и других правовых актах общеобразовательных норм, выражающее волю трудящихся, выполняет огромную и многогранную созидательную роль в общественной жизни. Оно было и является важнейшим государственным орудием организации строительства социализма и коммунизма.

Правовые акты, правовые нормы могут выполнять свое назначение только тогда, когда их требования точно соблюдаются, неуклонно и своевременно применяются по разрешению предусмотренных в них вопросов.

Законность и означает точное и неуклонное исполнение законов и других изданных в соответствии с ними правовых актов государственными органами, общественными организациями, должностными лицами и гражданами — всеми, на кого они распространяются.

Следовательно, она выступает в качестве средства осуществления социалистической государственной власти, демократии, метода выпол-



ления государственных функций, принципа государственного управления и общественного поведения людей, способа обеспечения охраны правопорядка, устоев социализма, интересов общества и личности, средства осуществления политики КПСС и Советского правительства, их мероприятий по решению проблем коммунистического строительства. Из этого вытекает объективная необходимость ее всемерного соблюдения, укрепления.

Разрабатывая основы социалистической законности, В. И. Ленин указывал: «Необходимо соблюдать свято законы и распоряжения Советской власти и следить за их исполнением всеми»¹.

Вопросам соблюдения законности постоянное внимание уделяется в системе деятельности Коммунистической партии и Советского государства по руководству социалистическим обществом. «Партия ставит задачу, — сказано в Программе КПСС, — обеспечить строгое соблюдение социалистической законности, искоренение всяких нарушений правопорядка, ликвидацию преступности, устранение всех причин, ее порождающих»².

XXVI съезд КПСС подчеркнул высокое значение социалистической законности и указал партийным, советским и общественным организациям проявлять всемерную заботу о дальнейшем ее укреплении.

Конституция СССР 1977 года предусматривает новые нормы, направленные на развитие правовой основы государственной и общественной жизни. Она значительно расширила основные права граждан, установила дополнительные социально-экономические и юридические гарантии их прав, закрепила неразрывную связь прав с обязанностями.

В Конституции подчеркивается, что «Советское государство, все его органы действуют на основе социалистической законности, обеспечивают охрану правопорядка, интересов общества, прав и свобод граждан. Государственные и общественные организации, должностные лица обязаны соблюдать Конституцию СССР и советские законы».

Большое значение имеет совершенствование правовых норм, регулирующих хозяйственную и культурно-воспитательную работу и другие стороны управленческой деятельности государственного аппарата. В современный период многие юридические нормы приведены в соответствие с достигнутым уровнем развития советского общества. Был принят ряд основ законодательства Союза ССР и союзных республик, касающихся всех сфер нашей общественной деятельности.

Новые законы «позволяют тоньше, точнее регулировать различные стороны общественных отношений»³.

Законность как средство функционирования государственной власти, принцип государственного управления и общественного поведе-

¹ Ленин В. И. Полн. собр. соч., т. 39, с. 15.

² Программа КПСС, с. 106.

³ «Правда», 24 февраля 1981 г.

ния людей представляет собой весьма сложное и разностороннее политико-правовое явление. Для ее гарантирования проводится много различных мероприятий воспитательного, организационного, морально и материально стимулирующего характера, а также применяются методы принуждения в случаях нарушения правопорядка.

В решениях партии и правительства по вопросам социалистической законности особое внимание уделяется дальнейшему улучшению работы партийных и советских организаций по проведению комплексных мероприятий, направленных на предупреждение правонарушений. В постановлении ЦК КПСС «Об улучшении работы по охране правопорядка и усилении борьбы с правонарушениями»⁴ подчеркивается, что партийные комитеты, первичные парторганизации и Советы народных депутатов должны систематически рассматривать вопросы борьбы с правонарушениями, первичные партийные организации обязаны в перспективных и годовых планах по коммунистическому воспитанию предусматривать комплексные меры по профилактике нарушений правопорядка.

В выполнении задач обеспечения соблюдения законности огромное значение имеет проведение в жизнь практики, когда партийные организации глубоко анализируют положение дел на местах, настойчиво воспитывают сознательную дисциплину, мобилизуют усилия Советов, профсоюзных и комсомольских организаций, трудовых коллективов, органов народного контроля, милиции, прокуратуры, суда на выполнение задач по устранению нарушений общественного порядка.

Следует подчеркнуть, что обширные обязанности по применению, исполнению правовых норм, своевременному доведению их требований до масс, правовому воспитанию людей, внедрению принципа законности в общественной деятельности возложены на органы советского государственного управления. Они выполняют огромные и многогранные задачи хозяйственного, политического, социально-культурного строительства, обеспечения общественного порядка, охраны прав граждан. В связи с выполнением возложенных на них функций они по закону наделены соответствующими властными полномочиями в отношении граждан, в том числе обязывать к совершению определенных действий, применять меры принуждения к лицам, нарушающим правопорядок, государственную дисциплину, не выполняющим свои обязанности.

Поэтому в соблюдении принципа законности в высшей степени важным вопросом является обеспечение правильного использования государственными органами, их должностными лицами предоставленных им государственно-властных полномочий. Здесь всегда должно быть обращено внимание на то, чтобы каждый из них осуществлял свои полномочия на основе и в рамках закона. Допущение должностным лицом государственного аппарата случаев превышения своих полномочий, злоупотребления властью, бюрократизма, волюн-

⁴ См. «Правда», 15 сентября 1979 г.



ты, бездушного отношения к заявлениям, жалобам и предложениям граждан заслуживает самого строгого реагирования. «Аппарат социалистического государства служит народу и подотчетен народу, недобросовестность работника, злоупотребления властью, бюрократизм должны решительно пресекаться и сурово караться, невзирая на лица», — отмечается в Программе КПСС⁵.

С законностью несовместимо механическое применение правовых норм. Это означает: при рассмотрении и решении любого вопроса не допускать отступления от закона, на основании и в рамках его применять предусмотренные им меры с учетом всей совокупности обстоятельств рассматриваемого дела⁶.

В практике применения права различными государственными органами, в случаях, когда им приходится решать хозяйственные или другие вопросы, отдельные должностные лица иногда допускают формальное отношение к требованиям закона, обходят те или иные его пункты и параграфы, подменяют требования законности мнимой целесообразностью.

Противопоставление закону каких-либо посторонних соображений, формальное отношение к нему может вызвать серьезное нарушение в работе и принести существенный ущерб делу.

В. И. Ленин требовал ответственности не только за нарушение закона, но и за одно лишь предложение обойти закон, за неуважительное отношение к нему.

Характерны следующие эпизоды. На работу в секретариат Совнаркома РСФСР была рекомендована сотрудница, принятие которой не соответствовало бы требованиям декрета «Об ограничении совместной службы родственников в советских учреждениях». Секретарь СНК обратился к Ленину с вопросом о том, что рекомендованная сотрудница является очень ценной работницей и нельзя ли обойти декрет и принять ее.

В. И. Ленин ответил запиской: «Обойти декрет нельзя: за одно такое предложение отдают под суд. Но провести через ЦИК изъятие можно, и я сие советую»⁷.

21 апреля 1918 г. В. И. Ленин телеграфировал председателю Астраханского губисполкома П. Ф. Виноградову: «Нарком Цурюпа представил мне Вашу телеграмму ему от 21.IV. № 1192, в которой Вы называете нелепым распоряжение Центральной Советской власти. Я объявляю Вам официально выговор и заявляю, что если Вы не возьмете обратно столь недопустимого выражения, то я подниму вопрос о предании Вас суду, ибо если мы добросовестно учим дисциплине рабочих и крестьян, то мы обязаны начать с самих себя»⁸.

⁵ Программа КПСС, с. 105.

⁶ Об этом подробно см. Строгович М. С. М., Основные вопросы советской социалистической законности, М., 1966.

⁷ Ленин В. И. Полн. собр. соч., т. 50, с. 266.

⁸ Там же, с. 62, 73.

Нельзя обходить закон. В советских законах выражаются государственная воля трудящихся, государственная целесообразность, высшие нормы целесообразного поведения. Конечно, в зависимости от обстоятельств, места и времени закон может быть пересмотрен, частично изменен или отменен принявшим его органом государственной власти, но пока он действует, никто не вправе допускать малейшего отступления от него, проявлять неуважительное отношение к нему.

